


499 962

ლ. კვაჭავაძე

რთული წინადადების სწავლების მეთოდოლოგია

(მეთოდური სახელმძღვანელო ქართული ენის
მასწავლებელთათვის)

КСА.484
3



რედაქტორი კ. გუგუშვილი
ტექნიკური რედაქტორი გ. იამანიძე
კორექტორი ა. დუმბაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/11/50. პნაწყობის ზომა 6¹/₂×10¹/₂, ქალაქის
ზომა 6×9². სასტამბო ფორმატის რაოდენობა 8. საავტორო ფორმატის რაოდენო-
ბა 8,1. საგ.-საალრიცხვო ფორმატის რაოდენობა 8,4.
ფასი 10 მან.

შე05586.

შევ. № 1191

ტირაჟი 3000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფმრეწველობის,
ჯამოშემოვლებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

ა მ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ამხანაგი ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ „ენა, რომელიც ადა-
შინათა ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა
და განვითარების იარაღს წარმოადგენს“. ¹ ამიტომ ბუნებრივია, რომ
დედაენას, როგორც სასწავლო საგანს, ყველა ტიპისა და საფეხურის
სკოლაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: იგი ძირითადი საგანიც
არის და სხვა საგანთა შესწავლის საფუძველიც—

მშობლიური ენის შესწავლის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი გრამა-
ტიკას ეკუთვნის. „გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) სიტყვათა ცვლი-
ლების და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების კრებულია“. ²
გრამატიკის შესწავლის პირდაპირი მიზანი მოსწავლის მიერ ავ წესების
შეგნებულად შეთვისებაა, რასაც, თავის მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა
აქვს მეტყველების კულტურის დონის ამაღლებისათვის. მაგრამ გრამა-
ტიკის შესწავლას ამასთანავე დიდი საერთო-საგანმანათლებლო მნიშვნე-
ლობაც აქვს. ყველაფერი ეს ნათლად გახაზავს იმ დიდ პასუხისმგებლო-
ბას, რომელიც ეკისრება ქართული ენის მასწავლებელს სკოლაში.

სინტაქსი გრამატიკის ერთი ძირითადი დარგია. მას დიდი ადგილი
უჭირავს სასკოლო გრამატიკის კურსშიც. რთული წინადადება კი სინ-
ტაქსის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. იგი რთულია და მრავალფეროვა-
ნი გრამატიკულად, ძნელია და რთული შესასწავლად. ამიტომ რთული
წინადადების სწავლება სკოლაში, ისევე, როგორც მორფოლოგიისა და
სინტაქსის სხვა საკითხთა სწავლებაც, მტკიცე მეთოდოლოგიურ სისტემას
ნოითხოვს.

ქართულ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში რთული წინადადების სწავლე-
ბას ეხებოდნენ ვ: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, კ. გ ა გ უ ა, ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე და
სხვ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთლიანის სახით, რთული წინადადე-
ბის სწავლების მეთოდოლოგია ჯერჯერობით არაა დამუშავებული. ჩვენი
შრომა— „რთული წინადადების სწავლების მეთოდოლოგია“ მიზნად ისახავს
რამდენიმედ მაინც შეავსოს ეს ხარვეზი.

¹ ი. სტალინი, მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, გამოკვეთილება „კომუ-
ნისტი“, 1950, გვ. 23.

² იქვე, გვ. 24.

ელემენტარულ, ზოგადი ხასიათის ცნობებს რთული წინადადების შესახებ მოსწავლეებს მეოთხე და მეხუთე კლასებში ვაწვდით, სისტემატური სახით კი ის მერვე კლასში ისწავლება. შესასწავლ საკითხთა წრეს პროგრამა განსაზღვრავს (და არა სახელმძღვანელო). სახელმძღვანელოში რთული წინადადების საკითხები შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი, პროგრამაში კი—შეკუმშულად. ეს არცაა გასაკვირი: სახელმძღვანელოში შეიძლება შევიდეს ისეთი საკითხებიც, რომლებიც პროგრამაში არაა და, ამდენად, სკოლაში მათი სწავლება არცაა სავალდებულო. ეს მით უფრო ითქმის ჩვენი შრომის შესახებ: მასში ლაპარაკია არა მარტო რთული წინადადების იმ საკითხებზე, რომლებიც პროგრამითაა ნაგარაუდები, არამედ ისეთ საკითხებზეც, რომლებიც არაა გათვალისწინებული პროგრამით და არც სახელმძღვანელოშია განხილული. ეს არაა შემთხვევით: ამას გარკვეული მიზანიც აქვს და სათანადო თეორიული და პრაქტიკული გამართლებაც.

შრომაში რთული წინადადების საკითხთა სწავლების გარკვეული თანამიმდევრობაა დატული, მაგრამ ამის დასაბუთება აქ სრულად არაა წარმოდგენილი: ეს საკითხი განხილული გვაქვს სხვა შრომაში („რთული წინადადების სწავლების თანამიმდევრობა“), რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა. წინამდებარე შრომაში, რომელიც ემყარება დასახელებულ შრომას და წარმოადგენს მერვე კლასის ქართული ენის მასწავლებელთა დამხმარე მეთოდურ სახელმძღვანელოს, ყურადღება გამახვილებულია რთული წინადადების სწავლების მეთოდიკის სხვა საკითხებზე, ნაჩვენებია მისი სწავლების კონკრეტული გზები და ხერხები.

დამხმარე ლიტერატურა რთული წინადადების შესახებ ქართული ენის მასწავლებელს თითქმის არ მოეპოვება. ამითაა გამოწვეული, რომ შრომაში განხილულია არა მარტო რთული წინადადების სწავლების საკითხები, არამედ მარტივად მოცემულია თვით რთული წინადადების სინტაქსის განხილვაც.

შრომა ემყარება ქართულ და რუსულ გრამატიკულ და მეთოდიკურ ლიტერატურას და ჩვენი სკოლის მოწინავე გამოცდილებას. ვფიქრობთ, იგი ერთგვარ დახმარებას გაუწევს ქართული ენის მასწავლებლებს. სინტაქსის ამ რთული ნაწილის სწავლების საქმეში.

1. რთული წინადადების ზოგადი მიმოხილვა

§ 1. რთული წინადადების რაობა

აღნაგობის მიხედვით წინადადება სამგვარია: მარტივი, შერწყმული და რთული. რთული წინადადება ჰქვია ისეთ სინტაქსურ ერთეულს, რომელიც შედგება რამდენიმე მარტივი (ან შერწყმული) წინადადებიდან და გამოხატავს ერთ რთულ აზრს.

მაგალიტები: 1. მერთალი ნაუელი საესე მთვარისა მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა (1) და თეთრი ზოლი შორის მთებისა ლაქვარდ სივრცეში დაინთქმებოდა (2) (ქავ. 45). 2. მინდორი და ველი ყვავის (1), ნამი ბინაჟს ათასფერად (2) (ერ. I, 171).

პირველი წინადადება შედგება ორი მარტივი წინადადებისაგან, მეორე — შერწყმულისა და მარტივისაგან.

რთულში გაერთიანებული მარტივი და შერწყმული წინადადებანი შეიძრო აზრობლივსა და გრამატიკულ კავშირში არიან ერთმანეთთან. მათ თავ-თავისი მაორგანიზებული წევრები — ქვემდებარე და შემასმენელი მოეპოვებათ ისევე, როგორც ცალკე აღებულთ, სხვა წინადადებებთან დაუკავშირებლად. რთული წინადადების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას მასში შემავალ სინტაქსურ ერთეულთათვის (მარტივ და შერწყმულ წინადადებათათვის) საკუთარი ქვემდებარისა და შემასმენლის არსებობა წარმოადგენს. გაუგებრობა შეუძლია გამოიწვიოს შერწყმული წინადადებისა და რთული წინადადების ზოგიერთმა შემთხვევამ. მაგ., შერწყმულ წინადადებაში შეიძლება შემასმენელი ან ქვემდებარე, ანდა ორივე რამდენიმე იყოს.

მაგალიტები: 1. ვენახები, ბაღები, მინდორი და ველი მოსავლით ივსება (ლომ.). 2. ხის ტოტებზე ჩიტუნები ფრთხილებენ, სრილებენ, იშენებენ მალა ბუდვს, დაჭხარიან და გალობენ (წერ.).

პირველ წინადადებაში ოთხი ქვემდებარეა, რომელთაც ერთი საერთო შემასმენელი მოეპოვებათ, მეორე წინადადებაში კი ხუთ შემასმენელს ერთი საერთო ქვემდებარე გააჩნიათ. ორივე წინადადება შერწყმულია, რადგანაც პირველ შემთხვევაში ქვემდებარეებს თავ-თავისი, საკუთარი შემასმენლები არ მოეპოვებათ, ისევე, როგორც მეორე შემთხვევაში შემასმენლებს არ გააჩნიათ საკუთარი, თავ-თავისი ქვემდებარეები. მდგომარეობა არ შეიცვლება, როცა წინადადება შერწყმულია არა მხოლოდ ქვემდებარეების, არამედ შემასმენლების მიხედვითაც.

მაგალითი: 1. რწყილი და კიანჭველა დამშობილდნენ და გაუდგნენ ზხას-
 ამ წინადადებაში ორი ქვემდებარეა („რწყილი“, „კიანჭველა“) და ორი-
 შემასმენელი („დამშობილდნენ“, „გაუდგნენ“), მაგრამ ისინი ცალ-ცალკე
 წინადადებათ არ აორგანიზებენ, არამედ ქვემდებარეებთან საერთო შე-
 მასმენლებია დაკავშირებული, როგორც შემასმენლებთან საერთო ქვე-
 მდებარეები.¹

მერვე კლასში რთული წინადადების გაცნობის პირველ საფეხურზე
 მოსწავლეს ვაძლევთ ზოგად წარმოდგენას მისი შედგენილობისა და
 რაობის შესახებ. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია აიღოს მარტივი
 წინადადება, მაგ, „ცა მოიწმინდა“, არჩევს ამ წინადადებას შინაარსის,
 შედგენილობისა და წინადადების წევრების მიხედვით. ხაზი გაესმება
 აგრეთვე წინადადებისათვის დამახასიათებელ წარმოთქმას, ინტონაციას.
 შემდეგ ვიღებთ მეორე მარტივ წინადადებას, მაგ.: „მზის შუქმა იქაუ-
 რობა გაანათა“, რომელიც ადვილად დაუკავშირდება პირველ მარტივ
 წინადადებას; მსგავსად პირველი წინადადებისა ვარჩევთ ამ წინადადე-
 ბასაც; აღინიშნება, რომ ორივე წინადადება ცალ-ცალკე გამოხატავს
 დასრულებულ აზრს. ამის შემდეგ მოსწავლეებისათვის აღარაა ძნელი,
 რომ „და“ კავშირის საშუალებით შეაერთონ ისინი და მიიღონ ერთი-
 რთული წინადადება: „ცა მოიწმინდა (1) და მზის შუქმა იქაურობა გაა-
 ნათა (2) (ყაზ.). პირველი წინადადება აღარ ხასიათდება აზრობლივი დასრუ-
 ლებულობით, არც ტონის დადაბლებაა მისთვის დამახასიათებელი. პი-
 რიქით, იგი ამ შემთხვევაში ხასიათდება ტონის ამაღლებით. წინადადე-
 ბები აღარ წარმოადგენენ დასრულებულ აზრების გამოხატველ სინტა-
 ქსურ ერთეულებს, არამედ ორივე ერთად წარმოადგენს ერთ სინტაქსურ
 ერთეულს, რომელიც ხასიათდება ტონის დადაბლებით ერთხელ წინა-
 დადების დასასრულს, რაც, თავის მხრივ, ამ ერთეულში, ე. ი. რთულ
 წინადადებაში შემავალ მარტივ წინადადებათა ერთიანობაზე მიუთითებს.

რთული წინადადების რაობის გარკვევისას შეიძლება მიემართოთ შერ-
 წყმული წინადადების რთულად გადაქცევისაც, მაგალითად ასე:

შერწყმული წინადადება

რთული წინადადება

მზე ამოვიდა და იქაურობა გა-
 ანათა.

მზე ამოვიდა და იქაურობა გა-
 ნათდა.

ამ ორი წინადადების შეპირისპირებით ადვილად გაირკვევა განსხვავ-
 ება მათ შორის. პირველ წინადადებაში ქვემდებარეა „მზე“, რომელ-

¹ შერწყმული წინადადება ძველ სასკოლო გრამატიკებში გაგებული იყო რთულ წი-
 ნადადებად. მაგ., წინადადებაში: „გენახები, ბაღები, მიწდორი და ვილი მოსავლით იყ-
 სება“— ოთხი წინადადებაა გაერთიანებული: 1. გენახები მოსავლით იყსება, 2. ბაღები
 მოსავლით იყსება, 3. მიწდორი მოსავლით იყსება, 4. ველი მოსავლით იყსება. ასეთი
 შეხედულება ამჟამად უკუგდებლია: შერწყმის ფაქტი არ დასტურდება, ე. ი. შერწყმუ-
 ლი წინადადება მარტივ წინადადებათა შერწყმით არაა მიღებული. იგი ენაში დამოუ-
 კიდებლად წარმოქმნილი სინტაქსური ერთეულია. შერწყმულ წინადადებას ზოგჯერ
 მარტივ წინადადებათა რიგშიც აქცევენ. ქართულის მიმართ შერწყმული წინადადების
 რთულთან მიმართებას სპეციალურ განილეს მოითხოვს.

თანაც დაკავშირებულია ორი შემასმენელი: „ამოვიდა“ და „გაანათა“. მეორე წინადადებაში ორი ქვემდებარეა: „მზე“ და „იქაურობა“, რომელთაც ახლავს თავ-თავისი შემასმენელი: პირველს—„ამოვიდა“, მეორეს კი—„განათდა“.

შემდეგ საფეხურზე მოსწავლეებს უკვე მზა რთული წინადადებები უნდა მივაწოდოთ, ამავე დროს ისეთებიც, რომლებიც შედგება არა ორი, არამედ მრავალი (სამი, ოთხი) წინადადებისაგან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რთული წინადადების გაცნობის ამ საფეხურზე არ ხდება დიფერენცირება რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა. ეს რთული წინადადების შესწავლის შემდგომი საფეხურია.

§ 2. რთულ წინადადებათა ტიპები

მარტივ (და შერწყმულ) წინადადებათაგან რთულის მიღება ორი გზით ხდება: თანწყობისა და ქვეწყობის საშუალებით.¹

„თანწყობა ჰქვია ისეთ წინადადებათა დაკავშირებას (გადაბმას), რომლებიც ერთიმეორის მიმართ თანასწორია“.²

მაგალითები: 1. წმინდა გაკრიალებულ ჰაერში ისარივით დაქროდა მარად მზიარული მერცხალი (1) და კოპწია მარდი ტოროლა ხარივით წყრიალა გალობით ლაევარდ სივრცეში დაქანობდა (2) (ლომ. 347), 2. დღემ დაიხურა პირ-ბადე (1), მთებმა დახუქეს თვალები (2), აღარ შეფოთობენ საფლავეში გმირთ ოფლის მღვრელი ძვლები (3) (ვაჯა, III, 165).

პირველ წინადადებაში თანწყობის საშუალებით ორი ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადება შეერთებული, მეორეში კი—სამი.

თანწყობის საშუალებით მიღებულ რთულ წინადადებას რთული თანწყობილი წინადადება ეწოდება.

„ქვეწყობა ჰქვია ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებიც ერთიმეორის მიმართ არაა თანასწორი და რომელთაგანაც ერთი ხსნის მეორეს“.³

მაგალითები: 1. თედემ კარგად იცოდა (1), რომ უწყლოდ წისკვილი არ გაიმართებოდა (2) (ვაჯა, V, 169). 2. ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა რგვლად ამალღებული პატარა გორაკი (1), რომელსაც ფერდოები შემოსილი ჰქონდა ჯერხის ტყითა (2) (ყახ. 646).

ქვეწყობის საშუალებით მიღებულ რთულ წინადადებას რთული ქვეწყობილი წინადადება ეწოდება.

ქვეწყობილი წინადადება შედგება ერთიმეორის მიმართ არათანასწორი უფლების მქონე წინადადებათაგან. მოყვანილ მაგალითებში ორ-ორი ერთიმეორის მიმართ უთანასწორო წინადადებებია შეერთებული. გავაანალიზოთ პირველი წინადადება: მთავარი წინადადებაა „თედემ კარგად

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1946, გვ. 153.

² მისივე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, 1949, გვ. 137.

³ იქვე, გვ. 137.

იცოდა“. იგი შედგება ქვემდებარის (თელემ), შემასმენლისა (იცოდა) და ვითარების გარემოებისაგან და წარმოდგენს მარტივ სრულ, გავრცობილ წინადადებას; შემასმენელი ორპირიანი ზმნაა (იცოდა მან ის); ქვემდებარე წარმოდგენილია (თელემ), პირდაპირი დამატება კი არა. აზრის სისრულისათვის მნიშვნელობა აქვს პირდაპირ დამატება-ობიექტს, რომელიც მეორე წინადადების საშუალებით არის გამოხატული. მათ შორის ურთიერთობას ამ შემთხვევაში კარგად არკვევს კითხვის დასმა: რა იცოდა თელემ კარგად?—„თელემ კარგად იცოდა ის (=რომ უწყლოდ წისკვილი არ დაბრუნდებოდა)“. მაშასადამე, მეორე წინადადება ხსნის მთავარ წინადადებას და ავსებს იმ აზრობლივ ნაკლოვნებას, რასაც განიცდის პირველი წინადადება დამოუკიდებლად.

უთანასწორო წინადადებათა შეერთება გვაქვს მეორე წინადადებაშიც, სადაც მეორე წინადადება უკავშირდება პირველი წინადადების ქვემდებარეს („გორაკი“) და ხსნის, განსაზღვრავს მას.

რთული ქვეწყობილი წინადადება შედგება მთავარი და დამოკიდებული წინადადებისაგან (ან წინადადებებისაგან). მთავარია გაბატონებული, დამოუკიდებელი წინადადება; დამოკიდებული კი ისეთია, რომელიც დაქვემდებარებულია სხვა წინადადების, ე. ი. მთავარის მიერ და ხსნის მას.

რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადების რაობის გარკვევისა და სწავლების დროს მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ რთულ წინადადებაში შემავალ წინადადებათა შორის სინტაქსური მიმართება დაახლოებით ისეთივეა, როგორიცაა მიმართება წინადადების წევრთა შორის მარტივსა და შერწყმულ წინადადებაში. მაგ., „მამალი და კოდალა ყველაფერს კარგად ხელაუდენ დაბლა“ (ვაჟა, VI, 14) შერწყმულია ქვემდებარეების მიხედვით, რომელნიც (ქვემდებარეები: „მამალი“ და „კოდალა“) ერთიმეორის მიმართ თანასწორნი არიან; ორივე თანაბარის უფლებით შედის წყვილში შემასმენელთან, მაგრამ ისინი არ არიან ერთიმეორეზე დამოკიდებული, დაქვემდებარებული, რის გამოც მათ ერთიმეორის მიმართ კითხვაც არ დაესმის. გარეგნულად ერთნაირ წევრთა დაკავშირება „და“-თა გამოხატული, მაგრამ ხშირია ერთიმეორის მიმართ თანასწორი, ერთნაირი წევრების უკავშირო გადამბაც, მაგალითად: „გრძელი, ხშირი, ოქროსფერი თმა კოქებადღე სცემდა“ (ვაჟა, VI, 146). წინადადება შერწყმულია განსაზღვრებების მიხედვით. „გრძელი“, „ხშირი“ და „ოქროსფერი“ ერთიმეორის მიმართ თანასწორნი არიან, სამივე ერთნაირის უფლებით შედის წყვილში ქვემდებარესთან. მაგრამ სხვაგვარია სინტაქსური მიმართება განსაზღვრებისა ქვემდებარესთან, ე. ი. მიმართება მსაზღვრელ-საზღვრულისა, მაგ. „გრძელი თმა“. მსაზღვრელი საზღვრულზეა დამოკიდებული და ხსნის მას. ამიტომ, რომ მას კითხვაც დაესმის: როგორი თმა? ცხადია, რომ „თმა“ და „გრძელი“ (აგრეთვე: „ხშირი“, „ოქროსფერი“) არაა ერთიმეორის

მიმართ თანასწორი, როგორც ეს, მაგალითად, მსაზღვრელების ურთიერთ მიმართებისას გვექონდა.

მაშასადამე, ის ლოგიკურ-სინტაქსური მიმართება, რომელიც შეინიშნება წინადადების წევრთა შორის მარტივსა და შერწყმულ წინადადებაში, შეინიშნება რთულ წინადადებაში შემავალ მარტივ (და შერწყმულ) წინადადებათა შორისაც. აქედან კი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ვ. ა. დობრომისლოვი,¹ სათანადო მეთოდოლოგიური დასკვნაც გამომდინარეობს: რთული წინადადების წარმატებით შესწავლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მოსწავლეებმა კარგად გაიგეს და შეისწავლეს მარტივი და შერწყმული წინადადებები და ამ წინადადებებში წინადადების წევრთა შორის ლოგიკური მიმართება; ამავე დროს, რთული წინადადების სწავლებისას საჭიროა, მასწავლებელმა პარალელური გააულოს მარტივსა და შერწყმულ წინადადებასთან, ამ წინადადებებში შემავალ წინადადების წევრთა ურთიერთმიმართებასა, ერთი მხრით, და რთულში შემავალ მარტივ (და შერწყმულ) წინადადებათა ურთიერთმიმართებას შორის, მეორე მხრით.

რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადების ერთი-მეორისგან განსასხვავებლად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ სქემები. ყოველი მარტივი წინადადების აღსანიშნავად ვიხმაროთ ასეთი პირობითი ნიშანი: .

რთული წინადადების სქემაში გამოხატვისას, ცხადია, ეს პირობითი ნიშანი იმდენჯერ განმეორდება, რამდენი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან შედგება იგი, ოღონდ, იმის მიხედვით, ქვეწყობილია წინადადება თუ თანწყობილი, ამ ნიშანთა (სწორკუთხედების) განლაგება ძხვადასხვავი იქნება. მაგალითად, წინადადება: „კოდალა ხეს უკაკუნებს (1) და ტოროლა ცაში გალობს (2)“ (ერ.)—სქემაში ასე გამოიხატება:



თუ რთულ თანწყობილ წინადადებაში ორზე მეტი წინადადებაა, ცხადია, სქემაც ამის შესაბამისად შეიცვლება. მაგალითად, წინადადება: „შემოდგომა მიიწურა (1), გაემგზავრენ შორს ფრინველნი (2), მინდორველი დაიცალა (3), ტყესაც გასძვრა სამოსელი (4)“ (ვედ.)—სქემაში ასეთ სახეს მიიღებს:

სქემა.



¹ В. А. Добромислов, Сложные предложения, კრებულში: Методические разработки по грамматике. 1919, стр. 284.

რადგანაც რთულ თანწყობილ წინადადებაში შემაჯავლი წინადადებები ერთიმეორის მიმართ თანასწორნი არიან, ამიტომ სქემაში მათი გამომხატველი ნიშნები (სწორკუთხედები) ერთიმეორის გასწვრივ არიან განლაგებული ერთ ჰორიზონტალურ ხაზზე. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, როგორც ვიცით, ერთიმეორის მიმართ უთანასწორო წინადადებებია შეერთებული. ამიტომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებები სხვადასხვა ჰორიზონტალურ ხაზზე ექცევიან: მთავარი, როგორც გაბატონებული, — მაღლა, დამოკიდებული კი, როგორც დაქვემდებარებული, — დაბლა. ამის მიხედვით რთული ქვეწყობილი წინადადების — „სოფელმა კარგად იცოდა (1), რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილ-უბრალო ბაჭიობა და მუქარა არ უყვარდა (2)“ (ქვე. 425) — სქემა ასეთი იქნება:

სქემა.



რთული წინადადების სწავლების მოცემულ საფეხურზე მხოლოდ ისეთ ქვეწყობილ წინადადებათა გამოყენებაა მიზანშეწონილი, როცა დამოკიდებული ბოლოშია.

რთული წინადადების სახეების — თანწყობილისა და ქვეწყობილის განსასხვავებლად შეიძლება მივმართოთ არა მხოლოდ მზა წინადადებათა შეპირისპირებას, არამედ მარტივ და შერწყმულ წინადადებათაგან მათს მიღებას, მაგალითად:

მარტივი წინადადება	რთული თანწყობილი წინადადება	რთული ქვეწყობილი წინადადება
მზე გადიწურა. ნწყემსებმა ლამის სადგურებს მიმართეს.	მზე გადიწურა და მწყემსებმა ლამის სადგურებს მიმართეს. (ყახ. 627).	როცა (ან: რადგანაც) მზე გადიწურა, მწყემსებმა ლამის სადგურებს მიმართეს.
შერწყმული წინადადება	რთული თანწყობილი წინადადება	რთული ქვეწყობილი წინადადება
თოვლმა ერთბაშად დაიწყო დნობა და მდინარეები ადიდა.	თოვლმა ერთბაშად დაიწყო დნობა და მდინარეები ადიდა.	რადგანაც (ან: როცა) თოვლმა ერთბაშად დაიწყო დნობა, მდინარეები ადიდა.

სახელმძღვანელოში იმ პარაგრაფს (122), სადაც რთულ წინადადებათა შედგენასა და მათ სახეებზეა საუბარი, არ ახლავს სავარჯიშო, რაც, რატომ უნდა (ისევე, როგორც სხვა მსგავს შემთხვევაში), არ ნიშნავს, რომ

ასეთი მუშაობა, ე. ი. ვარჯიშობა არ ჩავატაროთ. აქ ჩვენ მუშაობის რამდენიმე სახეზე მივუთითებთ:

1. ჩვენს მიერ მითითებულ ლიტერატურულ მასალაში რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა მონახვა და ამოწერა.

2. მასწავლებლის მიერ მიწოდებულ სიტყვათაგან რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შედგენა.

ნიმუში: ხარი—მოწაფეები.

რთული თანწყობილი წინადადება

ხარი დაირეკა და მოწაფეები კლასებში წვეიდნენ.

რთული ქვეწყობილი წინადადება

როცა ხარი დაირეკა, მოწაფეები კლასებში წვეიდნენ.

მოცემული სიტყვები ამ შემთხვევაში ქვემდებარეებად არის გამოყენებული, რაზედაც მასწავლებელმა წინასწარ უნდა მიუთითოს. შეიძლება ზმნები მიეაწოდოს, მაგ.: „დაირეკა“—„წვეიდნენ“ და მსგავსნი.

3. რთული წინადადების ამა თუ იმ ტიპის დამოუკიდებლად მოფიქრება-შედგენა.

4. მოცემული წინადადების სქემის შედგენა.

5. სქემის შესაბამისი წინადადების მოფიქრება-შედგენა და სხვ.

§ 3. რთული კავშირიანი და უკავშირო წინადადებები

რთულ წინადადებაში შემავალ წინადადებათა გადაბმა ჩვეულებრივ: საკავშირებელი სიტყვების საშუალებით ხდება, მაგრამ ხშირად ეს შეერთება უკავშიროა. ამიტომ რთული წინადადებაც ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო. საკავშირებელი სიტყვები რთულში შემავალი წინადადებების დაკავშირების გარეგნული ნიშანია, უკავშირო შეერთებისას კავშირი მათს შორის გარეგნული ნიშნით არ არის გამოხატული; ამიტომ უკავშირო შეერთებისას ზეპირ მეტყველებაში მათი ერთ წინადადებაში, ერთ სინტაქსურ ერთეულში მოქცევა ძირითადად მხოლოდ ინტონაციაზე დაყრდნობით ხდება.

კავშირიანი შეერთების მაგალითებია: 1. ხმაურობა თანდათან სუსტდებოდა (1) და ღამის უფსკრული მიდამოს ქურდულად ეპარებოდა (2) (ყახ. 627). 2. კოდალა ხეს უკაუნებს (1) და ტოროლა ცაში გალობს (2) (ვრ.). 3. ეს ყველამ ვიცით (1), რომ მგლები გაუმაღარნი არიან (2) (ცახელი).

უკავშირო შეერთების მაგალითებია: 1. ილევა ბინდი ღამისა (1), ცაში ვარსკვლავნი ქრებიან (2), ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მივგებვიან (3) (ოზბ. 93). 2. ჰყოდა შემინებული მამალი (1), ჰყოდა გაცოფებული არუბი (2), წიოდნენ გულგახეთქილი წიწილები (3), კიკვიებდნენ ინდაურები (4), სასინებდნენ ბატები (5), ჰყფდნენ ძაღლები (6) (რახ. 313).

ზოგჯერ შეერთება ერთი წინადადების ფარგლებში კავშირიანიც არის და უკავშიროც.

მაგალითები: 1. ღამები ვადიდდა (1), ნადირი ცხვარს ეტანებოდა უფრო მეტად (2) და ძაღლები აღარ ისვენებდნენ (3) (ყახ. 530). 2. რუს ფშები მომბატა (1), წამოვიდა საკმაო წყალი (2) და დაბრუნდა წისქვილი (3) (ეაეა, V, 109).

წინადადებათა დასაკვეშირებლად გამოყენებულია ფორმაცვალეზადი და ფორმაუცვლელი სიტყვები¹. სახელდობრ: კ ა ვ შ ი რ ე ბ ი, მი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი და მი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ ი. როპელთაც მოსწავლეები რამდენადმე იცნობენ, როგორც მორფოლოგიის, ისე სინტაქსის კურსიდან. სახელმძღვანელოს 123 და 124 პარაგრაფების მიხედვით მოსწავლეები ეცნობიან, რომ რთულ წინადადებაში წინადადებათა შესაერთებლად გამოყენებულია მეტყველების სხვადასხვა ნაწილი და ეს გაცნობა ამ საფეხურზე რამდენადმე მაინც ზოგადი ხასიათისაა, რადგანაც მოსწავლეებს აქ არაფერს ვეუბნებით იმის შესახებ, თუ რთულ წინადადებაში რა და რა სახის წინადადებათა შესაერთებლად არის გამოყენებული ესა თუ ის საკავშირებელი სიტყვა. კონკრეტულ მაგალითებზე ნათ ვაცნობთ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ, მი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი თ ა და მი მ ა რ თ ე ბ ი თ ი ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ ი თ შეერთების შემთხვევებს, მაგალითად:

ა) კავშირებით შეერთების მაგალითები:

1. ცა მოიწმინდა (1) და მხის შუქმა იქაურობა გაანათა (2) (ყახ. ნჰჰ). 2. გაშმაგებული მხის სხივი მოუსვენრად ჰლამოდა მათის მშენიერებით დატკობას (1), მაგრამ მდუღლოთ კველუცი მორცხვად პირს არიდებდნენ (2) (ყახ. 710). 3. ოთარაანთ ჭკრივი ამ ბოლო ხანებში ჰხედავდა (1), რომ შვილს გუნება ეცვალა (2) (კავ. 457). 4. კოლოც კი წააქევეს ცხენსა (1), თუ დიდი მგელი უშველის (2) (ანდ.).

ბ) მიმართებითი ნაცვალსახელებით შეერთების მაგალითები:

1. ჩემი ვენახი შეღობილია მალალი მესრით (1), რომელსაც ზემოდან ძეძვი ადევს (2) (რაზ. 136). 2. კაცი ის არის (1), ვინც მამულს გამოადგება შვილად (2) (ერ. 1, 183). 3. კობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალალებული ხარი (1), როგორც იდგა კლდის წვერზედ (2) (ყახ. 349). 4. შალვამ დედასაც უამბო (1), რაც ნახა და გაიგონა (2) (ვაჟა, V, 163).

გ) მიმართებითი ზმნიზელებით შეერთების მაგალითები:

1. უზარმაზარი არწივიც თავს დასტრიალებდა იმ ხეობას (1), სადაც ხალხი ეძებდა დაკარგული ბერიძის გვამს (2) (ვაჟა, VI, 322). 2. როცა დავითი შინ მივიდა (1), სალამო ხანი იყო (2) (კავ. 368). 3. როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა (1), ხალხს გამოუტბადა ნუგზარ ერისთავის სურვილი (2) (ყახ. 718). 4. არც ერთი დედა შვილს არ გაუფრთხილდებოდა ისე (1), როგორც ბჭი დროშას უფრთხილდებოდა (2) (ვაჟა, VI, 357).

რთული წინადადების შესწავლის მოცემულ საფეხურზე მოსწავლემ ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით უნდა მიიღოს შემდეგი ცოდნა-ჩვევანი:

1. რთული წინადადება ორგვარი: კავშირიანი და უკავშირო.
2. კავშირიან რთულ წინადადებაში შემავალ წინადადებათა შესაერთებლად გამოყენებულია საკავშირებელი სიტყვები: კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზელები.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, კართ. ენის გრამატიკა, ნაწ. 11, სინტაქსი, 1949, გვ. 137.

3. უკავშირო შეერთებისას რთულში შემაველ წინადადებათა შეერთების საშუალებას ზეპირ მეტყველებაში ინტონაცია წარმოადგენს.

სახელმძღვანელოში სავარჯიშოები არც იმ პარაგრაფებს (§ 123, § 124) ახლავს, სადაც შეერთების ორნაირ საშუალებასა და საკავშირებელ სიტყვებზეა საუბარი. მიზანშეწონილია ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდეს შემდეგი ვარჯიშობანი:

1. კავშირიან და უკავშირო წინადადებათა მონახვა ტექსტში.

2. წყვილ მარტივ წინადადებათაგან კავშირიანი რთული წინადადების (თანწყობილის ან ქვეწყობილის) შედგენა.

3. რომელიმე საკავშირებელი სიტყვის დასახელება და მისი საშუალებით რთული წინადადების შედგენა.

4. რთული წინადადების საკავშირებელი სიტყვის გამოტოვება და მისი აღდგენა მოსწავლეთა მიერ.

5. რთული წინადადების ანალიზი შემდეგი კითხვების მიხედვით:

ა) რამდენი წინადადებისაგან შედგება?

ბ) თანწყობილია თუ ქვეწყობილი?

გ) კავშირიანია თუ უკავშირო?

დ) თუ კავშირიანია, რა მეტყველების ნაწილია საკავშირებელი სიტყვა?...

ყველაფერი ის, რაც ჩვენ ზემოთ გვაქვს განხილული (ნ. § 1, § 2, § 3), ერთგვარი მოსამზადებელი საფეხურია რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა საგანგებო განხილვა-შესწავლაზე გადასასვლელად.

რთულ წინადადებათაგან პირველ რიგში ვაძნობთ რთულ თანწყობილ წინადადებას: ჯერ—კავშირიანს, შემდეგ კი—უკავშიროს.

II. რთული თანფარობილი წინადადება

§ 1. რთული კავშირიანი თანფარობილი წინადადება

რთულ კავშირიან თანწყობილ წინადადებაში წინადადებათა დასაკავშირებლად გამოყენებულია შერწყმული წინადადების კავშირები: მაჯგუფებელი, მაცალკეებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი (მაგრამ უმეტესად, როგორც სახელმძღვანელოშია აღნიშნული, სამი პირველი). ამიტომ რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადების შესწავლა უნდა ვაწარმოოთ მისი შერწყმულ წინადადებასთან შეპირისპირების გზით.

პირველ რიგში ვაცნობთ კავშირიანი თანწყობილი წინადადების ისეთ შემთხვევებს, როდესაც საკავშირებლად გამოყენებულია მაჯგუფებელი კავშირები: ამათგან ყველაზე მარტივი, ტიპობრივი და ამავე დროს მოსწავლეებისათვის ნაცნობი კავშირია „და“. ამიტომ კავშირიანი თანწყობილი წინადადების სწავლებას და-თი შეერთების შემთხვევებით ვიწყებთ.

„და“-თი შეერთებულ წინადადებათა გამაერთიანებელ მომენტს შინაარსობრივ შეიძლება წარმოადგენდეს მოქმედების ერთდროულობა, თანამიმდევრობა და ერთდროულ ან თანამიმდევრულ მოქმედებათა მიზეზ-შედეგობრიობა.

ა) „და“ აერთებს მოქმედების ერთდროულობის გამომხატველ წინადადებებს.

მაგალითები: 1. წმინდა გაკრიალებულ ჰაერში ისარივით დაჭროდა მარად მზიარული მერცხალი (1) და კოწია მარდი ტორალა ხარივით წკრიალა გალობით ლაქვარდ იერცხში დაქანობდა (2) (ლომ. 347). 2. კოდალა ხეს ჟაკუნებს (1) და ტორალა ცაში გალობს (2) (ერ.).

ბ) „და“ აერთებს მოქმედების თანამიმდევრობის გამომხატველ წინადადებებს.

მაგალითები: 1. თოფების ხმა გაისმა (1) და მალე სულ სხვა სანახავი ენახე (2) (ვაჟა). 2. ბუჩქი შეინძრა (1) და პატარა კვრულელი გადმოხტა (2).

გ) „და“ აერთებს მოქმედების თანამიმდევრობისა და მიზეზ-შედეგობრიობის გამომხატველ წინადადებებს.

მაგალითები: 1. კლასს ნისლი დააწვა შავად (1) და არე-მარე უფრო დაბნეულა (2). 2. ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალმა (1) და ონისემ მიწაზე ფართხალი დაიწყო (2) (ყაზ. 756). 3. ერთბაშად რაღაცა შრიალი მოისმა (1) და აშაანაგები შეკრთნენ (2) (ყაზ. 113).

მოქმედების ერთდროულობა, თანამიმდევრობა და (ერთდროულ ან თანამიმდევრულ მოქმედებათა) მიზეზ-შედეგობრიობა გამოხატულია აგრეთვე ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაშიც. ამიტომ მათი (ე. ი. „და“-თი შეერთებულ თანწყობილ და შერწყმულ წინადადებათა) შეპირისპირება აქაც საკიროა, მაგალითად ასე:

კავშირი	აზრობლივი დამოკიდებულების ხასიათი	შერწყმული წინადადება	რთული თანწყობილი წინადადება
I. მაჯგუფებელი და	ა) ერთდროულობა	ზღვა ლელავს და ტალღებს ნაპირებს ახლის.	ზღვა ლელავს და ტალღები ნაპირებს ეხლება.
	ბ) თანამიმდევრობა	ძლიერმა ქარმა დაქპროლა და ბურუსი გაფანტა.	ძლიერმა ქარმა დაქპროლა და ბურუსი გაიფანტა.
	გ) მიზეზ-შედეგობრიობა	ერთბაშად რალაცა შრიალი მოისმა და ამხანაგები შეაკოთო.	ერთბაშად რალაცა შრიალი მოისმა და ამხანაგები შეკრთნენ. (ყაბ. 113). ¹

მოქმედების ერთდროულობის გამომხატველ წინადადებათა ადგილების შენაცვლება ჩვეულებრივ აღვილია, რაც აზრის შეცვლას არ იწვევს. მაგ., „მე წიგნს ვკითხულობ და გივი სურათს ხატავს“ და „გივი სურათს ხატავს და მე წიგნს ვკითხულობ“ აზრობლივ ერთნაირია, მიუხედავად იმისა, რომ წინადადებათა რიგი სხვადასხვანაირია.

თანამიმდევრობისა და მიზეზ-შედეგობრიობის გამომხატველ წინადადებათა ადგილების შენაცვლება შეუძლებელია, რადგანაც ეს შეცვლა არღვევს რთულში გაერთიანებულ წინადადებათა შორის დამყარებულ აზრობლივ მიმართებას: იძლევა სხვა აზრს, ანდა შეიცავს უაზრობას. მაგ., „ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალმა (1) და ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო“ (2) (ყაბ.) და: „ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო (1) და ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალმა“ აზრობლივ სხვადასხვაა: პირველ შემთხვევაში მარტივ წინადადებათა აზრობლივი მიმართება სწორადაა გამოხატული, მეორეში კი ეს მიმართება დარღვეულია და რთული წინადადებაც აზრობლივ გაუმართლებელია. მსგავსი მიმართება გვაქვს ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაშიც. მაგ., „სტუმარი ადგა და წავიდა“ აზრობლივ გამართულია; მასში გამოხატულია მოქმედების თანამიმდევრობა (სტუმარი ჯერ „ადგა“ და მერე „წავიდა“), მაგრამ „სტუმარი წავიდა და ადგა“ უაზრობას შეიცავს.

„რთულ თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებულ მარტივ წინადადებებს შეიძლება რომელიმე წევრი საერთო ჰქონდეთ“.¹

ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, სინტაქსი, 1949, გვ. 137.

მაგალითი: 1. ყორანი იჯდა ზუის ვრთ ხმელს ტოტზე (1) და თვალგბი-
 დან ცრემლი დააღლებით ჩამოსდიოდა (2) (ვაჟა).

„ყორანი“, რომელიც ქვემდებარეა პირველ წინადადებაში, აზრის მიხედვით იგულისხმება მეორე წინადადებაშიც, როგორც ირიბი დამატება (ყორანს ჩამოსდიოდა ცრემლი).

„უარყოფითი რთული წინადადების ნაწილებში „არც“ და „ვერც“ გამოვრდება; „და“ შეიძლება იყოს, შეიძლება არა“¹. შერწყმულთან შეპირისპირება აქაც საკიროა, რადგანაც ეს ნაწილაკები შერწყმულ წინადადებაშიც გვხვდება. მაგალითად:

შერწყმული წინადადება	რთული თანწყობილი წინადადება
1. არც წიგნს ვკითხულობ, არც (ან: და არც) სურათს ვხატავ.	არც მე ვწერ ლექსებს, არც (ან: და არც) ვანო ხატავს სურათს.
2. ვერც წიგნს ვკითხულობ, ვერც (ან: და ვერც) სურათს ვხატავ.	ვერც მე ვწერ ლექსებს, ვერც (ან: და ვერც) ვანო ხატავს სურათს.

საკიროა მოსწავლეებს მიუფითოთ იმაზეც, რომ, როცა „არც“ და „ვერც“ ნაწილაკები მეორდება რთული წინადადების ნაწილებში, ერთი წინადადება მეორისაგან მძიმით გამოიყოფა, თუ „და“ კავშირი არაა გამრყენებული.

რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადების სწავლების შემდგომ საფეხურს მაცალკეებელ კავშირიანი თანწყობილი წინადადების გაცნობა წარმოადგენს. აქ ჩვეულებრივ გამოყენებულია „ან—ან“ („ან—ანდა“, ან—ან კიდევ...), „ხან—ხან“ (ხან—ხან კიდევ), „თან—თან“.

„ან—ან მიგვითითებს, რომ მოყვანილ წინადადებებში დასახელებულ ამზავთაგან ერთ-ერთია შესაძლებელი“.²

მაგალითი: 1. ან კოდალა უკაუნებდა ხეს თავის ნისკარტს (1), ან ჩხიკვი ჩაოდა გაანჩხლებული (2).

„ხან—ხან მიგვითითებს, რომ ერთ ამბავს მეორე სცვლის“.³

მაგალითები: 1. ხან კოდალა უკაუნებდა ხეს თავის ნისკარტს (1), ხან ჩხიკვი ჩაოდა გაანჩხლებული (2). 2. მის შორიანხლო ხან შევარდენი გამოინავარდებდა (1), ხან ქორი გამოქპროლებდა (ვაჟა, VI, 84).

თან—თან გამოხატავს მოქმედების ერთდროულობას.

მაგალითი: 1. თან წვიმდა, თან კარი ქროდა.

მაშასადამე, მაცალკეებელი კავშირებით შეერთებულ რთულ წინადადებაში გამოხატულია ერთ-ერთის შესაძლებლობა, მონაცვლეობა და მოქმედების ერთდროულობა. მსგავსი მდგომარეობა გვაქვს ხშირად შერწყმულ წინადადებაშიც, როცა საკავშირებლად ზემოთ დასახელებული სიტყვებია გამოყენებული.

მაგალითები: 1.... ხან ცხენიდანა ხტებოდა, ხან ხედვე შეფრინდებოდა (ვაჟა).

2. ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს შევწირავ შენს მგობრობას (წერ.). 3. მელია თან ბუჩქს ეფარება, თან თვალს ვერ აშორებს ჩიტს.

¹ ა. შანიძე, კართული ენის გრამატიკა, სინტაქსი, 1949, გვ. 187.

² იქვე, გვ. 159.

³ იქვე, გვ. 158.

მოყვანილ შერწყმულ წინადადებათაგან პირველ წინადადებაში ერთ-გვარი შემასმენლებით გადმოცემულ მოქმედებათა მონაცვლეობაა გამოხატული, მეორეში—ერთ-ერთის შესაძლებლობა, მესამეში კი—მოქმედების ერთდროულობა. მაშასადამე, რთულ თანწყობილ და შერწყმულ წინადადებათა შეპირისპირება აქაც საკიროა. ამავე დროს საკიროა იმაზე მითითებაც, რომ, როგორც შერწყმულში, ისე თანწყობილშიც, ამ კავშირებთან ერთად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს „და“ კავშირიც და მაშინ ერთი წინადადება მეორისაგან მძიმით აღარ გამოიყოფა.

უკანასკნელ რიგში ისეთ შემთხვევებს ვაცნობთ, როდესაც წინადადებათა დასაკავშირებლად გამოყენებულია მაპირისპირებელი კავშირები. თუ ეს კავშირები შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენლებს აპირისპირებს, აქ მათი საშუალებით წინადადებათა დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე. ამიტომ მაპირისპირებელ კავშირიანი თანწყობილი წინადადების წარმატებით შესწავლისათვის საკიროა აგრეთვე მისი შერწყმულ წინადადებასთან შეპირისპირება.

თანწყობილი წინადადების ძირითადი მაპირისპირებელი კავშირებია „მაგრამ“, „ხოლო“ და „კი“, შეიძლება შევხვდეთ სხვებიც: „ოღონდ“, „არა—არამედ“ (კი არა—არამედ) და სხვ.

„მაგრამ“ იწყებს ყოველთვის მეორე წინადადებას და პირველთან აპირისპირებს; მის წინ მძიმე დაისმის.

მაგალითები: 1. მურმები აიშლნენ (1), მაგრამ ჩვენმა პეტრემ თავისი სტუმრები თავის ადგილას ველარა ნასა (2) (კავ. 40მ). 2. ძაღლები გამოესივნენ (1), მაგრამ ყაწვილმა თუშმა მოაშორა (2) (ყახ. 150). 3. ინდურებმა დაჰკიენეს და დაესივნენ (1), მაგრამ ჩვენმა მამალმა კინკრებში შეასწრო და ამით უშველა თავსა (2) (ვაჯა, V, 159).

პირველსა და მეორე წინადადებაში „მაგრამ“ აპირისპირებს მარტივ წინადადებებს, მესამეში კი—შერწყმულ წინადადებებს. მეორე და მესამე რთულ წინადადებებში გაერთიანებულ წინადადებათ საერთო წევრებიც მოეპოვებათ. მაგ., მეორე წინადადებაში საერთო წევრია „ძაღლები“, რომელიც წარმოდგენილია თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში და ქვემდებარეა, მეორე ნაწილში კი იგი არაა წარმოდგენილი, მაგრამ იგულისხმება, როგორც პირდაპირი დამატება-ობიექტი (მოაშორა ძაღლები); მესამე წინადადებაში საერთო წევრი („მამალი“) წარმოდგენილია არა თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში, არამედ მეორეში; იგი („მამალი“) ქვემდებარეა მეორე წინადადებისათვის („... მამალმა კინკრებში შეასწრო და უშველა თავსა“) ირიბი დამატება-ობიექტი პირველისათვის. პირველი თანწყობილი წინადადების ნაწილებს საერთო წევრი არ გააჩნიათ.

„ხოლო“¹ კავშირიც იწყებს ყოველთვის მეორე წინადადებას; მის წინ ყოველთვის მძიმე დაისმის.

¹ „ხოლოს“ ნაცვლად ხოლოვითი შეცდომით ხმარდბს სიტყვას „ხოლოდ“. ნასწავლებელმა ამ მომენტს ყურადღება უნდა მიაქციოს. ხოლო“ კავშირია, „ხოლოდ“—ნაწილაკი.

მაგალითები: 1. კოდლა დღე გაჰიოდა და მთელს ტყეს ახმურებდა (1), ხოლო ღამლამოხით ბუ ეწეოდა მის მაგიერობას (2) (ვაეა, VI, 92). 2. ძალი ხელებს ულოკავდა (1), ხოლო მწყეუსი თავზე ხელს უსვამდა და ალერსიანად ჩაელაპარაკებოდა (2) (ვაეა, VI, 231).

მეორე თანწყობილი წინადადების ნაწილებს რამდენიმე საერთო წევრი მოეპოვებათ. მაგ., „ძალი“, რომელიც ქვემდებარედ არის წარმოდგენილი პირველ ნაწილში, იგულისხმება მეორე ნაწილშიც, როგორც დამატება-ობიექტი. საერთო წევრია აგრეთვე მეორე ნაწილში ქვემდებარედ წარმოდგენილი „მწყეუსი“, რომელიც ირიბ დამატება-ობიექტად იგულისხმება პირველ ნაწილში (ხელებს ულოკავდა მწყეუსს).

„კი“ კავშირი ყოველთვის თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილშია მოქცეული.

მაგალითები: 1. ბატანი ერთი ბლოდა (1), ძუძუ კი ათასა ჰზიოდაო (2) (ანდ.). 2. მარო გახარებული შინ წაიდა (1), დაღონებული კაჰკაჰები კი წნორებზე ჩამწყვიდნენ და ვაბებს ლაპარაკი (2) (რახ. 318).

დასაპირისპირებლად, როგორც სახელმძღვანელოში აღნიშნული, კი-ც საკმარისია, მაგრამ ხდება მისი გაძლიერება სხვა კავშირით („და“, „მაგრამ“, „ხოლო“).

მაგალითები: ა) და.. კი: 1. სხვები ლხინობდნენ (1) და მე კი ლული ცრემლისა თვალზედ არ მშრებოდა (2) (ჰავ. 152). (2) მოსაუბრე გაჩერდა (1) და გონა კი მთლად სმენად გადაიქცა (2) (ყახ. 745).

ბ) მაგრამ-კი: 1. დილის მზე ჯერ არსად ჩანდა (1), მაგრამ მისი სხივები კი ქვევიდან უკვე ელამუნებოდნენ კაკასიის მთის მწვერვალს (2) (ვედ. III, 119).

გ) ხოლო-კი: 1. უსულდგმულო ბუფებამ ხმა მისცა (1), ხოლო სულიერი არსებანი კი სდუმდნენ (2) (ლომ. 472). 2. ტრფდები გაკვრით მიდიოდნენ (1), ხოლო მწყერი კი მალე დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა (2) (ვაეა, V, 99).

„კი“-სთან დაკავშირებით დამატებით საჭიროა შემდეგ მომენტებს მიექცეს ყურადღება: ა) „კი“ ზოგჯერ მხოლოდ ნაწილაკია და არა საკავშირებელი.

მაგალიტი: ყიყიყოს დასაბახებლად გულიც კი აუყუნცულდა, მაგრამ ჯეცრად პაწია გონია გამოცუნცულდა (მღვ.).

ბ) როცა „კი“-სთან ერთად გასაძლიერებლად სხვა კავშირიც არის, უნეტეს შემთხვევაში სჯობს მარტო „კი“-ს დატოვება.

გ) როცა გასაძლიერებლად „და“ კავშირია გამოყენებული, ერთი წინადადება მეორისაგან მძიმით აღარ გამოიყოფა, სხვა შემთხვევებში კი წინადადებათა მიჯნაზე მძიმე დაისმის.

რთულ კავშირიან თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებული წინადადებები, როგორც ეს რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადების განხილვამ დაგვანახვა, შეიძლება გამოხატავდეს: მოქმედების ერთდროულობას, თანამიმდევრობას, ერთდროულ ან თანამიმდევრულ მოქმედებათა მიზეზ-შედეგობრიობას, რთული წინადადების ნაწილებში დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთის შესაძლებლობას (სხვების გამორიცხვით), მონა-

კვლეობასა და დაპირისპირებას... წინადადებათა შორის აღნიშნული ლოგიკური მიმართება გარეგნულად სხვადასხვაგვარად არის გამოხატული. საკიროა რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადება ამ მომენტითა (ე. ი. ლოგიკური მიმართებისა და გარეგნული ნიშნების) ერთიანობის ფონზე იქნეს განვილული წარმოთქმისა და მართლწერის საკითხების გათვალისწინებით. მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა და ცალ-ცალკე განხილვა, ან რომელიმე მხარის უგულებელყოფა, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. ამავდროს რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადების სხვადასხვა მომენტი. როგორც ეს ზემოთაღკვეთს აღნიშნული, შერწყმულ წინადადებასთან შეპირისპირების გზით უნდა გაეაცნოთ.

რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადების სწავლებისას მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მუშაობის შემდეგი სახეები:

ა) ტაბულის შედგენა კავშირიან შერწყმულ და რთულ კავშირიან თანწყობილ წინადადებებზე.¹

შერწყმული წინადადება		კავშირიან დასახელება	რთული თანწყობილი წინადადება	
კლასში შესრულებული ნიმუშები	მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად შესრულებული შინ		კლასში შესრულებული ნიმუშები	მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად შესრულებული შინ

ასეთი ტაბულები სასურველია შედგეს გზადაგზა მაჯგუფებელ, მაცალკევებელ და მაპირისპირებელ კავშირიან თანწყობილ წინადადებასთან დაკავშირებით გაცნობის თანამიმდევრობის მიხედვით. რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადების შესწავლის დასასრულს მოხდება ჩატარებული მუშაობის შეჯამება და ტაბულაც დაახლოებით ასეთ გამოთლიანებულ სახეს მიიღებს.

კავშირები	აზრობლივი მიმართება	შერწყმული წინადადება	რთული თანწყობილი წინადადება
1. მაჯგუფებელი: ა) და	ა) ერთდროულობა ბ) თანამიმდევრობა გ) მიზეზ-შედეგობრიობა	მაგალითები	მაგალითები
2. მაცალკევებელი: ა) აბ—ან ბ) ხან—ხან	ერთ-ერთის შესაძლებლობა მონაცვლეობა		
3. მაპირისპირებელი ა) მაგრამ ბ) ხოლო გ) კი	დაპირისპირება-თანამიმდევრობა დაპირისპირება		

¹. ზოგი ნიმუში მოცემულია ზემოთაღკვეთს.

ბ) სტილისტიკური ვარჯიშობის მიზნით მარტივ წინადადებათა წყვილ-
 ლეულებისაგან რთულ კავშირიან თანწყობილ წინადადებათა შედგენა-

ნიმუში:

1. ა) ნზე ამოვიდა.
 ბ) კავკასიონის ქედი ოქროსფრად აელვარდა.
2. ა) ვანომ ამხანაგს დაუძახა.
 ბ) ამხანაგმა ვანოს ხმა ვერ გაიგონა.
3. ა) შემოდგომაზე შერცალები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ.
 ბ) შაშვეები და ჩხართუები ჩვენთან დარჩნენ.

დავალების შესრულებამ ასეთი სახე უნდა მიიღოს:

მარტივ წინადადებათაგან რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადებების
 შედგენა

მარტივ წინადადებათა წყვილულები	რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადებები
<ol style="list-style-type: none"> 1. ა) ნზე ამოვიდა. ბ) კავკასიონის ქედი ოქროსფრად აელვარდა. 2. ა) ვანომ ამხანაგს დაუძახა. ბ) ამხანაგმა ვანოს ხმა ვერ გაიგონა. 3. ა) შემოდგომაზე შერცალები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. ბ) შაშვეები და ჩხართუები ჩვენთან დარჩნენ. 	<ol style="list-style-type: none"> 1. ნზე ამოვიდა და კავკასიონის ქედი ოქროსფრად აელვარდა. 2. ვანომ ამხანაგს დაუძახა, მაგრამ ამხანაგმა ვანოს ხმა ვერ გაიგონა. 3. შემოდგომაზე შერცალები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ, შაშვეები და ჩხართუები კი ჩვენთან დარჩნენ.

გ) კავშირიანი შერწყმული წინადადების რთულ კავშირიან თანწყობილ წინადადებად გადაქცევა და, პირიქით, რთულისა—შერწყმულად. ასეთი სავარჯიშოები სტილისტიკურ-სინტაქსური ხასიათისაა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აქვს პუნქტუაციურ ჩვევათა გამომუშავების თვალსაზრისითაც.

დ) მითითებულ ლიტერატურულ მასალაში კავშირიანი თანწყობილი წინადადების მაგალითების მონახვა და ამოწერა.

ე) ამა თუ იმ კავშირის გამოტოვებით წაკითხულ წინადადებაში შესაბამისი კავშირის აღდგენა წინადადებათა აზრის მიხედვით.

ვ) ამა თუ იმ კავშირის დასახელება და მისი გამოყენებით წინადადების შედგენა.

ზ) თხზულების დაწერა მერთებელი კავშირების გამოყენებით რომელიმე თემაზე, მაგ., „პირველი სექტემბერი“, „ჩვენი სკოლა“ და სხვ.

თ) დასახელებულ წყვილ სიტყვათაგან ამა თუ იმ კავშირის გამოყენებით თანწყობილ წინადადებათა შედგენა.

ნიმუში: შემოდგომა—კოლმეურნეები.

შემოდგომა დადგა და კოლმეურნეებმა უხვი მოსავლის აღება დაიწყეს.

ი) კარნახით წერა კავშირიან თანწყობილ წინადადებაში სასვენ ნი-
 შანთა ხმარებასთან დაკავშირებით და სხვ.

„წინადადებათა უკავშიროდ გადაბმა ჩვეულებრივი მოვლენაა ხალხურ პეტყველებსა და ხალხურ პოეზიაში; ის გვხვდება აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურაში (პროზასა და პოეზიაში, განსაკუთრებით უკანასკნელში) და სამეცნიერო ხასიათის ნაწერებში“¹.

რთულ უკავშირო თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებულ მარტივ (ან შერწყმულ) წინადადებათა შორის ლოგიკური კავშირი ისე დიდია, რომ ისინი ერთ სინტაქსურ ერთეულს ქმნიან, ერთ რთულ აზრს გამოხატავენ. ასეთი შეერთება ხშირია, „როცა რომელიმე მოვლენის აღწერაა, სადაც სურათები სწრაფად სცვლის ერთმანეთს, ან კიდევ ჩამოთვლაა სხვადასხვა ამბისა, ან მათი დაპირისპირება“². „წინადადებები მოკლემოკლეა“³, „მათ ზედიზედ წარმოეთქვამთ“⁴, „შესვენება მათ შორის (პაუზა) ძალიან მცირეა, რაც დაწერის დროს მძიმით აღინიშნება (წერტილის დაწერა ბუნებრივ კავშირს გაწყვეტდა მათ შორის)“⁵.

შაბალითები: 1. ილევა ბინდი ლამისა (1), ცახ ვარსკვლავნი ქრუბიან (2), ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებვიან (3) (ორბ.). 2. დაპბერა ჩრდილოეთის ქარმა (1), ყვავილებმა თავები დაბარა (2), ბალახი მოიშუშა, მოღუნდა და ჩამჩვარდა (3) (ყახ. 537). 3. ინისმა ხმამ დაიარა მთები და კლდეები (1), ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს (2), ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზედ (3) (ყავა, V, 15).

პირველ წინადადებაში უკავშიროდ შეერთებულია სამი მარტივი წინადადება, მეორეში—ორი მარტივი (1,2) და ერთი შერწყმული (3), მესამეში კი—ორი შერწყმული (1,2) და ერთი მარტივი (3).

სურათების სწრაფად ცვლისა და სხვადასხვა ამბის ჩამოთვლის კარგი ნიმუშებია:

1. თავისუფალთ ყმობას უქადდნენ (1), დამაყრებელი მეზობლები ომს უცხადებდნენ (2), გაუშაქლარი ნუჯხარ ერისთავი ლომავით ბრღლენიავდა (3), მის განუსახლრველს წადილს ხალხის დამონებისას მარტო მთიულეთი ვეღარ აკმაყოფილებდა (4), მისი ბატონური მოთხოვნილება თავისუფალ მეზობლებთან ვეღარ თავსდებოდა (5), იმათი დამორჩილება უნდოდა... (6) (ყახ. 717).

2. მთაში ვაკაცო კედებოდა (1), მზე წითლდებოდა, ცხრებოდა (2), ცა სქექდა (3), მიწა გრგვინავდა (4), სული გვიანდა მხდებოდა (5). ჩამოდიოდა ვარსკვლავი (6), მთვარე უკულმა დგებოდა (7), ქორ-შევარდენი, არწივი სულ მხრებით იხოშებოდა (8), მალღის ჰიუნის ნადირი სატირლად ეშაადებოდა (9), ცხენი იმისი ტიალი ლურჯა ტოტხედა დგებოდა (10), ცოლი იმისი, ბეჩაევი, სულ შავად იხოშებოდა (11), დედას იმისას, საბრალოს, ტირილით სული მხდებოდა (12), მამა იმისი, ბეჩაევი, თმა-წვერით იხოშებოდა (13) (ხალხ.).

უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებას შეიძლება ჰქონდეს აზრი ანუ თუ იმ კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებისა. მაგალითად,

¹ ა. შანიძე, სინტაქსი, 1919, გვ. 140.

² იქვე, 140.

„დღემ დაიხურა პირბადე (1), მთებმა დახუქეს თვალები“ (2) (ვაგაპ აზრით იგივეა, რაც: „დღემ დაიხურა პირბადე და მთებმა დახუქეს თვალები“. კავშირის ჩასმით რთულ წინადადებაში გაერთიანებულ წინადადებათა ლოგიკური მიმართება არ შეცვლილა.

უკავშირო თანწყობილ წინადადებაში ზოგჯერ სხვა კავშირების ჩასმაც შეიძლება ისე, რომ მასში გაერთიანებულ წინადადებათა შორის ლოგიკური მიმართება არ შეიცვლება, როგორც, მაგალითად:

უკავშირო

კავშირანი

1. დედაჩემი დაწებოდა ხოლმე გორაკზე (1). მე გვერდით მოუუწებოდი (2) (ვაგაპ, V, 10).
2. აქ იყვნენ მარტოკა კაცები (1), ქალები არსად ჩანდნენ (2) (ყახ. 690).
3. ბევრი უშალეს (1), არ დაიშალა (2) (წერ.).

- დედაჩემი დაწებოდა ხოლმე გორაკზე (1). მე კი გვერდით მოუუწებოდი.
- აქ იყვნენ მარტოკა კაცები (1). ქალები კი არსად ჩანდნენ (2). (ან: ხოლო ქალები არსად ჩანდნენ).
- ბევრი უშალეს (1). მაგრამ არ დაიშალა (2).

მაშასადამე, უკავშირო თანწყობილ წინადადებას შეიძლება ჰქონდეს აზრი ამა თუ იმ კავშირიანი თანწყობილი წინადადებისა:

ა) უკავშირო თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებული წინადადებები გამოხატავს მოქმედების ერთდროულობას.

მაგალითები: 1. კრავები კუნტრუშებენ (1). თიკნები დაბტიან (2), კვიცები კორიალებენ (3) (წერ.), 2. ჭყიოდა შეშინებული მამალი (1), ჭყიოდა გაცოფებული კრუხი(2), წიოდნენ გულგახეთქილი წიწილები (3), კიკვიცებდნენ დაფორიკებული ინდაურები (4), სისინებდნენ ბატები (5), ჭყეფდნენ ძაღლები (6) (რახ. 519).

ნოქმედების ერთდროულობის გამოხატველ უკავშირო თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებულ წინადადებათა რიგი თავისუფალია, ე. ი. ადგილების შენაცვლებით აზრი არ იცვლება. მაგალითად, მოყვანილ რთულ წინადადებებში, როგორც არ უნდა გადავსვა-გადმოვსვათ მათში გაერთიანებული მარტივი წინადადებები, წინადადებათა აზრობლივი მიმართება არ შეიცვლება¹.

ბ) უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში გამოხატულია მოქმედების თანამიმდევრობა.

მაგალითი: 1. შუქურ ვარსკვლავი მობრძანდა (1), ის ძალიან დაათურესა (ხალხ.).

¹ ზოგჯერ მეორდება ერთი და იგივე ქვემდებარე ან შემასმენელი.

მაგალითები: 1. თერგი რბის (1), თერგი ღრიალებს (ორბ.). 2. მთაც ხარობდა (1). ბარიც ხარობდა (2).

პირველ წინადადებაში მეორდება ქვემდებარე, მეორეში—შემასმენელი. ამ ტიპის წინადადება რთული თანწყობილია და არა შერწყმული.

იგულისხმება, რომ ჯერ მობრძანდა შუქურ ვარსკვლავი და შემდეგ დაათვრეს, ამიტომ წინადადებათა რიგიც განსაზღვრულია.

გ) უკავშირო თანწყობილ წინადადებაში მოქმედების თანამიმდევრობა და ერთგვარი მიზეზ-შედეგობრიობაა გამოხატული.

მაგალიტი: 1. გამოხატულდა (1), გათბა დღე (2), შემოვეხებინე ზერცხლები (3) (ეფ.).

ღ) წინადადებათა შორის დაპირისპირებაა.

მაგალიტები: 1. ბური უშალეს (1). არ დაიშალა (2) (წერ.). 2. აქ იუნენ მარტოა კაცები (1), ქალები არსად ჩანდნენ (2) (ყაზ. 690). 3. წიწაა მწარეა (1), შაქარი ტკბილი (2).

როცა თანწყობილ წინადადებაში უკავშიროდ ორზე მეტი მარტივი წინადადებაა გაერთიანებული, აზრობლივი მიმართება მათ შორის შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

მაგალიტი: 1. ერთბაშად ძლიერი ქარი ამოვარდა (1). შალალი ხეები შეირყა (2), ტყე ახმაურდა (3), ქარი ისევ ჩადგა (4), ხმაურობა შეწყდა (5).

აქ მოვლენათა თანამიმდევრობაც არის გადმოცემული და მიზეზ-შედეგობრიობაც. იგულისხმება, რომ ქარის ამოვარდნის შემდეგ და შედეგად „შალალი ხეები შეირყა“ და „ტყე ახმაურდა“, ამის შემდეგ (და არა შედეგად) „ქარი ისევ ჩადგა“, ქარის ჩაეარდნის შემდეგ და შედეგად „ხმაურობა შეწყდა“.

სასვენ ნიშანთაგან უკავშირო თანწყობილ წინადადებაში გამოყენებულია მძიმე (,) , წერტილმძიმე (;) და ტირე (—). განსაზღვრა იმისა, თუ როდის უნდა ვიხმაროთ მძიმე და როდის წერტილმძიმე, დამოკიდებულია იმაზე, რა მიმართებაშია რთულში შემავალი წინადადებები ერთიმეორის მიმართ. წინადადებები შეიძლება თემატიკურად უკავშირდებოდეს ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის არ იყოს პირდაპირი, უმეშვეო კავშირი და ერთიმეორეს არ განაპირობებდეს; ასეთ წინადადებებს მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებს და ისინი ჩვეულებრივ ერთიმეორისაგან წერტილმძიმით გამოიყოფიან.

მაგალიტები: 1. ამ სიტყვებმა ულვასავეთ გაირბინა; ყველანი და ყოვლისფერი გაჩუმდა (ყაზ. 127). 2. ბინდ-ბუნდი იყო; დღე წყნარად ჰქრებოდა (ყაზ. 736). 3. მზე დასავლეთისაკენ გადიწურა; სალამო ახლოვდებოდა; მონადირენი შინ წასასვლელად გაემხადნენ; ქალები ზრმებში ჩალაგდნენ; ვაყები ცხენებზე ამხედრდნენ (ვაჟა, VI, 339).

წერტილმძიმესთან ტონის დაწვეა და პაუზის ხანგრძლივობა უახლოვდება წერტილის ინტონაციას. პაუზა აქ უფრო დიდია, ვიდრე მძიმესთან, მაგრამ უფრო ნაკლები ხანგრძლივობისა წერტილის პაუზასთან შედარებით. მძიმესთან უკავშირო თანწყობილ წინადადებაში მცირე პაუზა და ტონის საგრძნობი აწვევა.

ზოგჯერ რთულ თანწყობილ წინადადებაში. გაერთიანებულ მარტივ წინადადებებს საერთო შემასმენელი მოეპოვებათ, რომელიც წარმოდგენილია პირველში, მომდევნო წინადადებებში კი ის იგულისხმება და მისი გამოტოვება ტირეთი აღინიშნება.

მაგალითები: 1. შეღებს არჩევი მოჰყენს. არჩევს—ირმები, ირმებს—გარეული ღორები, ღორებს—დათვები და სხვ. (ვაჟა, VI, 309). 2. ღვთისნული ჩიბუას შკარა, ჩიბუხი—ღვთისნულს (ვაჟა, VI, 276). 3. დაეჭებს ბლავლით დედა-ცხვარი ბატკანს. ბატკანი—დედას (ვაჟა, VI, 285). 4. მუცელა ცოლს ედავებოდა და ცოლი—ქმარს (ვაჟა, V, 823).

ბშირად რთული თანწყობილი წინადადება შერეული სახისაა: მასში კავშირიანი შეერთებაც არის და უკავშიროც. ამ შემთხვევაში რთულში გაერთიანებული წინადადებების რიცხვი ორზე მეტი უნდა იყოს, რომელთაგანაც კავშირი ჩვეულებრივ ორ უკანასკნელს აერთებს, დანარჩენები კი უკავშიროდაა ერთმანეთთან გადაბმული.

მაგალითები: 1. ბურსაპირშიაც სიცივე მოტყდა (1). ჰარი ჩავარდა (2) და განთიადთან ერთად ნისლი გაიშვია (3) (ყახ. 514). 2. იქეპა (1), გრგვინვა მოისმა (2), იელა სადღაც ცაშია (3), შავრამ ნამი კი არა ჩანს არსად ცის კამარაშია (4) (ერ. 1, 157).

რთული უკავშირო თანწყობილი წინადადების შესწავლა კავშირიანის შესწავლის შემდეგ დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს, რადგანაც ბევრი რამ, რაც კავშირიანი და უკავშირო თანწყობილი წინადადებისათვის საერთოა, მოსწავლეებისათვის ნაცნობია. მოსწავლეებისათვის ზოგადად ნაცნობია ისიც, რომ რთული წინადადება გადაბმის მხრივ ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო. უკავშირო თანწყობილი წინადადების გაცნობის პირველ საფეხურზე ხაზი გაესმება იმას, რომ სახელდობრ რთული თანწყობილი ამ მხრივ ორგვარია, კავშირიანი და უკავშირო, რომელთაგანაც მათ სპეციალურად აქვთ შესწავლილი კავშირიანი შეერთების შემთხვევები.

უკავშირო თანწყობილი წინადადების სწავლება კავშირიან თანწყობილ წინადადებაზე ჩატარებული მუშაობის ანალოგიურია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რთული თანწყობილი წინადადების ამ ორი სახის სწავლება არსებითი მოპენტებითაც განსხვავდება ერთიმეორისაგან.

რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადების სწავლებისას ჩვენ მის შერწყმულ წინადადებასთან შეპირისპირებას მივმართავთ, უკავშირო თანწყობილი წინადადების განხილვისას კი მის ძირითად მოპენტებს კავშირიან თანწყობილ წინადადებასთან მიმართებით ვარკვევთ. ამავე დროს კავშირიანი თანწყობილი წინადადების სწავლების დროს კავშირები და მათი ფუნქციის გარკვევა ყურადღების ცენტრში დგას, უკავშირო თანწყობილი წინადადების გაცნობისას კავშირებსა და მათს ფუნქციაზე არ გვიხდება ლაპარაკი, რადგანაც წინადადებათა შორის ესა თუ ის ლოგიკური მიმართება საკავშირებელი სიტყვების გარეშეა დამ.

ყარებული. მაგრამ ეს უკანასკნელი იმას არ გულისხმობს, რომ უკავშირო თანწყობილი წინადადების სწავლებისას კავშირები მხედველობიდან გაეუშვათ. პირიქით, მოსწავლეს რომ გაუადვილდეს უკავშირო თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის შექმნილ ლოგიკურ მიმართებაში გარკვევა, მიზანშეწონილია კავშირების ჩასმას მიემართოთ.

საქმე ისაა, რომ უკავშირო შეერთების დროს რთული წინადადების ნაწილებს შორის აზრობლივი მიმართება ისევე მრავალფეროვანია, როგორც კავშირიანი შეერთებისას. კავშირები წინადადებათა დაკავშირების გარეგნული ნიშანი და მათ შორის შექმნილი ლოგიკური მიმართების გამოხატვის გრამატიკული საშუალებაა. ისინი აადვილებენ არა მარტო წინადადებათა შორის გარკვეული ლოგიკური მიმართების შექმნას, არამედ აადვილებენ შექმნილი მიმართების გარკვევასა და დადგენას, რადგანაც რამდენადმე თვით კავშირებშია ჩამარხული წინადადებათა შორის შექმნილი მიმართების არსიც. ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ უკავშირო თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის შექმნილი ლოგიკური მიმართების გარკვევა-დადგენის გაადვილების მიზნით სათანადო კავშირის ჩასმა (ე. ი. ისეთი კავშირისა, რომელიც არ შეცვლის წინადადებათა მიმართებას) მეთოდოლოგიურად სავსებით გამართლებულია. ამდენად, ბუნებრივია იგიც, რომ რთული უკავშირო თანწყობილი წინადადების სწავლების დროს უნდა მიემართოთ არა მარტო უკავშირო წინადადებაში კავშირების ჩასმას, ე. ი. მის კავშირიანად გადაქცევას, არამედ კავშირიანი თანწყობილი წინადადების უკავშირო თანწყობილ წინადადებად გადაქცევასაც.

კავშირიანი და უკავშირო თანწყობილი წინადადებების შესწავლის შემდეგ ბუნებრივია შეეჩერდეთ შერეული სახის რთულ თანწყობილ წინადადებაზე. მასზე მუშაობა ახალ ასპექტში წარმოგვიდგენს კავშირიანი და უკავშირო შეერთების შემთხვევებს, აღრმავებს, აჯამებს და ამთლიანებს კავშირიან და უკავშირო თანწყობილ წინადადებებზე ცალ-ცალკე მოპოვებულ ცოდნა-ჩვევებს.

სახელმძღვანელოში (სინტაქსი, 1948, 1949) შერეული სახის რთული თანწყობილი წინადადება ცალკე პარაგრაფად არაა გამოყოფილი, მაგრამ სწავლებისას, ჩვენი აზრით, სასურველია ის ცალკე საკითხად გამოიყოს და მასზე სათანადოდ გამახვილდეს ყურადღება.

რთული კვეწყობილი წინადადება

III. მოსაფხადებელი საფხეხური დამოკიდებულ წინადადებათა სახეების საგანგებო შესწავლაზე გადასასვლელად

§ 1. რთული კვეწყობილი წინადადების რაობა და მისი ნაწილები

დამოკიდებულ წინადადებათა საგანგებო შესწავლას წინ უსწრებს ზოგად ხაზებში გარკვევა-დაზუსტება საკითხებისა:

ა) რთული კვეწყობილი წინადადების რაობა და მისი ნაწილები (მთავარი და დამოკიდებული წინადადება);

ბ) საკავშირებელი სიტყვების (კავშირების, მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნიზედების) ადგილი და მათი ფუნქცია;

გ) დამოკიდებული წინადადების ადგილი მართლთქმისა და მართლწერის საკითხების გათვალისწინებით;

დ) დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია წინადადების წვერებთან მიმართებით.

რთული წინადადების სწავლების მოცემულ საფეხურზე მოსწავლეების, რომ რთული წინადადება თანწყობის ან კვეწყობის საშუალებით ნიილება და ის ორგვარია: თანწყობილი და კვეწყობილი. მან ზოგადად ისიც იცის, რომ რთული კვეწყობილი წინადადების ნაწილებია მთავარი და დამოკიდებული წინადადება, რომელთა შორის მიმართება დაქვემდებარებით არის გამოხატული: ერთი გაბატონებულია, მთავარი, მეორე კი—დაქვემდებარებული, დამოკიდებული. კვეწყობილი წინადადების გაცნობის პირველ საფეხურზე საჭიროა სწორედ ამ ცნობების მოგონება, გაღრმავება, დაზუსტება, რისთვისაც მიზანშეწონილია რთული კვეწყობილი წინადადების რთულ თანწყობილ წინადადებასთან შეპირისპირებას მივმართოთ, მაგალითად:

რთული თანწყობილი წინადადება

ფიფქს თოელში ნადირობა მართლა საშიში იყო (1) და ონისემ ეს ერთბაზად ვერ მოიაზრა (2).

რთული კვეწყობილი წინადადება


ონისემ ერთბაზად ვერ მოიაზრა (1), რომ ფიფქს თოელში ნადირობა მართლა საშიში იყო (2) (ყაზ. 707).

შეპირისპირებით მოსწავლისათვის ნათელი უნდა გახდეს, რომ ერთი და იგივე ამბავი მოუვანილ წინადადებებში სხვადასხვა საშუალებით არის

გამოხატული: პირველ შემთხვევაში თანწყობის საშუალებით და წინადადებაც რთული თანწყობილია, მეორე შემთხვევაში კი ქვეწყობის საშუალებით და წინადადებაც ქვეწყობილია. თანწყობილ წინადადებაში ერთიმეორის მიმართ თანასწორი მარტივი წინადადებები მაჯგუფებელი კავშირით (წეიძლება მაკალკევებელი ან მაპირისპირებელი კავშირებითაც) არის შეერთებული, ქვეწყობილში კი მაქვემდებარებელი კავშირით; ამავე დროს ქვეწყობილ წინადადებაში დაპოკიდებული წინადადების მთავართან მიმართებას არკევეს კითხვის დასმა: რა ვერ მოიხაზრა ონისეშ? პასუხი მოცემულია დამოკიდებულ წინადადებაში: „რომ ფიფქ თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო“. თანწყობილ წინადადებაში მარტივ წინადადებათა მიმართების გასარკვევად კითხვის დასმა შეუძლებელია. რადგანაც ეს წინადადებები ერთიმეორის მიმართ თანასწორნი არიან. მოცემულ წინადადებათა შეპირისპირებისა და გრამატიკული ანალიზის შენდეგ საქიროა მათი მარტივი სქემების გამოყენება.¹

რთული თანწყობილი წინადადების რთული ქვეწყობილი წინადადების

სქემა



სქემა



ზეტი სიცხადისათვის სქემაში თავ-თავის აღვილას შეიძლება ჩაიწეროს თვით რთული წინადადების ნაწილებიც, ე. ი. რთულში გაერთიანებული მარტივი წინადადებანი, ანდა ამ წინადადებათა აღმნიშვნელი ნომრები, როგორც ეს მოცემულ სქემებშია ნაჩვენები.

აქვე, გარდა სქემებისა, შეიძლება მიემართოთ მუშაობის იმ სახეებს, რომელთაც ჩვენ რთული წინადადების გაცნობის პირველ საფეხურზე ვიყენებდით, მაგალითად:

ა) მარტივ წინადადებათა წყვილებებისაგან რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებების შედგენა.

ნიმუში: ბინდდება. ბნელი ხეები იმურებიან შავდა (ვფა, IV, 43).

რთული თანწყობილი წინადადება
ბინდდება და ბნელი ხეები იმურებიან
შავდა.

რთული ქვეწყობილი წინადადება
როცა (ან: რადგანაც) ბინდდება,
ბნელი ხეები იმურებიან შავდა.

ბ) წყვილად მიცემულ სიტყვათაგან რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შედგენა.

ნიმუში: გახაფხულდა—გარკვეს.

¹ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა სქემებს მოსწავლეები იცნობენ (ნ. აბ ზრომის გვ. 9—10).

რთული ზანწყობილი წინადადება

გახაზაულა და მწყემსებმა ცხვარი მთებში გარკვეს.

რთული ქვეწყობილი წინადადება

როცა გახაზაულა, მწყემსებმა ცხვარი მთებში გარკვეს.

გ) რთული თანწყობილი წინადადების რთულ ქვეწყობილად გადაქცევა და, პირუკუ, ქვეწყობილისა—თანწყობილად.

ე) ლიტერატურულ მასალაში ქვეწყობილი წინადადების მაგალითების მონახვა და ამოწერა.

ვ) რთული ქვეწყობილი წინადადების მაგალითების დამოუკიდებლად მოფიქრება, შედგენა და სხვ.¹

სახელმძღვანელოში იქ, სადაც რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებზეა ლაპარაკი (ნ. სინტაქსი, 1949, გვ. 142, § 130), ნათქვამია. რომ მთავარს შეიძლება ახლდეს რამდენიმე დამოკიდებული წინადადება. მთავარი რამდენიმე დამოკიდებულით ცალკე თემაა და სპეციალურად შემდეგ განიხილება. ამ საფეხურზე მასზე საგანგებოდ შეჩერება არაა საჭირო. აქ საკმარისია თუნდაც ერთი წინადადების ანალიზით ზოგადი ხასიათის ცნობით დაეკმაყოფილდეთ, რომ მთავარს შეიძლება ახლდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე დამოკიდებული წინადადება.

§ 2. გადაბმის საშუალება მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულს შორის. საკავშირებელი სიტყვის აღგილი

რთული ქვეწყობილი წინადადების სწავლების მომდევნო საფეხურზე უკრადლებას დამოკიდებული წინადადების მთავარ წინადადებასთან შეერთების საშუალებაზე ვამახვილებთ, რასაც აგრეთვე ზოგადი ხასიათი აქვს.

მორფოლოგიის კურსიდან მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ კავშირი როგორც მეტყველების ნაწილი, მისი ჯგუფები—მეერთებელი და მაქვემდებარებელი; მათ რთული წინადადების სწავლების მოცემულ საფეხურზე ისიც იციან, რომ რთული წინადადება საერთოდ გადაბმის მხრივ ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო და ამავე დროს სპეციალურად აქვთ შესწავლილი რთული კავშირიანი და უკავშირო თანწყობილი წინადადებები. ამის შემდეგ საკმარისია მოსწავლეებს მიუთითოთ, რომ რთული ქვეწყობილი წინადადებაც ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო. უკავშირო შეერთების შემთხვევებს არ ვეხებით, რთული კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების საკავშირებელ სიტყვებზე კი საგანგებოდ ვჩერდებით.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში საკავშირებლად გამოყენებულია კავშირები, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიხედები.

¹ ნ. გვ. 11.

ა) კავშირით შეერთების მაგალითები:

1. ეს ყველამ ვიცით, რომ მგლები გავმადლარი არიან (ცახელი). 2. რადგანაც ცივი კარი ქროდა, მწყემსი ნაბადში იყო გახვეული. 3... იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშენიერის სანახევების ხილვითა (კავ. 255). 4. მალე მთელმა სოფელმა შეიტყო, თუ რას აპირებდა დედაჩემი (ლომ. 50). 5. ვოდრე ხეტე ამ სიტყვებს გაათავებდა, გოგას დედა უკვე კარებში გამოჩნდა (ვაჟა, VI, 293). 6. ხანამ ესენი ამ საუბარში იყვნენ, გუჯუღმა შეთვალა იერა ყოფილას საბუღარი და ხითხითით მოცბრილა ტყისკენ (რახ. 120).

ბ) მიმართებითი ნაცვალსახელებით შეერთების მაგალითები:

1. [მეურ:ეებმა] შორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გაცეზახედ მიწდვრად გასულიყო... (კავ. 408). 2. ვინც გარეთ იყო, სახლში ეშურებოდა (რახ. 20). 3. იმ ღამეს გავიგე ის, რაც ჩემს სიტყვებში არ გამოვიდა (ვაჟა, VI, 4). 4. მხალვს ეპირეზოვა ისეთი მეგობრის მიწვევება, თოგორც ჯაჯალა იყო... (ყახ. 66).

გ) მიმართებითი ზმნიწედებით შეერთების მაგალითები:

1. ხადაც ქალა თაედებოდა, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში... (ვაჟა, V, 311). 2. გარეკრაქა მოაღწია, როდესაც ონისე ზეყვალას გამოვთხოვა (ყახ. 188). 3. მხალს თვალი დაოჩა იქით, ხაითენაც ფითრი ღრევაებდა (რახ. 95). 4. მთაში როცა დიდი თოვლი მოვა, ნადირი ქალებს მოატანს (ვაჟა, V, 165). 5. როგორცა სტქვა ნინიაჲ, მათიაც ისე მოიქცა (ყახ. 55).

აქ ყველა საკავშირებელი არაა ნაჩვენები. სისრულეს ამ მხრივ და ისიც ამ საფეხურზე, რა თქმა უნდა, მიზნად ვერ დავისახავთ.

აქვე უნდა მივუთითოთ მოსწავლეებს, რომ საკავშირებელი სიტყვა დამოკიდებულ წინადადებას ეკუთვნის, იწყებს მას ან მასშია მოქცეული, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მთავარშიაც იყოს მეორე საკავშირებელი სიტყვა, ან კიდევ ისეთი სიტყვა, რომელიც დამოკიდებულ წინადადებას ვარაუდობს,¹ რითაც რთული ქვეწყობილი წინადადება არსებითად განსხვავდება რთული თანწყობილი წინადადებისაგან. საგანგებოდ საკავშირებელ სიტყვებზე (და მისათითებელ სიტყვებზე, კორელატებზე) გზადაგზა დამოკიდებულ წინადადებათა გაცნობა-განხილვისას უნდა შეეჩერდეთ.

საკავშირებელ სიტყვებთან დაკავშირებით მუშაობის მომდევნო ეტაპზე ყურადღება იმას უნდა მივაქციოთ, რომ ზოგი საკავშირებელი სიტყვა (კავშირები) მხოლოდ წინადადებათა გადაბმის საშუალებაა, ზოგი კი გადაბმის საშუალებაც არის და დამოკიდებული წინადადების წევრიც, ე. ი. წევრ-კავშირი. მაგ., წინადადებაში: „ისეთი ჟრიაშული ასტყდა, რომ ტყე ზანზარებდა“ (ვაჟა, VI, 353) საკავშირებელი სიტყვა „რომ“ მხოლოდ გადაბმის საშუალებაა და წინადადების წევრს არ წარმოადგენს, მაგრამ წინადადებაში: „კურდღლები, რომელნიც გუშინ დათვთან მოსალოცავედ გარბოდნენ, დღეს ცმუტავდნენ, ხტოდნენ (ვაჟა, VI, 259), „რომელნიც“ წევრ-კავშირია; ის დამოკიდებულ წინადადებას აერთებს

¹ ა. შანიძე, სინტაქსი, 1949, გვ. 143.

მთავარ წინადადებასთან და ამოვე დროს წინადადების წვერიცაა, ამ შემთხვევაში ქვემდებარე. ყურადღება ამ საკითხზედაც დამოკიდებულ წინადადებათა სახეების განხილვის დროს უნდა გამახვილდეს, აქ კი ორი-ოდე მაგალითის ანალიზით საკმარისია, მოსწავლეებს ამის შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობა მიეწოდოს.

მაგრამ დამოკიდებული წინადადების სახეებზე გადასასვლელად ზემოთ განილული საკითხებიც არაა საკმარისი. საჭიროა მოსწავლეებს წინასწარ გავაცნოთ დამოკიდებული წინადადების ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მასთან დაკავშირებული წარმოთქმისა და მართლწერის საკითხების გათვალისწინებით.

§ 8. დამოკიდებული წინადადების ადგილი

დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ბოლოშია ან თავში, ანდა მთავარშია მოქცეული.

ა) დამოკიდებული წინადადება ბოლოშია:

1. ისინი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც პავერ ში გაისმა მხიარული სიმღერის ხმა... (ყახ. 701). 2. ერთბაშად გორახედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც თეთრი თმა გაშლიდა... (ყახ. 749). 3. [სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილ-უბრალოდ ბაქიობა და მუქარა არ უყარდა (ქავ. 425)].

ბ) დამოკიდებული წინადადება თავშია:

1. როცა ნალეერდალ-მოსხმული გამომწვარი გვერდი სისადროს გამოშვებით პატარა ენასავით აღსწავრმოვდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტახნობით მოშუქდებოდა (ქავ. 470). 2. ჩიტებმა რომ ღაგვინახეს, ეივლით აიშალნენ და მოუფენნენ ტყუა (ვაჟა, V, 170). 3. რადგანაც საღამო ჩინებულ იყო და მთვარიანი, ყველანი პატარა ბაღში გამოსულაყენ და ჩაის მიირთმევდნენ (ყახ. 163).

გ) დამოკიდებული წინადადება მთავარშია:

1. ბაღს, სადაც ჩვენი ვარდი იდგა, ნელ-ნელა ჩრდილი მოუფინა (ვედ), 2. ეს, წყლის დასაღვად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტყინე (ვაჟა. V, 8). 3. შეილი, რომელიც სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიდებდა და ფეხ-ქვეშე კიანქველსაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა... (ქავ. 432).

დამოკიდებული წინადადების ადგილის სამი შემთხვევა სჯობს ზემოთ წარმოდგენილი თანამიმდევრობით გავაცნოთ. საანალიზოდ სამივე შემთხვევის თითო მაგალითს ვიღებთ და მათი ერთმანეთთან შეპირისპირებით ვარკვევთ კიდევ დამოკიდებულის ადგილს. შემდეგ დამოკიდებული წინადადების ადგილის სამი შემთხვევა შეიძლება ერთი მაგალითის გამოყენებითაც ნათელვყოთ, მაგალითად:

დამოკიდებული წინა-
დადება ბოლოშია

1. ტყვიებმა ხრიალი მოი-
ღეს იმ ალაგას, სადაც
ელ გუჯა იდგა
(ყახ. 27).

დამოკიდებული წინა-
დადება თავშია

სადაც ელ გუჯა იდ-
გა, იმ ალაგას ტყვიებმა
ხრიალი მოიღეს.

დამოკიდებული წინა-
დადება მთავარშია

იმ ალაგას, სადაც ელ-
გუჯა იდგა, ტყვიებმა
ხრიალი მოიღეს.

წინადადებას შერჩევა უნდა, რადგანაც დამოკიდებული წინადადების ყველა შემთხვევა საწინააღმდეგო ადგილის შეცვლის შესაძლებლობას არ იძლევა, ანდა მოითხოვს საკავშირებელი სიტყვის შეცვლას; ზოგიერთი დამოკიდებული წინადადება ყოველთვის ბოლოშია, ზოგიერთი უმეტესად თავში ან ბოლოში, ზოგიც ბოლოში ან შუაში. ამ მხრივ განსხვავებაა თვით ერთი სახის დამოკიდებულ წინადადებაშიც. მაგ., განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავართან შეერთებულია მიმართებითი ნაცვალსახელით „რომელიც“, შუაში ან ბოლოში და არა თავში...

ბუნებრივია, რომ დამოკიდებულ წინადადებათა განხილვისას ამ მონენტს სათანადო ყურადღება მიუძღვის და ესა თუ ის სახე დახასიათდეს ადგილის მიხედვითაც. ამ საფეხურზე კი მოსწავლისათვის საკმარისია იმის ცოდნა. რომ დამოკიდებული წინადადება საზოგადოდ შეიძლება იყოს მთავარი წინადადების წინ, შუაში ან ბოლოს. არ იქნება ზედმეტი, თუ ამასთან ერთად მოსწავლეს ზოგადად მიუთითებთ, რომ ყოველთვის არ შეიძლება დამოკიდებული წინადადების ადგილის საწინააღმდეგო შეცვლა.

დამოკიდებული წინადადების ადგილის გაცნობა ხდება თხრობითი შინაარსის მაგალითებზე. ასეთი წინადადება უნდა დახასიათდეს ინტონაციურადაც. მოსწავლისათვის ნათელი უნდა გახდეს, რომ, როცა დამოკიდებული წინადადება თავში ან ბოლოში, ინტონაციურად ერთნაირია: წინადადებათა მიჯნაზე მცირე პაუზა და პირველი წინადადების (თუ დამოკიდებულია თავში—დამოკიდებულის, თუ მთავარია—მთავარის) ბოლოში ტონი მაღლდება¹, წერაში ერთი წინადადება მეორისაგან მძიმით გამოიყოფა; წინადადების დასასრულს კი ინტონაცია ისეთივეა, როგორცაა ინტონაცია მარტივი თხრობითი წინადადებისა. მაგრამ, როცა დამოკიდებული წინადადება მთავარშია, მაშინ ტონის ამაღლება და პაუზა ორჯერაა: დამოკიდებული წინადადების წინ და ბოლოს, წერაში დამოკიდებული მთავარისაგან მძიმეებით გამოიყოფა. წინადადების დასასრულს სამივე შემთხვევაში ინტონაცია ერთნაირია: ტონის მკვეთრი დაწევა და შეჩერება ისევე, როგორც მარტივ თხრობითს წინადადებაში.


დამოკიდებული წინადადების ადგილის სამივე შემთხვევის გაცნობისას უნდა გამოვიყენოთ სათანადო სქემები, მაგალითად:

¹ როცა დამოკიდებული „რომ“ კავშირით იწყება და ბოლოშია, შეიძლება პაუზა „რომ“-ის შემდეგ იყოს, ტონის ამაღლება—თვით „რომ“-ზე.

1. დამოკიდებული
ბოლოშია

2. დამოკიდებული
თავშია

3. დამოკიდებული
შუაშია



ზოცემულ სქემებში ჩანს არა მარტო დამოკიდებული წინადადების ადგილი, არამედ პუნქტუაციაც დამოკიდებული წინადადების სამივე შემთხვევის მიხედვით თხრობითი შინაარსის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

დამოკიდებული წინადადების ადგილის განხილვასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია რთული ქვეწყობილი წინადადება შეუუპირისპიროთ რთულ თანწყობილ წინადადებას, რათა მოსწავლეებისათვის ნათელი გახდეს, რომ რთულ თანწყობილ წინადადებაში ერთი წინადადება მისდევს მეორეს, მაგრამ შეუძლებელია ერთი წინადადება მეორეში მოექცეს, როგორც ეს რთულ ქვეწყობილ წინადადებაშია. ეს მომენტი კი თავის მხრივ ერთ-ერთი ნიშანია რთული თანწყობილი წინადადებისაგან რთული ქვეწყობილი წინადადების გასარჩევად.

საკითხის განხილვა არ იქნება სრული, თუ ქვეწყობილი წინადადების წარმოთქმისა და მასში სასვენი ნიშნების ხმარების ისეთ შემთხვევებს არ მივაქციეთ ყურადღება, როცა მთავარი კითხვითი, ძახილის, კითხვით-ძახილისა და ბრძანებითი შინაარსისაა. ამიტომ სასვებით ბუნებრივია, რომ ამჟამად მოქმედ სასკოლო გრამატიკაში გათვალისწინებულია ზემოთ დასახელებული შინაარსის რთულ ქვეწყობილ წინადადებათა მართლწერის საკითხიც.

ქართული ფრაზის მელოდიკა, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. ამიტომ აქ შინაარს—ინტონაციურად ვანსხვავებულ წინადადებათა ზოგიერთ მომენტზე მითითებით დავკმაყოფილდებით. კითხვითი წინადადება შეიძლება ისეთი იყოს, რომელშიც ურვევია კითხვითი სიტყვა (კითხვითი ნაცვალსახელი: ვინ? რა? რომელი?, კითხვითი ზნინიზღა: სად? როდის? რატომ? და . კითხვითი ნაწილაკი: ნუთუ, ხომ, განა). ანდა ისეთი, რომელშიც ასეთი სიტყვა არ ურვევია და შედგენილობით თხრობითი წინადადებისაგან არ განსხვავდება.

კითხვითი წინადადების მელოდიკა, როგორც საერთოდაც, განსხვავებულია თხრობითი წინადადების მელოდიკისაგან ქართულშიც.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კითხვა ჩვეულებრივ მთავარს ეხება. ამიტომ, თუ მთავარი შეიცავს კითხვითს სიტყვას, კითხვითს მახვილსაც ის ატარებს.

- მაგალიტები: 1. თქვენ იმდენი ვაჯაკობა ვინ მოგვათ, რომ კაცი პირდაპირ მოკლათ? (ყაზ. 14). 2. ერთი ქუჩულა რომ ყვავმა მოგტაცოს, რაშდენი დაგრჩება. 3. თუ ეგ ათ მეყოლების, რაღამ უნდა მაყოცოდოს (ყაზ. 215). 4. თუ ეგრე გემიწოჯა ჩემი დანავეისა, ქალი რად მოიტაცე? (ყაზ. 27).

კითხვითი სიტყვების შემცველი კითხვითი წინადადება ხშირად ისე წარმოითქმის, რომ მისი ინტონაცია უახლოვდება თხრობითი წინადადე-

ბის ინტონაციას. მაგრამ არაიშვიათად შევხვდებით ისეთ წარმოთქმას, როცა ასეთ წინადადებაში ტონს წინადადების ბოლოში დასცემენ ხოლმე, ანდა კითხვით სიტყვაზე და წინადადების ბოლოსაც, რაც დარღვევაა სწორი, ბუნებრივი ქართული წარმოთქმისა.

თუ მთავარ წინადადებაში არ ურევია კითხვითი სიტყვა, მაშინ კითხვის მახვილი ჩვეულებრივ მთავარი წინადადების შემასმენელზეა, სახელდობრ შემასმენლის ბოლო მარცვალზე.

მაგალითები: 1. ვე რომ არ იყოს, გაქცეოდი შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებას? (ქავ. 156). 2. გარედან რომ დაკმუჭილი, ხმელი ტყავი გვაქრავს იმან შეგაშინა? (ვაფა, 1, 255). 3. მეც შეგაწინა საომრად, დედისერთასა, რომ თავი დაესდო მამულისა ჩენის სახსნელად? (ქავ. 142). 4. ძმძუთა ბატკნები რომ მოვიგორებიათ, ეაცობა აღარ არახ თქვენში? (ყახ.). 5. გახხვხვ, სიყვდილის ეამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს? (ბარ.).

საკმაოდ გავრცელებულია ასეთ წინადადებათა ისეთი წაკითხვა და წარმოთქმა, როცა მახვილი მხოლოდ წინადადების ბოლოშია, იმისდა მიუხედავად, წინადადების ბოლოს არის თუ არა მთავარი წინადადების შემასმენელი; ასეთ წარმოთქმას გამართლება არ მოეპოვება. კითხვითი მახვილი მთავარი წინადადების შემასმენელზე აუცილებელია. წინადადების ბოლოში კი (როცა უკანასკნელი სიტყვა არაა მთავარის შემასმენელი) თანამახვილი შეიძლება არ იყოს.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი შეიძლება ძახილისაც იყოს, ან ბრძანებითი, ანდა კითხვით-ძახილისა. მათი მახვილიც მთავარ წინადადებასთან არის დაკავშირებული.

მაგალითები: 1. თუ ვაქცი ბარ, გაშმაგრდი! (ქავ. 318). 2. თუ ეს ამა ბავი შეუტყვია ვისმე, ვაი თქვენი ბრალი! (ქავ. 315). 3. თუ მოყარე ბარ, მაშ გამარჯობა! (ქავ. 149).

კითხვით წინადადებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მომენტს (მაგ., ირიბ კითხვასა და სხვ.) დამოკიდებულ წინადადებათა და პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გაცნობისას უნდა მიექცეს ყურადღება.

დამოკიდებული წინადადების ადგილის გაცნობასთან დაკავშირებით შეიძლება მუშაობის შემდეგ სახეებს მივმართოთ:

ა) მითითებულ ლიტერატურულ მასალაში დამოკიდებული წინადადების ადგილის სამივე შემთხვევის მაგალითების მონახვა და ამოწერა.

ბ) უნიშნებოდ მიწოდებულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადების გამოყოფა, დამოკიდებული წინადადების ადგილის აღნიშვნა და საკირო სასენი ნიშნების დასმა.

გ) ამა თუ იმ სქემის შესაბამისი წინადადების დამოუკიდებლად მოფიქრებზე და შედგენა.

დ) ვარჯიშობა დამოკიდებული წინადადების ადგილის შეცვლაზე სამივე შემთხვევის მიხედვით.

ე) ვარჯიშობა სხვადასხვა შინაარსის ქვეწყობილი წინადადების გამოშეტყველებითს წარმოთქმაზე.

კავშირიანი ქვეყნობილი წინადადებაანი

IV. დამოკიდებული წინადადებაანი

§ 1. დამოკიდებული წინადადებაი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით

გრამატიკაში წინადადების გამოჩენას თან მოჰყვა მოძღვრება წინადადების წევრებზე; აქედან კი დამოკიდებულ წინადადებათა სახეებამდე დიდი მანძილი არაა. მართლაც, ისტორიულად დამოკიდებულ წინადადებათა სახეებზე მოძღვრება გაჩნდა წინადადების წევრებზე მოძღვრების შედეგად. წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა უკუგდებას და მათ ამხსნელ სიტყვებში გაერთიანებას თან ახლდა დამოკიდებულ წინადადებათა სახეების უგულვებლყოფაც. ყველაფერი ეს, თავის მხრივ, დამოკიდებულ წინადადებათა სახეებისა და წინადადების წევრთა ორგანულ, ლოგიკურ კავშირზე მიგვიბრუნებს.

დამოკიდებული წინადადებებია: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, შეწასვენლური, გარემოებითი (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა), პირობითი, შედეგობითი, დათმობითი და მთავრის მიმართი. ამათგან პირველი ხუთი უახლოვდება წინადადების ერთ-ერთ წევრს. ქვემდებარული—ქვემდებარეს, დამატებითი—დამატებას, განსაზღვრებითი—განსაზღვრებას, შემასმენლური—შემასმენელს, გარემოებითი—ამა თუ იმ სახის გარემოებას. მაშასადამე, დამოკიდებულ წინადადებათა დასახელებული სახეები დაახლოებით იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც მათი ფარღი წინადადების წევრები. მაგრამ, ამ ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა გარდა, მოიპოვება ისეთი დამოკიდებული წინადადებანი, რომელთაც ფარღი წინადადების წევრი არ გააჩნიათ. ასეთებია: შედეგობითი, დათმობითი, პირობითი და მთავრის მიმართი.

§ 2. უმასმენლური დამოკიდებული წინადადების ძარტულ სასკოლო გრამატიკაში შეტანის საკითხისათვის

ამჟამად მოქმედ სასკოლო გრამატიკაში, გარდა შემასმენლურისა, წარმოდგენილია დასახელებულ დამოკიდებულ წინადადებათა ყველა სახე. ჩვენის აზრით, საკირობა სახელმძღვანელოში შევიდეს შემასმენლური დამოკიდებული წინადადებაც და აი რატომ:

მშობლიური ენის გრამატიკის სწავლების ერთ-ერთი მიზანი, როგორც ვიცით, ისიც არის, რომ მოსწავლეს მტკიცე საფუძველი შეუქმნას, ხელი შეუწყოს და გაუადვილოს რუსული და უცხოური ენების შესწავლის საქმე. ბუნებრივია, რომ მოსწავლე ამა თუ იმ ენობრივ მოვლენას პირველ რიგში თავისი მშობლიური ენის ნიადაგზე გაეცნოს, შემდეგ კი — არამშობლიურისა, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს მოვლენები თანაბრად დამახასიათებელია მშობლიური და არამშობლიური ენისთვის, რომლის შესწავლაც ბავშვს უხდება. დიდაქტიკის პრინციპები და წესები უნდა დაეცვათ არა მარტო ცალკე საგნის სწავლებისას ამავე საგნის ფარგლებში, არამედ სასწავლო საგანთა საერთო სისტემაშიც. ყველაფერი ეს კი თავის მხრივ იმაზე მიგვითითებს, რომ დამოკიდებულ წინადადებათა სახეები, რომელთაც ქართველი მოსწავლეები რუსული ენის გრამატიკის შესწავლისას უნდა გაეცნონ, წინასწარ შესწავილილი ჰქონდეთ ქართული ენის ნიადაგზე¹. მართლაც, თუ ეს მოვლენები საჭიროა ვასწავლოთ რუსული ენის გრამატიკაში და ეს დასაძლევია მოსწავლისათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი შესწავლა მშობლიური ენის გრამატიკის შესწავლისას არანაკლებ საჭიროა, თანაც უფრო ადვილი დასაძლევია.

არის სხვა გარემოებაც, რომელიც შემასწავლურის ქართულ სასკოლო გრამატიკაში შეტანას უკერს მხარს. საქმე ისაა, რომ შემასწავლური დამოკიდებული წინადადება ზოგიერთი ნიშნით ჰგავს სხვა დამოკიდებულ წინადადებათ, მაგ., განსაზღვრებითს, ქვემდებარულსა და დამატებითს. თუ შემასწავლური დამოკიდებული წინადადება უგულვებელყავით დამოკიდებულ წინადადებათა სწავლებისას, მაშინ იქმნება იმის საფრთხე, რომ შემასწავლურის შენთხვევები აირევა მის მსგავს დამოკიდებულ წინადადებათა სახეებში და მოსწავლეს სწორ ორიენტაციას ვერ მივცემთ არა მხოლოდ შემასწავლურზე, არამედ რაიმე ნიშნით მასთან ახლო მდგომ დამოკიდებულ წინადადებათა სახეებზეც.

§ II. ძირითადი მომენტები დამოკიდებულ წინადადებათა დახასიათება-ამოცნობისათვის

დამოკიდებულ წინადადებათა სწავლებისას საჭიროა შემდეგი მომენტების გათვალისწინება:

- ა) დამოკიდებული წინადადების სინტაქსური ფუნქციის გარკვევა, მისი სახის დადგენა.
- ბ) კითხვები, რომლებზედაც მიუგებს დამოკიდებული წინადადება.
- გ) დამოკიდებული წინადადების მთავართან შეერთების საშუალებანი.
- დ) დამოკიდებული წინადადების შინაარსის გადმომცემი სიტყვები მთავარ წინადადებაში (მისათითებელი სიტყვები, კორელატები).

¹ შემასწავლური დამოკიდებული წინადადება შეუღლია აკად. შ ჩ ე რ ბ ა ს რედაქციით გამოსულ რუსული ენის გრამატიკაში და პოლფ. გ. ა ნ ი ლ ე დ ი ა ნ ი ს ქართული სკოლებისათვის შედგენილ რუსული ენის გრამატიკაშიც. ორივე წიგნი, როგორც სტაბილური სახელმძღვანელოები, გამოყენებულია ქართულ სკოლებში.

ე) დამოკიდებული წინადადების ბუნებრივი ადგილი მთავარ წინადადებასთან მიმართებით.

ვ) სიტყვათა რიგი მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში.

ზ) სტილისტიკური და პუნქტუაციური საკითხები ამა თუ იმ სახის დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

თ) დამოკიდებული წინადადების ამა თუ იმ სახის მიმართება სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებასთან (მსგავსება, განმასხვავებელი ნიშნები).

ი) რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაქცევის შესაძლებლობა და ხასიათი.

დამოკიდებული წინადადების სახის ამოსაცნობად ძველ სასკოლო გრამატიკებში ძირითადად კითხვების ხერხი იყო გამოყენებული. მაგრამ კითხვების ხერხმა მკაცრი კრიტიკა განიცადა; მისი მეთოდოლოგიური ღირებულება იჭვის ქვეშ იქნა დაყენებული არა მხოლოდ მორფოლოგიის, არამედ სინტაქსის სწავლებაშიც¹, კერძოდ დამოკიდებულ წინადადებათა ანოცნობის საქმეშიც. საბჭოთა სკოლის პრაქტიკამ ნათელყო, რომ კითხვების როლი გრამატიკის სწავლებაში ერთობ დიდია. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ კითხვების ხერხი თანამედროვე გრამატიკებში ფართოდ გამოიყენება არა მარტო სინტაქსში სიტყვებისა და წინადადებების ურთიერთ დამოკიდებულების გასარკვევად, არამედ მორფოლოგიაშიც.

მაგრამ საინფლაცია უოველთვის კითხვების ხერხი დამოკიდებულ წინადადებათა სახის ამოსაცნობად?

ცნობილია, რომ დამოკიდებულ წინადადებათა ის სახეები, რომელთაც ფარდი წინადადების წევრები მოეპოვებათ, იმავე კითხვებზე მიუგებენ, რაზედაც მათი შესაბამისი წინადადების წევრები. ამიტომ „თუ რა ტიპისაა დამოკიდებული წინადადება, ამას უმეტეს შემთხვევაში ვარკვევთ კითხვით, რომელსაც მოიხდენს მთავარი წინადადების ის წევრი, რომელსაც დამოკიდებული ახლავს“², მაგრამ ზოგჯერ კითხვის საშუალებით დამოკიდებული წინადადების სახის ამოცნობა შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნოთ ზოგიერთი მომენტი:

ა) დამოკიდებულ წინადადებათა ზოგიერთ სახეს (დათმობრთს, შედეგობრთს, მთავრის მიმართს) კითხვა არ დაესმის, ანდა ძნელად დაესმის. რომ გავარკვიოთ, თუ რა კითხვა დაფუსვათ მათ (და როგორ), ეს უკვე გულსხმობს, რომ დამოკიდებული წინადადების სახე გარკვეული გვაქვს წინასწარ, რაც კითხვების გამოყენებას ზედმეტად ხდის.

ბ) დამოკიდებულ წინადადებათა სხვადასხვა სახე ზოგჯერ ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებს. ასეთებია, მაგალითად, ქვემდებარული და დამატებითი (პირდაპირი და ირიბი). მათი საერთო კითხვებია: ვინ?

¹ Б. А. М. Пешковская, „Вопрос о „вопросах“, сборник статей, I.—М.—1925. стр. 43.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 5აწ. II, სინტაქსი, 1919, გვ. 145.

რა? ვის? რას? ასეთი შემთხვევებში, ცხადია, რომ მხოლოდ კითხვების საშუალებით დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევა შეუძლებელია.

ხშირად მთავარ წინადადებაში მოიპოვება მეორე საკავშირებელი სიტყვა, ანდა სიტყვა, რომელიც დამოკიდებულ წინადადებას გულისხმობს. ასეთი სიტყვები დაქვემდებარების ძირითადი საშუალებაა და მიუთითებენ დამოკიდებული წინადადების სახეზე, რადგანაც დამოკიდებული წინადადება ამ სიტყვების გაშლილი სახეა წინადადების სახით: წინადადების რა წევრიცაა მთავარში ეს სიტყვები, იმავე სახისაა დამოკიდებული წინადადებაც.

მაგალითები: 1. ვისაც მოუკლავს, ეს მოკლავს ნადირსა შავის ტყისასა (ხალხ.). 2. რასაც მოვლოდნენ, ეს მოხდა (ვაჟა, VI, 9). 3. ეს სულ მშ ბებერი არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუღობს (ვაჟა, V, 233). 4. იქნებ აჯანში ეს ყრმა წყის, ვისიც არ ითქმის სახელი (ვაჟ, 101). 5. სადაც ჭალა თავდებოდა, ფშაც იქ ეუოოდა მდინარეში (ვაჟა, V, 311).

ხაზგასმული სიტყვები¹—ნაცვალსახელები (პირველ ოთხ მაგალითში) და ზმნიზედა (მეხუთე მაგალითში) დამოკიდებულ წინადადებათა სავარაუდო სიტყვებია. პირველ ორ წინადადებაში ნაცვალსახელი „ის“ მთავარის ქვემდებარეა, დამოკიდებული წინადადებებიც ქვემდებარულია, შესამე და მეოთხე წინადადებებში ნაცვალსახელები („ის“ და „იმ“) განსაზღვრებებია, დამოკიდებული წინადადებებიც განსაზღვრებითია, მეხუთე წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა („იქ“) ადგილის გარემოებაა, დამოკიდებული წინადადებაც ადგილის გარემოებითია.

ზოგჯერ დამოკიდებული წინადადების სავარაუდო სიტყვა მთავარ წინადადებაში არაა წარმოდგენილი, მაგრამ იგულისხმება და მისი აღდგენაც ადვილად შეიძლება.

მაგალითი: 1. შეცდარია, ვინც გულს იტებს (წერ.).

მთავარი წინადადება „შემცდარია“, რომელიც შედგენილი შემასმენელია. მასთან იგულისხმება ნაცვალსახელი „ის“ ქვემდებარედ, დამოკიდებული წინადადებაც ქვემდებარულია.

ასეთი მისათითებელი სიტყვები, კორელატები (ნაცვალსახელები, ზმნიზედები) ერთ-ერთი საიმედო საშუალებაა დამოკიდებული წინადადების სახის გასარკვევად, მაგრამ არა ყოველთვის, რადგანაც დამოკიდებული წინადადების ზოგ სახეს ასეთი მისათითებელი, სავარაუდო სიტყვები (კორელატები) არც კი მოეპოვება.

დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს საკავშირებელ სიტყვებზე დაკვირვებასა და რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაქცევას. ცნობილია, რომ ზოგიერთი საკავშირებელი სპეციფიკურია ამა თუ იმ დამოკიდებული წინადადებისათვის, ანდა გამოყენებულია მხოლოდ ორთან და სხვა. მაგ., „იმიტომ რომ“,

¹ აქ შავად დაბეჭდილი.

„რადგანაც“, „ვინაიდან“ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სპეციფიკური საკავშირებლებია, „თუ არა“, „რა“, „რაწამს“ დროის გარემოებითისა, „თუმცა“—დამოშობითისა, „ასე რომ“,—შედგობითისა, „როგორც“, „რომელიც“—განსაზღვრებითისა და სხვა. „სადაც“, „საიდანაც“, „საითგნაც“ მთავართან აერთებს ან ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას, ანდა განსაზღვრებითს... ამდენად, საკავშირებელ სიტყვებზე დაკვირვება ჩვენ გვიადვილებს დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევასაც. ცხადია, როცა რომელიმე საკავშირებელი სიტყვა გამოყენებულია მრავალი სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად (მაგ., „რომ“), საკავშირებელი სიტყვა დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევაში დახმარებას ვერ გაგვიწევს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირებელ სიტყვებზე დაკვირვებას მნიშვნელობა აქვს სტილისტიკისა და პუნქტუაციური ჩვევათა გამომუშავების თვალსაზრისითაც.

დამოკიდებული წინადადების მთავართან მიმართების გასარკვევად, როგორც ავლნიშნეთ, მნიშვნელობა აქვს რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაქცევასაც. თუ როგორია რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაქცევის ხასიათი და შედეგი, როგორ ხდება ზოგიერთი სახის (ქვემდებარულის, განსაზღვრებითის, დამატებითის და დროისა და მიზნის გარემოებითი) დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაქცევა,—ამაზე საკმაოდ სრულად თვით სახელმძღვანელოშია (ნ. გვ. გვ. 173—178) საუბარი; რაც შეეხება რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაქცევის ადგილს რთული წინადადების სწავლების სისტემაში, ცალკე საკითხად გვაქვს სხვა შრომაში განხილული, ამიტომ აქ მხოლოდ იმაზე მითითებით დავკმაყოფილდებით, რომ ქვეწყობილი წინადადების გამარტივებას, როცა ეს შესაძლებელია, მნიშვნელობა აქვს თვით დამოკიდებული წინადადების სახის ამოსაცნობადაც. ამიტომ რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაქცევა თვით დამოკიდებულ წინადადებათა სწავლებას უნდა დაეუკავშიროთ. მაგალითად, ავიღოთ ასეთი წინადადება: „ღედამ შეამჩნია, რომ შვილს გუნება ეცვალა“. გამარტივებით მივიღებთ: „ღედამ შეამჩნია შვილის გუნების ცვლა“. დამოკიდებული წინადადების შემასმენელი („ეცვალა“) იქცა საწყისად და პირდაპირი დამატებაა, მაშასადამე, დამოკიდებული წინადადებაც პირდაპირი დამატებითია.

არის შემთხვევა, როცა დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევაზე მოთ განხილული საშუალებებით ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც. ავიღოთ ასეთი წინადადება:

„ბერუა ბევრს რასმე იტყოდა კიდევ, რომ ღედაჩემს პურის საკმელად არ დაეძახნა (ვაჟა, V, 64).“

პირველი წინადადება მთავარია, მეორე—დამოკიდებული, სახელდობრ პირობითი, რომელიც ახლო დგას დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასთან. მას შეიძლება დაესვას კითხვა: რა შემთხვევაში? მაგრამ სახელმძღვანელოში პირობით დამოკიდებულ წინადადებასთან კითხვა არაა გამოყენებული. ამიტომ ამ შემთხვევაში მოსწავლეს კითხვის საშუალებით არც შეუძლია დამოკიდებული წინადადების სახეს სწორად განსაზღვროს. ამავე დროს მთავარში არაა და არც იგულისხმება დამოკიდებული წინადადების სახის მისათითებელი, სავარაუდო სიტყვა (კორელატი) და არც „რომ“ კავშირია სპეციფიკური (ის მრავალსხვა სახის დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან). საქმეს ვერც გამარტივება შეეღის, რადგანაც ამ წინადადების მარტივად გადაქცევა არ ეწყობა და ეს რომც მოხერხდეს, ძნელი იქნებოდა დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევა, რადგანაც პირობით დამოკიდებულ წინადადებას ფარდი წინადადების წევრი არ გააჩნია. მაშასადამე, დამოკიდებული წინადადების სახის გასარკვევად ამ შემთხვევაში ჩვენს მიერ დასახელებული ვერც ერთი საშუალება ვერ გვაძლევს სწორ ორიენტაციას და, მიუხედავად ამისა, თუ მაინც ვაშბობთ, რომ დამოკიდებული წინადადება პირობითიაო, ამას ვაშბობთ დამოკიდებული წინადადების მთავარ წინადადებასთან აზრობლივი, ლოგიკური მიმართების საფუძველზე: დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, თუ რა პირობებში მოხდებოდა ის, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი. დამოკიდებული წინადადების მთავარ წინადადებასთან აზრობლივ, ლოგიკურ მიმართებაზე დაკვირვება ძირითადი საშუალებაა არა მხოლოდ ასეთ შემთხვევებში, არამედ საერთოდაც დამოკიდებული წინადადების ამა თუ იმ სახის სწორად გასარკვევად და განსასაზღვრავად- სხვა საშუალებანი არსებითად მასზე არიან დამოკიდებული და ამ მიმართებითვე არიან განპირობებული.

დამოკიდებულ წინადადებათა სწავლებისას გზადაგზა, კონკრეტული შემთხვევების მიხედვით, საჭიროა დამოკიდებულ წინადადებათა დახასიათება ზემოთ მითითებული ნიშნების მიხედვით და იმ საშუალებათა გაცნობა-დაუფლება, რითაც მოსწავლე შეგნებულად გაიაზრებს და გარკვევს დამოკიდებულ წინადადებათა სახეებს.

§ 4. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია წინადადების წარმოშობის მიმართებით

ვიდრე დამოკიდებულ წინადადებათა სახეების საგანგებო შესწავლაზე გადავიდოდეთ, საჭიროა მათი კლასიფიკაცია, რომ მოსწავლეს ზოგადი წარმოდგენა მიეცეთ დამოკიდებულ წინადადებათა სახეებზე. კლასიფიკაციისათვის მიზანშეწონილია დამოკიდებულ წინადადებათა მარტივი წინადადების შესაბამის წევრებთან შეპირისპირებას მივმართოთ. შეპი-

რიპირებისათვის კი საჭიროა წინადადებათა ორი წყება: მარტივი და რთული ქვეწყობილი. სადაც მარტივი წინადადების ესა თუ ის წევრი წარმოდგენილი იქნება დამოკიდებული წინადადების სახით, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ ნიმუშებშია მოცემული.

წინადადების წევრები

დამოკიდებული წინადადებები

1. ქვემდებარე:

გადაჯარების მოაზრნე ბუნებისაგან კრულია (წერ.).

ბუნებისაგან კრულია, ვინც გადაჯარების მოაზრნე არის.

2. დამატება:

ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო. (ანდ.).

რაც ქარის მოტანილია, ქარივე წაიღებსო.

3. განსახლებება:

ნაპრაღთა თავზე მღვდმარე მუხები წყრომით არხვედნენ ტოტებს (რახ.).

მუხები, რომელნიც ნაპრაღთა თავზე იდგნენ, წყრომით არხვედნენ ტოტებს.

4. დროის გარემოება:

ბატარაობისა თევზაობა ძლიერ მიყვარდა (გოგ.).

როცა ბატარა ვყავი, თევზაობა ძლიერ მიყვარდა.

5. ვითარების გარემოება:

ვაქაცას არ შეეძლო ოჯახის მოვლა ოთარანთ ქვრივხავით.

ვაქაცას არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარანთ ქვრივხა (კავ. 432).

6. მიხეხის გარემოება:

დიდი თოვლის გამო ჩიტები საზრდოს ვერ შოულობდნენ.

რადგანაც დიდი თოვლი იყო, ჩიტები საზრდოს ვერ შოულობდნენ.

7. მიხნის გარემოება:

ქართველები თავკანწირულად იბრძოდნენ ხამშობლხ დახაკავად.

ქართველები თავკანწირულად იბრძოდნენ, რომ ხამშობლო დაეცვათ.

ამ კლასიფიკაციაში ყველა დამოკიდებული წინადადება ვერ პოვებს ადგილს, რადგანაც ზოგ მათგანს ფარული წინადადების წევრი არ გააჩნია, ანდა წინადადების წევრის დამოკიდებულად გადაქცევა ადვილად არ ხერხდება.

შეპირისპირებით მოსწავლისათვის ნათელი გახდება, რომ ის. რაც პირველ შემთხვევაში წინადადების წევრით (მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ) არის გამოხატული, მეორე შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების სახითაა წარმოდგენილი და იმავე კითხვაზე მიუგებს, რაზედაც ფარული წევრი. სტილისტიკურად წინადადებათა ეს. ორი წყება არაა ერთნაირი ღირებულებისა და ამიტომ კონკრეტულ შემთხვევებში ხშირად ერთის ადგილას მეორეს ვერ ვიხმართ. ამავე დროს მარტივი

წინადადების ამა თუ იმ წევრის დამოკიდებულ წინადადებად გადაქცევა, ისევე, როგორც რთული ქვეწყობილი წინადადებისა მარტივად, ხშირად შეუძლებელია. ეს მომენტები უნდა გავითვალისწინოთ დამოკიდებულ წინადადებათა ცალ-ცალკე განხილვის დროს.

დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაციისა და მათზე ზოგადი წარმოდგენის მიცემის შემდეგ გადავდივართ დამოკიდებულ წინადადებათა საგანგებო შესწავლაზე.

V. მთავარი წინადადების წმრთა შინაარსის მქონე დამოკიდებულ წინადადებათა პირველი ქვეჯგუფი

§ 1. დამატებითი დამოკიდებული წინადადება

დამატებითი დამოკიდებული წინადადება შეიცავს პირდაპირი, ირიბი ან უბრალო დამატების გაგებას. იგი ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ერთ-ერთ დამატებას, რომელიც ნაცვალსახელის სახითაა წარმოდგენილი (ან იგულისხმება) მთავარში. ამიტომ, როგორც დამატება, დამატებითი დამოკიდებული წინადადებაც სამი სახისაა: პირდაპირი, ირიბი და უბრალო.

ა) პირდაპირი დამატების გაგების შემცველი დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატული (ან ნაგულისხმევი) პირდაპირი დამატების გაშლილ სახეს წარმოადგენს წინადადების სახით. ნაცვალსახელები, რომელთა ახსნა-დაზუსტებას პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს და ის კითხვები (ვინ? რა?), რომლებზედაც ის მიუგებს, იქნება მიცემით ან სახელობით ბრუნვაში, რადგანაც, როგორც ვიცით, პირდაპირი დამატების ბრუნვები სახელობითი და მიცემითია.

მაგალითები: 1. იმ დამეს გაიგე ხე, რაც იქმს სიცოცხლეში არ გამოიგა (ვაკა, VI, 4). 2. თედემ კარგად იცოდა [ხე],¹ რომ უწყლოდ წისქვილი არ გაიმართებოდა (ვაკა, V, 109). 3. მწარის ოხვრით ვერ იქარვებს [მას], გულს რომ ცეცხლი ეკიდება (წერ.).

პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება მაშინაა შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი გარდამავალი ზმნაა.

ბ) ირიბი დამატებითი დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატული (ან ნაგულისხმევი) ირიბი დამატების გაშლილ სახეს წარმოადგენს წინადადების სახით. ირიბი დამატებითი დამოკიდებული წინადადებას კითხვაში „ვინ“ და „რა“ და ნაცვალსახელი, რომლის ახსნასა და დაზუსტებას ის წარმოადგენს, ყოველთვის მიცემის ბრუნვაში იქნება, რადგანაც ირიბი დამატების ბრუნვა მუდამ მიცემითია.

¹ ნაგულისხმევი ნაცვალსახელები აღდგენილია და კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

მაგალითები: 1. რასაც აღარ ეშველებს, იმას თავი დავანებოთ (ყაზ. 128).
2. მეორედ ეს გაუპობს გულმეგრდს მას, ვინც რომ ქვეყნის მავნებელი—მტერია (წერ. 11, 104).

ირიბი დამატებითი დამოკიდებული წინადადება მაშინაა შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი ორპირიანი გარდაუვალი ან საშპირიანი გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული.

გ) უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება მიუყვება უბრალო დამატების კითხვებზე და წარმოადგენს მთავარ წინადადებაში თანდებულიანი ან უთანდებულო ფორმით წარმოდგენილი ან ნაგულისხმევი ნაცვალსახელის ახსნასა და დაზუსტებას წინადადების სახით. იგი შესაძლებელია როგორც გარდაუვალი (ერთ და ორპირიანი), ისე გარდამავალი (ორ და საშპირიანი) ზმნასთანაც.

მაგალითები: 1. მე დარწმუნებული ვარ [იმაში], რომ ჩვენს იარაღს წინ ვერაინ გადაუდგება (ყაზ. 110). 2. ამის შემდეგ ილაპარაკეს მასზე, თუ რის ვაგება სურდათ ამ მკითხაობით (ლომ. 42). 3. ვგალობ და ვგალობ და იმით ვხარობ, რომ მე ქვეყანას გალობით ვატკობ (კავ. 11). 4. მევს იმის ეშინია, რომ მონადირემ თვალი არ შეასწროს.

დამატებითი დამოკიდებული წინადადების ძირითადი საკავშირებლებია მიმართებითი ნაცვალსახელები „ვინც“, „რაც“ სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (იმის მიხედვით, თუ რა წევრია წინადადებისა) და კავშირები „რომ“ და „თუ“; იშვიათად „ვინც რომ“, „რაც რომ“ და სხვ.

მაგალითები: 1. ვინ იცის, თუ მე პირიმზე მიყვარს? (ვაჟა, V, 248). 2. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ თევდორე ერთ დღოს განთქმული მომღერალი რყო (ლომ. 494). 3. ონისე დარწმუნდა, რომ მომავლები მოხვედნი უნდა ყოფილიყვნენ (ყაზ. 73). 4. შალვამ დედასაც უამბო, რაცა (პირდ. დამატება) მანა და გაიგონა (ვაჟა, V, 163). 5. ვინც (ქვემდებარე) ჩვენ სიკეთეს გვიშურება, არ დავივიწყებთ ბალები, (ვაჟა). 6. რაზაც (პირდ. დამატება) დასთეს, მასვე მოჰკი (ანდ.). 7. ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად დაახოცინა, რაც რომ მამლები და ყვინჩილები ჰყავდა (ლომ. 62).

„რომ“ და „თუ“ კავშირებით შეერთებული დამატებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ ბოლოშია, მიმართებითი ნაცვალსახელებით შეერთებული დამატებითი დამოკიდებული წინადადება კი თავშია ან ბოლოში...

დამატებითი დამოკიდებული წინადადება ხშირად ირიბ კითხვას გამოხატავს, მაგრამ წინადადება მთლიანად არაა კითხვითი, ბოლოში კითხვითი ნიშანი არ დაისმის.

მაგალითები: 1. კარგა ხანობამდე ვერავინ მიუხვდა მიმინოს, თუ რახ შიას-წევებდა იმისი დილა-სალამოს გალობა (რაზ. 185). 2. ყველამ იცის, რა ცხოველიცა ბრძანდება დათვი (ვაჟა, V, 117).

მეორე წინადადებაში ჩავარდნილია კავშირი „თუ“, „რაც“ აქ საკავშირებელს არ წარმოადგენს.

როცა დამოკიდებული წინადადება ირიბ კითხვას გამოხატავს, მაგრამ მთავარი კითხვითია, წინადადების ბოლოს კითხვითი ნიშანიც დაისმის.

მაგალითი: 1. განა მე არ ვიცი, რა კაცი ბრძანდები?

იწვითად კითხვა დამატებით დამოკიდებულ წინადადებასაც ეხება და წინადადების ბოლოსაც სათანადო ნიშანი დაისმის. ეს ჩვეულებრივ მაშინაა შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმაა, ანდა უკავშირო კვეწყობილში დამოკიდებული წინადადება პირდაპირი სხვათა სიტყვაა, ან მთავარის ერთგვარი განმარტება და, თავისთავად აღებული, კითხვითი შინაარსისაა.

მაგალითები: 1. დაჯექ, ძმობილო. და მითხარი, თუ რა გინდოდა ჩემგან? (არაგ.). 2. მარკვი, რა უყავ. სად წარმიღე სულის მშვიდობა, რისთვის მომიკალ ენაწვილის ბრმა სარწმუნოება? (ბარ.). 3. ერთხელ მაინც მკითხე: „ეგრე რათა არა?“ (ორბ.). 4. ვეიქობდი: მაშ რისთვის მო'რთა ესე ლამაზად წუთისაჟული? (პა.).

დამატებითი დამოკიდებული წინადადების გაცნობისას საჭიროა მასწავლებელმა მოსწავლეებს მოაგონოს დამატებათა ძირითადი სახეები: პირდაპირი, ირიბი და უბრალო. ამის შემდეგ მოსწავლეებს ზოგადად წარმოდგენას აძლევს დამატებითი დამოკიდებული წინადადების სახეებზე, შეცნვეს კი იხილავს მათ ცალ-ცალკე რიგით: პირდაპირი, ირიბი და უბრალო. მთავარია, მოსწავლე დამატებითი დამოკიდებული წინადადების მთავარ წინადადებასთან მიმართებაში გაერკვეს, რომ ასეთი დამოკიდებული წინადადება დაკავშირებულია მთავარი წინადადების შემასმენელთან და წარმოადგენს მასთან შეწყობილ ამა თუ იმ დამატების გაშლილ სახეს წინადადების სახით.

კითხვების საშუალებით დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევა აქ არაა საიმედო, რადგანაც დამატებითი (პირდაპირი და ირიბი) და ქვეცნობარული დამოკიდებული წინადადებები საერთო კითხვებზე (ვინ? რა? ვის? რას?) მიუგებს. კითხვების გამოყენება შედარებით უფრო საინტერესოა უბრალო დამატების გაგების შემცველი დამოკიდებული წინადადების ამოსაცნობად. ამიტომ პირდაპირი და ირიბი დამატებითი დამოკიდებული წინადადებების გასარკვევად მოსწავლე დამოკიდებულ წინადადებათა სავარაუდო ნაცვალსახელებზე დაკვირვებას უნდა შეეაჩვიოს; თუ მოსწავლე გაარკვევს, რა სახის დამატებაა მთავარში წარმოდგენილი (ან ნაგულისხმევი) ნაცვალსახელი, რომლის დაზუსტებასა და ახსნასაც წარმოადგენს დამატებითი დამოკიდებული წინადადება, მას შეუძლებლობად შეუძლია კიდევ განსაზღვროს დამატებითი დამოკიდებული წინადადების სახე.

დამატებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვები არაა სპეციფიკური, ამიტომ მათ არც შეუძლიათ დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევაში დახმარების გაწევა.

დამატებითი დამოკიდებული წინადადების მარტივად გადაქცევა ხშირად შეესაძლებელი; ამიტომ საჭიროა მივმართოთ მის მარტივად გადაქცევასაც, ისევე, როგორც მარტივი წინადადების წევრის დამატებით დამოკიდებულ წინადადებად გადაქცევით რთული ქვეწყობილი წინადადების მიღებასაც. ასეთი მუშაობის ძირითადი მიზანი სტილისტიკური ხასიათისაა.

პუნქტუაციასთან დაკავშირებით საჭიროა ყურადღება ირიბი კითხვის შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაზე გამახვილდეს.

§ 2. ძვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ქვემდებარეს, რომელიც გამოხატულია (ან იგულისხმება) ნაცვალსახელით.

მაგალითები: 1. ვინც დახედა, ავიც დახედება გულდაგულ რახმსა მტრისა-სა (ხალხ). 2. არ არის გველარი (ის), ვინც მოქვედეს და ხალხს შესწიროს დღენია (კე).

პირველი წინადადების მთავარში ქვემდებარე გამოხატულია ნაცვალსახელით (იგივე), მეორე წინადადების მთავარში არაა წარმოდგენილი, მაგრამ იგულისხმება¹. დამოკიდებული წინადადებები ნაცვალსახელებით გამოხატულ ქვემდებარეების ახსნა-დაზუსტებასა და მათს გაშლილ სახეს წარმოადგენს დამოკიდებული წინადადების სახით.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების გაცნობის პირველი საფეხური სწორედ ამ საკითხის გარკვევას წარმოადგენს. საჭიროა მოსწავლეს აქვე მივუთითოთ, რომ ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება, როგორც დამატებითი (პირდაპირი და ირიბი), დაკავშირებულია მთავარი წინადადების შემასმენელთან, რომელიც შეიძლება გადმოცემული იყოს ერთპირიანი, ორპირიანი, ან სამპირიანი ზმნით.

ნაცვალსახელები, რომელთა ახსნა-დაზუსტებას ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს და კითხვები (ვინ? რა?), რომლებზედაც ის მიუყვება, იქნება სახელობითს, მოთხრობითს ან მიცემითს ბრუნვაში.

მაგალითები: 1. ვინც ვერე იქცევა. ის (სახ.) აკლებს ქვეყანას ლაზათს და ლაზათს მიმცემს სიცოცხლეა (ყახ. მსმ); კითხვა: ვინ აკლებს ქვეყანას ლაზათს? 2. გარუდან რომ დაქმუნნილი. ხმლი ტყავი გვაკრავს. მან (მოთხ.) შეგაშინა? (ვკვა. V, 255); კითხვა: რამ შეგაშინა? 3. ძალი ვისაც მოუკლავს, მახვე (მიცემ.) გადაუტოვია. კითხვა: ვის გადაუტოვია?.

ამის შემდეგ ყურადღება ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების სუბიექტზე სიტყვებს უნდა მიექცეს. საკავშირებლად აქ გამოყენებულია მიმართებითი ნაცვალსახელები „ვინც“ და „რაც“ (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით) და კავშირები „რომ“, „თუ“, იშვიათად სხვაიც.

¹ აქაც ეს ნაცვალსახელი აღდგენილია და კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

გამაღლითები: 1. ვინც გარეთ იყო, სახლში ეშურებოდა (რახ. 20). 2. ვინც ვაქცევა შეპლო, ძალსავით სიკვდილს ვაქცევა ამჯობინა (ყახ. 109). 3. ახლა ცხადად ჩანდა, რახაც აქამომდე წყვილიანი ფარავდა (ვაჟა, VI, 97). 4. რაც ერობელ ცხოვლად სულს დაანდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის (ბარ.). 5. ვეხაც თავის ხეხილი უყვარს და ეხოგება, განა ფითრს დააყენებს ხეებზე? (რახ. 56). 6. ცხადად ჩანდა, რომ ჩვენი ცუგრიკა რალაცა საგმირო საქმისთვის ემზადებოდა (ლომ. 480). 7. როგორ მოხდა, რომ იმის საყვარელი შვილი არ არის იმასთან? (ვაჟა, VI, 286). 8. ის მხდალია, ვინც რომ შინით გაინაბა, დიდიანა (ეჟდ. I. 145). 9. რაც რომ მაშინ კირი ვნახეთ, ძნელი არის აწ სათქმელად (წერ. III, 24). 10. შვილი თუ მამას აჯობებს, ქვეყნისთვის უკეთესია.

ნოსწავლისთვის ნათელი უნდა გაბდეს, რომ ქვემდებარულსა და დამატებით დამოკიდებულ წინადადებათ ერთნაირი ძირითადი საკავშირებელი სიტყვები მოეპოვება. მათ საერთო კითხვებიც აქვს. ამიტომ ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების სწავლებისას, მართალია, მივწინათავეთ კითხვების გამოყენებასა და საკავშირებელ სიტყვებზე დაკვირვებას, მაგრამ არც ერთი ამთავანი არაა საიმედო საშუალება დამოკიდებული წინადადების სახის გასარკვევად. დამატებით და ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებათა სახის ამოსაცნობად ძირითად საშუალებას მთავარი წინადადების შემასმენელთან დაკავშირებული იმ ნაცვალსახელის ფუნქციის გარკვევა წარმოადგენს, რომლის ახსნა-დაზუსტებასაც დამოკიდებული წინადადება იძლევა. მოსწავლეთა უპრადლება დამატებითისა და ქვემდებარულის სწავლებისას სწორედ ამ მიმართულებით უნდა გამახვილდეს და არა კითხვების მექანიკურად გამოყენებაზე. ამისთვის მიზანშეწონილია, ქვემდებარულ და დამატებით (პირდ. და ირიბ.) დამოკიდებულ წინადადებათა შეპირისპირებას მივმართოთ, მაგალითად:

დამატებითი დამოკიდებული წინადადება

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

1. მზის შუქმა ცხადად გამოაჩინა: ის (პირდ. დამატ.).
რახაც ბუღუნი ფარავდა.

მზის შუქზე ცხადად გამოჩნდა ის (ქვემდ.).
რახაც ბურუსი ფარავდა.

ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებულ წინადადებასთან დაკავშირებით საჭიროა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება: ხშირად მთავარი წინადადების შემასმენელი გადმოცემულია „უყვარს“, „მოსწონს“, „ახსოვს“ და მისთანა გარდაუვალის ზმნებით, და დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს ამ ზმნებთან სახელობითში შეწყობილი ნაცვალსახელის ახსნა-დაზუსტებას.

მაგალითები: 1. მახსოვს [ის], პირველად სასწავლებელში წააყვანდა რომ მომზადდეს (კალ.). 2. ჩვენ ის გვინდოდა, რომ ახლი-მახლო სადმე ვაგვეგონა გუგლის ხმა (ვაჟა, VI, 315). 3. გგონია [ის], ავიტყვეს გზას და მიეცემა საყვარელის ტყის განსაცდელით საგსე თავისუფლებას (კავ. 163).

როგორია მოყვანილ მაგალითებში დამოკიდებული წინადადებები—
 ქვემდებარული თუ დამატებითი? პასუხი სხვადასხვაგვარი იქნება იმის
 მიხედვით, თუ რად მივიჩნევთ ზემოთ დასახელებული ტიპის ზმნებთან
 სახელობითში შეწყობილ სახელს.—ქვემდებარედ თუ დამატებად. „ამის-
 თანა ზმნებს,—წერდა პროფ. ა. შანიძე თავის სასკოლო გრამატიკის
 პირველ გამოცემაში,—საერთო წესის თანახმად ქვემდებარე სახელობი-
 თში უნდა ჰქონოდათ დაყენებული, მაგრამ ამჟამად ესენი, გარდამავა-
 ლი ზმნების ინვერსიული ფორმების მსგავსად, ქვემდებარეს მიცემითს
 ბრუნვაში წარმოგვიდგენენ“.¹ დასახელებული გრამატიკის შესაბამე გამო-
 ცემაში ეს პარაგრაფი სულ ამოღებულია და ირიბ დამატებასთან დაკავ-
 შირებით შენიშვნის სახით ნათქვამია: „ინვერსიული ფორმების გველე-
 ნით „უყვარს“, „მოსწონს“, „სძინავს“. „ახსოვს“ და მსგავსი აგებულე-
 ბის ზმნებთან ქვემდებარედ მიიჩნიათ მიცემითში დასმული სახელი: „დე-
 დას შეილი უყვარს“, „ბავშვს სძინავს“ და მისთ“.² შემდგომ გამოცე-
 ნაში (სინტაქსი, 1948, 1949) ეს შენიშვნაც ამოღებულია და მარტივ
 წინადადებაში ქვემდებარე-დანატების საკითხს დასახელებული ტიპის
 ზმნებთან გვერდი აქვს ავლილი. მაგრამ ქვემდებარულ დამოკიდებულ
 წინადადებასთან. სავარჯიშოებში, ზემოთ მოყვანილი ტიპის დამოკიდე-
 ბული წინადადებები ქვემდებარულად არის წარმოდგენილი, ე. ი. სახე-
 ლობითში დასმული სახელია ქვემდებარედ გაგებული (ნ. სინტაქსი,
 1949, გვ. 146, სავარჯიშოები).

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების სწავლებისას, თუ ამ სა-
 კითხს გვერდი ავუარეთ, მოსწავლეს ნათელ წარმოდგენას ვერ მივცემთ
 დამატებითსა და ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებათა სახეებზე.

დასახელებული ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა საკითხი სჯობს
 ცალკე საკითხად გამოიყოს.

§ 2. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების რაობის გასაცნობად
 მიზანშეწონილია მარტივი წინადადების განსაზღვრების განსაზღვრებით
 დამოკიდებულ წინადადებად გადაქცევას და მათს შეპირისპირებას მივ-
 მართოთ.

განსაზღვრება	განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება
ნაბადში გახვეული პატარა ბიჭი ცაენს მიუოყვებოდა.	პატარა ბიჭი, რომელიც ნაბადში იყო გახ- ვეული, ცხენს მიუოყვებოდა.
მგლისაგან შეშინებული კურდღელი განა- ლებით გარბოდა.	კურდღელი, რომელიც მგლისაგან იყო შეშინებული, გამალბით გარბოდა.

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1939, გვ. 129 (§ 228).

² მისივე, ქართული ენის გრამატიკა, 1946, გვ. 135 (§ 225).

ასეთი შეპირისპირებით მოსწავლისათვის აღვილია იმის გაგება, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განმარტავს მთავარი წინადადების ამა თუ იმ წევრს. შემდეგ საფეხურზე მოსწავლეს შერჩეულ მაგალითებზე უნდა გვაეცნოთ, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს არსებითი სახელით (ან საწყისით) გადმოცემულ მთავარი წინადადების ამა თუ იმ წევრს: ქვემდებარეს, დამატებას, გარემოებას, განსაზღვრებას.

მაგალითები: 1. ერთბაშთ გორაზე გამოჩნდა გოჩა (ქვემდ.). რომელსაც თუთი თმა გაშლოდა (ყახ. 749). 2. ამოვლებინე სკივრიდამ ჩემი ხანჯალი (პირდაპირი დამატება), რომელსაც ვანგი მოჰკიდებოდა (ვაჟა, V, 66). 3. ყველანი სიბარულით მივგვბნენ ოჩხეს (ირიბ. დამ.), რომელიც მოსვლის შემდეგ ყველაზე მეტს მზიარულედა (ყახ. 709). 4. გახაფხულის სითბო შეიკლებოდა მსუბუქი წიავით (უბრალო დამატება), რომელიც ნახად გაუბრუნდა ფოთლებს და სასიამოვნო შრიბალს აატეაინებდა (ყახ. 55). 5. დაბნელებულ ხენაქში (აღგ. გარ.), რომელსაც ოდნავ ანათებდა მბუტრავი კვარი, კასრებსა და ქილებს შუა იჯდა პატარძალი (ყახ. 695). 6. გმირის ტირილი ვეფხვის (განსაზღვრ.) რურჩუნსა ჰკავდა, რომლისთვისაც ვილაც თაუხეს მონადირეს ლეკვები მოუპარავს (ვაჟა, VI, 389).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მიუგებს განსაზღვრების კითხვებზე: რომელი? როგორი? სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. კითხვების გამოყენებას განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების გასარკვევად მოსწავლეები თავიდანვე უნდა შეეაჩვიონ.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების გავრცელებული საკავშირებელი სიტყვებია: ა) მიმართებითი ნაცვალსახელები: „რომელიც“, „როგორიც“, „ვინც“, „რაც“. ბ) მიმართებითი ზმნიზედები: „სადაც“, „საიდანაც“, „საითყენაც“, „როდესაც“, „როცა“. გ) კავშირი: „რომ“...

მაგალითები: 1. კობტა, ღამაზი ქუჩი, რომელიც ცირცელის ფესვებთან იდგა, შერაქის წყურბა მოვლიჯა და უფსყრელში გადუბაბა (რახ. 137). 2. კობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე ვალალებული ხაირი, როგორიც იდგა კლდის წევრზე (ყახ. 349). 3. შეზურცხეს იმ ვაჯაკს უღვაში, ვინც დედაკაცის დაწიოკება იკადრო! (ვაჟა, VI, 269). 4. როგორ გამოუტყავ იმ სიამოვნებას, რასაც ღვინი იდანუვა მაგრამობინებს ზოლმე უსულა და უსიციოკალო მინდორზე (რახ. 214). 5. ... უზარმაზარი არწივი თავს დასტრიალებდა იმ ხეობას, სადაც ხალხი ეძებდა დაკარგულ ბერიძის გვავს (ვაჟა, VI, 322). 6. გაჩუმებული ვეცდიდი იმ ღამეს, როდესაც ჩემი მამა-ბიძანი ფიჩხისთვის ტყეში უნდა წასულიყვნენ (ლომ. 12). 7. ეს სულ იმ ბებერი არწივის ბრალია, ჩემ გვერდით რომ ბუდობს (ვაჟა, V, 234).

მიმართებითი ზმნიზედებით შეერთების შემთხვევები ძირითადად ადგილისა და დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა განხილვას უნდა დავეუკავშიროთ.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადების მთავარში წარმოდგენილია (ან იგულისხმება) მისათითებელი სიტყვები, რომელთა ახსნა-დაზუსტებასაც წარმოადგენს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

მაგალითები: 1. აი აქა ბრძანდება ეს კაცი, ვინც მითბრა (ლომ. 441). 2. არის განა სადმე ხეთო ფრინველი, რომ არ სმენოდეს ბულბულის გალობა და არ დამტბაროყოს იმის კეთილზმოვანებით? (ვაჟა, VI, 34). 3. ეს სულ ამ ბებერი არჭიის ბრალთა, ჩემს ჯვერდით რომ ბუდობს (ვაჟა, V, 238). 4. არ იყო [ისეთი] მთა, არ იყო [ისეთი] ხევი და [ისეთი] ღელე, რომ საქონლის ღემით არ ყოფილიყო სახეს (რახ. 105).

კითხვების გამოყენებასთან ერთად მოსწავლეები განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ამოსაცნობად მისათითებელ სიტყვებზე (კორელატებზე) დაკვირვებასაც უნდა მივაჩვიოთ.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უმეტესად შერთდება მიმართებითი ნაცვალსახელით „რომელიც“, შედარებით იშვიათად გვხვდება აგრეთვე „ვინც“, „რაც“ და „როგორიც“; ესენი საკავშირებელი სიტყვებიც არიან და დამოკიდებული წინადადების წევრიც. „რომელიც“ საკავშირებელთან მრავალი მომენტია გასათვალისწინებელი, ამიტომ ამ ნაცვალსახელით შეერთების შემთხვევებზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ.

„ვინც“ და „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით საკავშირებლად, როგორც ვიცით, განსაზღვრებითს გარდა, გამოყენებული აქვს დამატებითსა და ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებათაც (და იქ ისინი ძირითადი საკავშირებლებიც არიან); მოსწავლისათვის საკითხი რომ ნათელი იყოს, საჭიროა ქვემდებარულის, დამატებითისა და განსაზღვრებითის ერთი და იმავე საკავშირებელი სიტყვით შეერთების შემთხვევები ერთმანეთს შეეუპირისპიროთ, მაგალითად ასე:

ქვემდებარული	დამატებითი	განსაზღვრებითი
აი აქა ბრძანდება ის (ქვემდ.), ვინც მითბრა.	აი აქ მოაბრძანა ის (პირ. დამ.), ვინც მითბრა..	აი აქა ბრძანდება ის (განსაზ.) კაცი, ვინც მითბრა. (ლომ. 441).

კითხვა: ვინ ბრძანდება აქ? კითხვა: ვინ მოაბრძანა მან? კითხვა: რომელი კაცი ბრძანდება აქ?

საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ ნათესაობითში „ვინც“ იყენებს კითხვით-კუთვნილებით ფორმას.

მაგალითები: 1. იქნებ აკვანში ის ყრმა წვეს, ვისაც არ ითქმის სახელი (პავ. 101). 2. ვისაც ენა ქარტალია, მისი ყველა მართალია (ანდ.).

„ც“ ნაწილაკი ზოგჯერ შეიძლება ჩამოსცილდეს და საზღვრულს შეუერთდეს.

მაგალითი: 1. ვისი სახლიც მაღალია, ეს იმისი მუყარია (ანდ.).

„რაც“ ნათესაობითში ჩვეულებრივ თანდებულს დაერთავს.

მაგალითი: 1. მოსისხლე სული და გული ველარ გადმოსცემს იმ ხმებს, რისთვისაც მემადრიელებიან ყულანი (ვაჟა, VI, 348).

„რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენებასთან დაკავშირებით საკიროა წასწავლებელმა რამდენიმე ძირითადი მომენტი გაითვალისწინოს:

ა) იგი განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადების ძირითადი საკავშირებელია და ამავე დროს დამოკიდებული წინადადების ესა თუ ის წევრი. ჩვეულებრივ გვხვდება პირველ ოთხ ბრუნვაში (სახელ., მოთხრ., მიც., ნათეს.), იშვიათად მოქმედებითშიც, მხოლოდითის ან მრავლობითის ფორმით.

შპბალითმზი: 1. ხალხი თავს დაჰბრუნავდა გაშოტილ ხარ-ირემს, რომელიც (სახელ. ბრ., მხოლოდ. რიცხვი, პირდ. დამ.) ამ დილით მონადირეებს მოეკლათ (ვაჟა, VI, 337). 2. კერძოლები, რომელნიც (სახ. ბრუნ., მრავლ. რიცხ., ქვემდ.) გუშინ დათვთან მისალოცად გარბოდნენ, დღეს ცმუტავდნენ, ხტოდნენ (ვაჟა, VI, 259). 3. შემოვიდნენ მუცელას ძმეი, რომლებიც (სახ. ბრ., მრავლ. რიცხ., ქვემდ.) ამ დროს მარანში იყვნენ წასულები ღვინის ამოსაღებად (ვაჟა, V, 330). 4. ერთ-ბაშად გამოიხდა შვიი ღრუბელი, რომელმაც (მოთხრ. ბრ., მხოლ. რიცხ., ქვემდ.) მალე ცა დაფარა. 5. [მათიამ] დაინახა იმისკენ მომავალი ორი ქალი, რომელთაც (მოთხრ. ბრ. მრავლ. რიცხ., ქვემდ.) დააშლევინეს მოუფიქრებელის გარდაწყვეტილების აღსრულება. (ყახ. 70). 6. ქალი პასუხის მაგივრად გადაეხვია თავის მშობელს, რომელსაც (მიც. ბრ., მხოლ. რიცხ., ირიბი დამ.) სიტყვა გააწყვეტინა ამ შემთხვევამ პირში (ყახ. 200). 7. ხამის უმტვერო თეთრი მერანგი, რომელზედაც (თანდებულებიანი მიც., მხოლ. რიცხ., უბრალო დამატ.) უბრალო თოკი ქაზრად შემოეკირა, რალაცა საოცნებოდ მოგაჩვენებდათ მოხუცს (ყახ. 718). 8. სვიმონის თავთან იჯდა მოხუცი ღრჯა, რომლისთვისაც (თანდებულებიანი ნათ., მხ. რ., უბრ. დამ.) გათეთრებული წვერი ხანსა და დროს რაოდენადმე შეეყვითლებინა (ყახ. 134). 9. ბუს დალოცვისა კოდალას ნამეტნავად ის ნაწილი მოეწონა, რომლისთაც (მოქ. ბრ., მხოლ. რიცხ. უბრალო დამატება) პირველი მას სახრდოს მოპოვებას უქადდა (ვაჟა, VI, 93).

„რომელიც“, ნათესაობითში უთანდებულოდ დასმული, განსაზღვრება. ამ შემთხვევაში მას, როგორც სახელმძღვანელოშია აღნიშნული (სინტაქსი, 1949, გვ. 150), ც (ცა) შეიძლება ჩამოშორდეს და საზღვრულზე იქნეს გადატანილი, ან სულ ჩამოცილებულ იქნეს, მაგრამ შინაარსეულობად ის მაინც მიმართებითი იქნება.¹

შპბალითმზი: 1. ბუნების ამ საერთო მეჯლისს დაჰყურებდა ონისე, რომლის გულსაც ჯერ გახაფხული არ სწევოდა (ყახ. 711). 2. ჩემ წინ იყო გადაშლილი თვალგადაუწყვენიელი ტრიალი მინდორი, რომლის ნაპირები შორს, შორს ლაყარდ ცის დასავალს და ტყით შემოსილ მთების კალთებს უერთდებოდა (ლომ. 345).

ნაწილაკი „ც“ ჩამოშორდება მაშინაც, როდესაც „თ“-ანიანი მრავლობითის ფორმას ახლავს თანდებული.

¹ ზოგჯერ „რომელიც“ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, მაგრამ იგი არაა მიმართებითი. ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა ჩაუარდნილია კავშირი, მაგ. „თუ“ და ამის გამო შეერთება უკავშირია. დამოკიდებული წინადადებაც არაა განსაზღვრებითი. მაგალითი: 1. იცის კარგად მწყერმა, [თუ] რომელს მზარებდაც არის საზამთრო ბინა (ვაჟა, IV, 18).

მაბაღლიტიზი: 1. ფერდობზე ხტუნაობით და წკანწკარით მხიარულად მობოდნენ ბაღლიდანა ცივი ანკარა წყაროები, რომელთა მეფებით მთელი ეს ამოდენა გვერდობი ხურნუბის ფერად ახვევრდებულოყო (ლომ. 136). 2. საწიოკე მთა ეკუთვნოდა ას კოვლ მებატონეს, რომელთა შორის ირიცხებოდა სამონ ჯიბიშვილიც (გ. წერ. 369).

ბ) მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ რიცხვში ანგარიშს უწევს მთავარი წინადადების იმ წევრს, რომელსაც მიემართება დამოკიდებული წინადადება. აქ თავის მხრივ გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

1. მხოლობითს რიცხვში დასმულ მისამართ სახელთან მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლობითშია.

მაბაღლიტი: 1. ტუაობის შუა ადგილს მოჩანდა რველად ამაღლებული პატარა გორაკი, რომელსაც ფერდობები შემოსილი ჰქონდა ვერხვის ტყითა (ყახ. 646).

2. მრავლობითში დასმულ მისამართ სიტყვასთან მიმართებითი ნაცვალსახელიც მრავლობითშია.

მაბაღლიტი: 1. მთიულეებმა, რომელნიც შემოვიდნენ და მოავონეს წასვლის დრო, გამოიყვანეს ელგუჯა ამ ტკბილი ოუნებიდამ (ყახ. 57).

3. „რომელიც“ მრავლობით რიცხვშია, როცა ის მიემართება მხოლობითში დასმულ ისეთ სახელს, რომელსაც განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი.

მაბაღლიტიზი: 1. მთიამ დაიწახა იმისკენ მომავალი ორი ქალი, რომელთაც დაამლეინეს მოუფიქრებლის გარდაწყვეტილების აღსრულება (ყახ. 70). 2. ქობის ქვეით ფერდობედ გამოჩნდა რამდენიმე კაცი, რომელნიც გამოქვაბულისაკენ მიდიოდნენ (ყახ. 617).

4. „რომელიც“ მრავლობითშია მაშინაც, როცა ის მიემართება შერწყმული წინადადების მხოლობითში დასმულ ერთნიარ წევრებს.

მაბაღლიტიზი: 1. ონახე და გუგუა, რომელთაც დღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩინათ, ისბდნენ ჯანმრველად (ყახ. 691). 2. უუთიც და გზახედ ქალი და კაცი გამოჩნდა, რომელთაც ერთი დატყირთული ვირი მოჰყვანდათ (ყახ. 738).

გ) განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარს უერთდება „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელით, შუაშია ან ბოლოში.

როდესაც დამოკიდებული წინადადება შუაშია, მიმართებითი ნაცვალსახელი უშუალოდ მისდევს იმ სიტყვას, რომელსაც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მიეკუთვნება. ჩვეულებრივ ეს ასეა მაშინაც, როდესაც დამოკიდებული წინადადება ბოლოშია. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევასთან დაკავშირებით არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა საკავშირებელი სიტყვა „რომელიც“ არ მისდევს უშუალოდ იმ სიტყვას, რომელსაც დამოკიდებული წინადადება მიემართება. ასეთი რიგი ორაზროვნებას არ აწევს, თუ „რომელიც“ მიმართებითს ნაცვალსახელსა და

იმ სიტყვას შორის, რომელსაც ახლავს დამოკიდებული წინადადება. ჩამდგარია მთავარი წინადადების შენასშენელი და არა სხვა რომელიმე სახელი.

მაგალითები: 1. ამ დროს ძალმა ყვაფი დანაზა, რომელიც იქვე ვახედ ჩამოგდარიყო და გლოვის ხარად ჩაოდა (ყაზ. 535). 2. ხანდახან ნიაგისაგან გაფანტულს მტვერში გოჩას დროშა გამოჩნდებოდა, რომელიც ისევ უნებლად ფრიალებდა (ყაზ. 749).

ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ მეორდება ის სახელი, რომელსაც მიემართება დამოკიდებული წინადადება.

მაგალითები: 1. იმ სიმაღლე დედაკაცი ხანდახან მარტო ჯუბას ჩაიყვამდა, ჯუბას, რომელიც ერთი-ორად სიმაღლეს უმატებდა (ვაჟა. V, 43). 2. ყველაზე მეტად ეს დუმილი თევდორას აწუხებდა, იმ თევდორას, რომელიც მთელი საათის განმავლობაში ერთხელ არ დახამსამებდა თვალს (ვაჟა, V, 122).

თუ მისამართ სიტყვასა და „რომელიც“ მიმართებითს ნაცვალსახელს შორის ჩამდგარია სხვა სახელი, წინადადება ბუნდოვანია, ორაზროვანია.

მაგალითი: 1. ამ სიტყვებმა მწარედ გაიწწლეს ონისეს გული, რომელსაც სიმღერა თანდათან უახლოვდებოდა (ყაზ. 701).

აზრის მიხედვით იგულისხმება, რომ „სიმღერა“ ონისეს უახლოვდებოდა, სიტყვათა რიგის მიხედვით კი ისევ გამოდის, რომ იგი თითქოს „გულს“ უახლოვდებოდეს.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების განხილვისას საკიროა უურადლება მივაქციოთ განკერძოებულ განსაზღვრებას, რომელიც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შინაარსის შემცველია, ოღონდ უკავშიროდ შეერთებულნი, და მისდევს საზღვრულს. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ შეიძლება იქცეს განკერძოებულ განსაზღვრებად ან ჩვეულებრივ განსაზღვრებად, ისევე, როგორც განკერძოებული განსაზღვრება თავის მიმყოლი სიტყვებითურთ შეიძლება გადაეკეთოს განკერძოებულ განსაზღვრებად, ანდა ჩვეულებრივ განსაზღვრებად. თავის მხრივ, ცხადია, როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, ჩვეულებრივი განსაზღვრებაც შეიძლება გადაიქცეს განკერძოებულ განსაზღვრებად ან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად. ასეთი გადაკეთება მნიშვნელოვანია როგორც სინტაქსურ-სტილისტიკურად, ისე პუნქტუაციურ ჩვევათა განმტკიცების თვალსაზრისითაც. ქვემოთ ნოგვეყავს გადაქცევის ნიმუშები.

ნიმუშები

1. ჩვეულებრივი განსაზღვრება

ჯაფისაგან დაღლილი ფუტკარი წყალში ჩაეარდა და იხრჩობოდა (გოგ.).

განკერძოებული განსაზღვრება

ფუტკარი, ჯაფისაგან დაღლილი, წყალში ჩაეარდა და იხრჩობოდა.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

ფუტკარი, რომელიც ჯაფისაგან იყო დაღლილი, წყალში ჩაეარდა და იხრჩობოდა.

განკერძობული
განსაზღვრება

ჩვეულებრივი განსა-
ზღვრება

განსაზღვრებითი და-
მოკიდებული წინადა-
დება

პეტრი. უწინდელზე უფრო მიბერებული, ქალაქს მოდიოდა (უკ. 409).

უწინდელზე უფრო მიბერებული პეტრე ქალაქს მოდიოდა.

პეტრე, რომელიც უწინდელზე უფრო მიბერებული იყო, ქალაქს მოდიოდა.

3. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება¹

განკერძობული განსაზღვრება

ჩვეულებრივი განსაზღვრება

ამ სიტყვებზედ შეკრთა ეკია, რომელიც ხაზართოდ ბინის დასაქვრად მიდიოდა ანზორას ხოფელში (უკ. 252).

ამ სიტყვებზედ შეკრთა ეკია. ხაზართოდ ბინის დასაქვრად ანზორას ხოფელში მიმავალი.

ამ სიტყვებზედ შეკრთა ხაზართოდ ბინის დასაქვრად ანზორას ხოფელში მიმავალი ეკია.

§ 4. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება იშვიათად გვხვდება და ნაკლებადაც არის შესწავლილი. იგი, როგორც ვიცით, ქართულ სასკოლო გრამატიკაში არაა შესული და სკოლაში არც ისწავლება. ამიტომ შემასმენლური დამოკიდებული წინადადების შემთხვევები ირევა ქვემდებარულ, დამატებით და განსახლვებით დამოკიდებულ წინადადებათა სახეებში.

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ქართულში მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი შედგენილია, აზრს კონკრეტულად ვერ გამოხატავს და მოითხოვს ახსნასა და დახუტებას. დამოკიდებული წინადადება, რომელიც შეიცავს ასეთი შემასმენლის შინაარსს, შექასმენლურია. მაშასადამე, შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ისეთია, რომელიც ხსნის და ახუტებს არა მთავარი წინადადების შემასმენელთან დაკავშირებულ (წარმოდგენილ ან ნაგულისხმევ) რომელიმე წევრს (მაგ. ქვემდებარეს, ერთ-ერთი სახის დამატებას...), არამედ თვით შემასმენელს. თუ მთავარი წინადადების შემასმენელი მარტივია, გადმოცემული ზმნის პირიანი ფორმით, შემასმენლური დამოკიდებული წინადადების შექმნაც შეუძლებელია. ავილოთ ასეთი წინადადება:

„ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“ (წერ.).

მთავარი წინადადებაა „ის აღარა ვარ“, დამოკიდებული — „რაც ვიყავ“. მთავარი წინადადების ქვემდებარე „მე“ არაა წარმოდგენილი, მაგრამ იგულისხმება; „ის ვარ“ შედგენილი შექასმენელია, რომელიც შეიცავს ნაცვალსახელსა („ის“) და მეშველ ზმნას („ვარ“). „აღარა“ უარყო-

¹ განკერძობული განსაზღვრების განსახლვებით დამოკიდებულ წინადადებად გადაკეთება და განსახლვებითი დამოკიდებული წინადადების ჩვეულებრივ განსახლვებად გადაქცევა გათვალისწინებულია საივდ სლევანლოშიც. მაგრამ არა განსახლვებით დამოკიდებულ წინადადებასთან, არამედ რთულ ჩვეულებრივ წინადადებათა მარტივად გადაქცევასთან დაკავშირებით (ნ. სინტაქსი. 1949. გვ. 176). მოხანშეწოლია ასეთი მუხაობა თვით განსახლვებითი დამოკიდებული წინადადების სწავლებას დაუკავშირდეს.

ფითი ნაწილაკია, იგი წინადადების წევრი არაა. მთავარი წინადადების შედგენილი შემასმენელი კონკრეტულ შინაარსს ვერ გამოხატავს, ახსნასა და დაზუსტებას მოითხოვს, რადგანაც არა ჩანს, თუ ვინ ვარ მე. მის ახსნას იძლევა დამოკიდებული წინადადება „რაც ვიყავ“, ამიტომ იგი შემასმენლური დამოკიდებული წინადადებაა.

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება მიუგებს კითხვებზე: როგორია? რანაირია? ვინ არის? (ვინ ვარ? ვინ ვართ? ვინ ხარ? ვინ ხართ?), რა არის? და მთავარს უერთდება მიმართებითი ნაცვალსახელებითა („ვინც“, „რაც“, „რომელიც“, „როგორიც“) და კავშირით „რომ“.

მაგალითები: 1. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება იხეთია, რომელიც ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების შემასმენელს (კითხვა: როგორია შემასმენლური დამოკიდებული წინადადება?) 2. ეს ხმალი იხეთია, რომ რკინეულებს ყველსავეთ კრის (კითხვა: როგორია ეს ხმალი?). 3. როგორცაა ხე, იხეთიანაყოფი (კითხვა: როგორია (ან რანაირია) ნაყოფი?). 4. მე როგორც დავიბადე, იხეთი ვარ მუდამ წამს, მუდამ ვაშს, ყოველ შემთხვევაში (ვეფა, V, შუი). (კითხვა: როგორი ვარ მე?). 5. მე იგი ვარ, ვინც ქვეყნისთვის ვიბრძობ და თავს ვაფწირავ (კითხვა: ვინ ვარ მე?). 6. ახლა ამინდი იხეთია, რომ საყვედური არ ითქმის (კითხვა: როგორია ახლა ამინდი?). 7. თქვენ ახლაც ის ხართ, რაც წინათ იყავით (კითხვა: რა ხართ თქვენ ახლაც?). 8. მე იგი ვარ, ვის სიკვდილი მოჯდრისთვის თამაშად და მიჩანს მღერად (რუსთ.) (კითხვა: ვინ ვარ მე?).

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება სხვადასხვა ნიშნით ახლოსდგას განსაზღვრებით, ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებთან. ამიტომ მიზანშეწონილია, თუ მისი სწავლება პროგრამით იქნება გათვალისწინებული, მათს შეპირისპირებასაც მივხაროთ, მაგალითად:

შემასმენლური დამოკიდებული წინადადება **განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება**

გივი იხეთია, რამ ყველას უყვარს.
კითხვა: როგორია გივი?

გივი იხეთი კაცია, რომ ყველას უყვარს.
კითხვა: როგორი კაცია გივი?

შემასმენლური დამოკიდებული წინადადების გაცნობის შემდეგ საკიროა გავიმეოროთ დამოკიდებულ წინადადებათა შესწავლილი სახეები, გამოვკვეთოთ და დავაზუსტოთ მათი მსგავსი, საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. საბოლოოდ კარგია შევადგინოთ ასეთი ტაბულა:

დამოკიდებული წინადადება	კითხვები	საკავშირებელი სიტყვები	დამოკიდებული წინადადების საბის მისათითებელი სიტყვები მთავარში
1. დამატებითი: ა) პირდაპირი ბ) ირიბი გ) უბრალო			
2. ქვემდებარული			
3. განსაზღვრებითი			
4. შემაჯავებელი			

VI. მთავარი წინადადების წევრთა შინაარსის გეგმა დამოკიდებულ წინადადებათა გეგმა ძველგვარში

§ 1. ადგილის გაკეთებით დამოკიდებული წინადადება

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უჩვენებს მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედების ადგილს და მიუგებს კითხვებზე: ხად? ხაიდან? ხაითყენ? მისი საკავშირებელი სიტყვებია მიმართებითი ზმნიზედები: „სადაც“, „საითყენაც“, „საიდანაც“ და კავშირი „რომ“. მთავარში შეიძლება მოიპოვებოდეს ადგილის ზმნიზედები (იქ, იქით, მუნ, იქითყენ, იქიდან), რომელთა დაზუსტებასაც დამოკიდებული წინადადება იძლევა.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უმეტესად თე-
შია ან ბოლოში, იშვიათად შუაშიც.

გაგალითები:

ა) დამოკიდებული წინადადება თავშია

1. ხადაც კალა თავდებოდა, ფმაც ექ ერეოდა მდინარეში (ვაეა, V, 311).
2. ვეკაცი ხადაც შერცხვება, იმის სამარე ექ არის (ანდ.). 3. ეზოში რომ დიდი კაკალი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი, ექ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული (ვაეა, VI, 169).
4. ხადაც მოესწრო დედამიწას თოვლისაგან განთავისუფლება, [ექ] თავვეითელა ყვავილს და დათვის ტერეფას ამოეყოთ თავი (რაზ. 195).
5. ხადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ სამ-
შეიდობო მოქალაქის აწ მართავს ხელი (ბარ.).
6. ხაც დამიღამდეს, ექ გამითენ-
დეს (ბარ.).

ბ) დამოკიდებული წინადადება ბოლოშია

1. [დათვი] ბურტყუნით გაეჭანა ექითყენ, ხადაც ქიტესა და თვედორა იყუნენ ჩასაფრებულნი (ვაეა, V, 130).
2. პავლიამ კი ლილინით გასწია ექითყენ, ხადაც კაკაკები ისბდნენ (რაზ. 293).
3. მსხალს თვალი დარჩა ექით, ხაითყენაც ფითრი უჩვენებდა (რაზ. 95).
4. ყველა ექით მიბრუნდა, ხაიდგანაც ბარაბანის ხმა მოის-
მოდა (ყახ. 431).
5. ექ ჩაბრძანდი, ხაე გელიან ლოდებით (წერ.).

გ) დამოკიდებული წინადადება მთავარშია

1. ექ, ხადაც პირველად შეეხვდი ზაშეს, ხომ არ ეგულება რამე საუნჯე? (ვაეა).
2. მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-
იქით ხეგები ჩაუდის, ექ ვცხოვრობდით (ვაეა, V, 10).
3. ექვთ, ხაცა გველს ხშირად წოლა და ნებეფრობა უყვარდა, პატარა რცხილის ბუჩქზე ტრედს ბუდე
ჰქონდა (ვაეა, V, 312).

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ სახელ-
დებითია: წარმოდგენილია ზმნიზედა „იქ“ (რომელიც მთავარს ექუთენის)
დაპოკიდებული წინადადებით.¹

მაგალითები: 1.—ი, სადაც დაიბადა ბელადი. 2. იქ, სადაც ცხოვრობდა
ილია.

„სადაც“, „საიდანაც“, „საითენაც“ ადგილის გარემოებითი დამოკი-
დებული წინადადების ძირითადი საკავშირებელი სიტყვებია, მაგრამ
ისინი გამოყენებული აქვს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადება-
საც. ამიტომ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სწავ-
ლებისას საჭიროა განსაზღვრებითისა და ადგილის გარემოებითი დამო-
კიდებული წინადადების საერთო საკავშირებლების გამოყენების შემთხ-
ვეები ერთმანეთს შეეუპირისპიროთ და ყურადღება მათს განმასხვავებელ
ნიშნებზე გავამახვილოთ.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

1. ერთ დღეს ორმა მოუსვენარმა სოფლის
ბიჭმა ტყეხავენ გასწია. ხადაც ნიბლიას
ბჯდე იყო.

კითხვა: რომელი ტყისაკენ გასწია?

2. ამის შემდეგ ისინი გაბრუნდნენ
ბინაზე, ხაიდანაც ისევ ის გულსაკლავი
ჭიანჭრის იმა მოისმოდა. (რახ. 207).

კითხვა: რომელ ბინაზე გაბრუნდნენ?

3. ქარწივი სწორედ ამ ადგილას დაჯდა,
ხადაც სრყრმის დროს უყვარდა ყოფნა.
(ვაჟა, VI, 87).

კითხვა: რომელ ადგილას დაჯდა?

4. მოაუტმა შეუტია ცხენსა და გააქრო-
ლა ამ მხარეხაკენ, ხადაც ნუგზარ რამ-
დენიმე კაცით ჯერ კიდევ იბრძოდა
(ყახ. 719).

კითხვა: რომელი მხრისაკენ გააქროლა?

5. ამ დროს გორაზე, ხადაც რქიანსა და
ტოლს ჭქონდათ წინათ ბინა. ორმა და-
ყუნდილმა მკელმა ამოყო ცხვირი.
(რახ. 39).

კითხვა: რომელ გორაზე ამოყო?

ადგილის გარემოებითი დამოკი- დებული წინადადება

ერთ დღეს ორმა მოუსვენარმა ბიჭმა
ქითყენ გასწია, ხადაც ნიბლიას ბუდე
იყო (რახ. 8).

კითხვა: ხაითყენ გასწია?

ამის შემდეგ ისინი გაბრუნდნენ ქითყენ,
ხაიდანაც ისევ ის გულსაკლავი ჭიანჭრის
ხმა მოისმოდა.

კითხვა: ხაითყენ გაბრუნდნენ?

არწივი სწორედ ქითყენ დაჯდა, ხადაც სიყ-
რმის დროს უყვარდა ყოფნა.

კითხვა: ხადა დაჯდა?

მოხუტმა შეუტია ცხენსა და გააქროლა
ქითყენ, ხადაც ნუგზარ რამდენიმე კაცით
ჯერ კიდევ იბრძოდა.

კითხვა: ხაითყენ გააქროლა?

ამ დროს ქითყენ, ხადაც რქიანსა და ტოლს
ჭქონდათ წინათ ბინა, ორმა დაყმენდილ-
მა მკელმა ამოყო ცხვირი.

კითხვა: ხადა ამოყო ცხვირი?

¹ სახელდებითი შეიძლება იყოს მთავარის რომელიმე წევრთან ერთად სხვა სახის
დამოკიდებული წინადადებაც, მაგალითად განსაზღვრებითი. მაგალითი: 1. სახლი
სადაც ცხოვრობდა ილია.

შეპირისპირების შედეგად მოსწავლისათვის ნათელი უნდა გახდეს შემდეგი:

„სალაც“, „საიდანაც“, „საითყენაც“, მიმართებითი ზნინიზებებით შეერთებული დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, თუ ეს საკავშირებლები მიემართებიან სახელით გამოხატულ წინადადების წევრს (ქვემდებარეს, დამატებას, გარემოებას), მაგრამ ადგილის გარემოებითია, როცა ისინი მიემართებიან მთავარში ზნინიზებით (იქ, იქით, იქითკენ, იქიდან, მუნ...) გადმოცემულ ადგილის გარემოებას. პირველი მიუგებს განსაზღვრების კითხვაზე, მეორე კი—ადგილის გარემოებისა. ამავე დროს, როცა დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, მიმართებითი ზნინიზება შეიძლება შეიცვალოს მიმართებითი ნაცვალსახელით „რომელიც“, თუკა მათი ერთიმეორის ადგილას გამოყენება სტილისტიკურად თანაბარი ღირებულებებისა არაა.

§ 2. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უჩვენებს მთავარ წინადადებაში გამოთქმული მოქმედების დროს და მოგვიგებს დროის გარემოების კითხვებზე: როდის? რა დროიდან? რა დრომდე?

მაგალითები: 1. ზღუდული სანახაი იყო ფრინველთა მფეუ, როცა მეცურდა ლაქარდ ცანი და განიერი წრეები შემოიარა ქაერში (რახ. 251). (კითხვა: როდის იყო დიდებული სანახაი ფრინველთა მფეუ?). 2. ასე ასწავლიდნენ გალობას ბავშვები პატარა ტყუებს [ჩიტებს]. სანამ საწყობებს ბავშვების ხელში არ ამოუვიდათ სული (რახ. 8). (კითხვა: რა დრომდე ასწავლიდნენ ბავშვები ასე?). 3. მას პაქეთ, რაკი შენადნი ვცან მე სიყვარული. პოი. მანულო, გამიკოთა მე ძილი და შვება! (ქვე. 72). (კითხვა: რა დროიდან გამოკოთა მე ძილი და შვება?).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებას საკავშირებელი სიტყვებია: რომ, როდესაც (როცა), თუ არა, რა, რაწამს, როგორც კი, ვიდრე, სანამ, რაკი, როს, ოდეს; სანამ—მანამ, მაშინ—როცა...

განვიხილოთ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სხვადასხვა საკავშირებლით შეერთების შემთხვევები მოკლედ ცალ-ცალკე.

ა) როდესაც; როცა:

დამოკიდებული წინადადება უმეტესად თავშია ან ბოლოში, იშვიათად შუაშიც. საკავშირებელი ჩვეულებრივ იწყებს დამოკიდებულს. მთავარში საპირისპიროდ მოიპოვება ან იგულისხმება დროის ზნინიზება „მაშინ“.

მაგალითები: 1. როდესაც პაპა მარტოა, გარინდებული იკდა დერეფანში, მაშინ მოხუცი აპირანის სურათად გამოადგებოდა მატყარს (ვაჟა. V. 20). 2. როდესაც ჰოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცადა ნუგზარ ერისთავის სურვილი (ვახ. 718). 3. მთანი როცა დიდი თოვლი მოკა, ნადირი ჰალბებს მოატანს (ვაჟა, V, 165). 4. როცა დაეთი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო (ქვე. 366). 5. დილის ათი საათი ივნებოდა, როდესაც მატარებელი ქალაქის სადგურის წინ გაჩერდა (ლომ. 432). 6. გარეგარემა მოალწია, როდესაც ონისე მყოლას განეთხოვა (ვახ. 553). 7. სხემ ნამი უკვე სანახევროდ ააშრო. როცა ლოკოიხა თვის ციხე-ქალაქ-

თან მიყოფხდა (რახ. 372). ნ. კარგა შებინდა, როცა ღვთისო შინ დაბრუნდა (აიაგ. 223). ყ. მეც როცა პატარა შიშმა გადამოიარა და გული დაეიმევიღო, ვუამბე დაწერილებით ჩემი თავგადასავალი (რახ. 349). 10. მაშინ კი, როცა ბუღბულის მღერას ეუვდებდი ყუოს, ჩემმა გულმა ფეთქა დამიწყო (ვაჟა, VI, 4).

„როდესაც“, „როცა“ გამოყენებული აქვს განსაზღვრებითს, პირობითს და სხვ. დამოკიდებულ წინადადებათა სწავლების მოცემულ საფეხურზე საჭიროა დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებასთან მიმართების საკითხს შევეხოთ, მის პირობით დამოკიდებულ წინადადებასთან მიმართებას კი პირობითის განხილვისას უნდა დაეუბრუნდეთ.

თუ მიმართებითი ზმნიხედები („როდესაც“, „როცა“) მიემართება მთავარი წინადადების სახელს, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითა და არა დროის გარემოებითი. ასეთი დამოკიდებული წინადადება მიუგებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კითხვაზე და მთავარში მოეპოვება (ან იგულისხმება) კიდევ მისი სავარაუდო, მისათითებელი სიტყვა (იმ, ის...).

მაგალითები: 1. გაჩუმებული ვუცდიდი იმ ღამეს, როდესაც ჩემი მამა-ბიძანი ფიჩხისათვის ტყეში უნდა წასულყვნენ (ლომ. 12). (კითხვა: რომელ ღამეს ვუცდიდი?). 2. ბოლო ეამს დაფგა ის ბედნიერი საათიც, როდესაც თბილი წყლით მობანილი თვალები გაახილა მარომ (ლომ. 468). (კითხვა: რომელი ბედნიერი საათი დადგა ბოლო ეამს?). 3. რა დაავიწყებდა „მარიამას“ იმ დღეს, როცა პირველად გუთანში შეაბეს (რახ. 231). (კითხვა: რომელ დღეს რა დაავიწყებდა?). 4. ძიძია კარგა ხანს იყო იმ მდგომარეობაში, როდესაც კაცს გაოცება ნებას არ აძლევს თავისი გრძნობა გამოირკვიოს (ვახ. 723). (კითხვა: როგორს მდგომარეობაში იყო ძიძია კარგა ხანს?).

ბ) რომ:

„რომ“ კავშირით შეერთებული დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაც უმეტესად თავშია ან ბოლოში, იშვიათად შუაშიც. როცა დამოკიდებული წინადადება თავშია, „რომ“ ჩვეულებრივ დამოკიდებულშია, როცა ბოლოშია, იწყებს დამოკიდებულს ან დამოკიდებულშია. „რომ“ შეიძლება შეიცვალოს „როდესაც“ („როცა“) საკავშირებლით.

მაგალითები: 1. არაგვს რომ გამოვდიოდით, გაღმა ნაპირიდან იხვების გუნდი აფრინდა და ყოყინით გასწია თავქვე (ვაჟა, V, 82). 2. ფრინველი რომ ამ გაზიდულობაში იყვნენ, მელა მოპარვოდათ ახლო (ვაჟა, V, 290). 3. ეს რომ მითხრა, გულზე ცეცხლი მომედო და მომეკიდა (წერ. 11, 167). 4. მამა და შვილი რომ ბუღბულის იუბილეზე ბჭობდნენ, ეს უკანასკნელი კეთილზმოვანებას ჰფენდა მთელ არე-მარეს (ვაჟა, VI, 853). 5. ღამე იყო გადასული პირველ მამლის ყივლისა, ერთ ქობიდან რომ მოესმათ ხმა ბარკების წივილისა (მღვ. 290). 6. შუადღე იქნებოდა, რომ სუაი და ყორანი დიდს ხეში ისხდნენ გვერდის-გვერდ და ლეშსა წიწყნიდნენ (ვაჟა, VI, 7). 7. ეს, წყლის დასალეყად რომ ჩავედი ხეში, მაშინ ეიტკივე (ვაჟა, V, 9). 8. მაშალს, დაბოცილი ფრინველები რომ დანიანა, ცახ-ცახი დააწყებინა... (ვაჟა, VI, 289).

„რომ“-თან დაკავშირებით ყურადღება იმაზე უნდა გამახვილდეს, რომ მის წინ მძიმე მხოლოდ მაშინ დაისმის, როცა ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას (რომელიც მთავარშია ან მთავარის შემდეგ).

გ) თუ არა:

„თუ არა“ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სპეციფიკური საკავშირებელია. დამოკიდებული წინადადების ბუნებრივი ადგილი თავშია. „თუ არა“ დამოკიდებულ წინადადებაშია ან დამოკიდებულის ბოლოს, იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს შემასმენელს წინადადებაში. თუ დამოკიდებულ წინადადებაში სიტყვათა რიგი ისეთია, რომ შემასმენელს უკანასკნელი ადგილი უჭირავს, „თუ არა“ დამოკიდებული წინადადების ბოლოსაა და მძიმეც მის შემდეგ იწერება, მაგრამ, თუ შემასმენლის შემდეგ წინადადების სხვა წევრია, მაშინ ის („თუ არა“) დამოკიდებულ წინადადებაშია¹.

- მაგალითები: 1. დათავა თუ არა სიტყვები კურდღელმა, სწორედ ამ დროს მოისმა ტყიდან ფეხის ხმა, დაწალუწი (ვაჟა, VI, 303). 2. მიტრუა ფარებიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე კარავში შევიდა და რამდენსავე წუთს გაშვებულს დარჩა (არაგ. 47). 3. გაიგონეს თუ არა ეს ხმა მგლებმა, მაშინათვე მოძურწეს (ლომ. 172). 4. ქალს თვალის მკვარ თუ არა, ფიცებლავ ელდა მეცა (ვაჟ. 317). 5. გახაფხულდებოდა თუ არა, ის მთელ დღეს ენახში ატარებდა (ლომ. 26).

დ) რა; რაწამს; რაკი; როგორც კი:

ეს საკავშირებლები იწყებს ჩვეულებრივ დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც უმეტესად თავშია.

- მაგალითები: 1. რა გაიგეს გერიტის საქმე, მონიღომეს მათაც შევლა (მღ. 290). 2. რა ნახა ჯარმა მათი სარდალი გაქცეული და შემინებული, თვალი წაუღდა და ზაფრანცემს უნებლიეთად გაუტყდა გული (წერ. 11, 59). 3. რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა ბნელი სენაკი სინათლით მორთო (ვაჟ. 191). 4. რაწამს დაინახეს ეს ადგილი, სიხარულით გაექანნენ (ყაზ. 20). 5. რაწამს კაცმა მომავალს ჯარს თვალი შეჭკრა, მაშინვე თოფი ჰაერში გაისროლა (ყაზ. 117). 6. თვალშეამ, რაწამაჲც კი დაინახა თავისი პატრონი, მაშინათვე ფეხზე წამოდგა და გაიხმოო (ვაჟა, V, 265). 7. რაკი ყველა დაიძინა, სოფიო ისევ ადგა და გარეთ გავიდა (არაგ. 171). 8. რაკი კაპუკები აფრინდნენ და იმათი ხმა მისწყდა, კურდღელს ლილინი და ფეხის ხმა მოესმა (რაზ. 293). 9. რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა და გაეკროდა ვარსკლავი ცასა, გაულილი ძროხა მოგროვდებოდა და დაეიწყებდით ყველანი თვლასა (ვაჟ. 153). 10. როგორც კი კოდალა გაიგულა სხვაგან, გუგული მაშინვე იმის ბუდესთან დაერჭო (რაზ. 122). 11. ვირმა, როგორც კი ეს ბალახი შესკამა, სრულიად სხვა ტყავი და ხორცი შეისხა (ვაჟა, V, 267).

„რაკი“ მთავართან აერთებს მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასაც, „როგორც კი“ საკავშირებლით კი ის ემსგავსება ვითარე-

¹ ზოგჯერ „არა“ უარყოფითი ნაწილაკია და არ შედის საკავშირებელში. შდრ.: 1. ა) აშხანავი წავიდა თუ არა, მეც წავედი (დამოკ. წინადადება დროის გარემოებითია). ბ) აშხანავი წავიდა თუ არა, არ ვიცი (დამოკ. წინადადება დამატებითია).

² „თვალშეამ“ ირმის ეპითეტია.

პის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზოგიერთ შემთხვევას, რახედაც მოსწავლეებს თავ-თავის ადგილას უნდა მიეუთითოთ.

ე) ვიღრე (ვიღრე-მანამ), ხანამ (სანამ-მანამ):

ესენიც იწყებენ დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც თავშია ან ბოლოში, იშვიათად შუაშიც.

მაბაღლითები: 1. ვიღრე ხეტე ამ სიტყვებს გაათაყებდა. გოგას დედა უკე კახეში ვაპ-ჩნდა (ვაჟა, VI, 293). 2. ვიღრე მთვარე სანარეთისკენ გადაიხებოდა და მიიმალებოდა. ასეთ ტკბილ სიხმრებში და სიმღერაში იყო ჩვენი ვარდი (ვედ. III, 255). 3. კარგა ხანმა გაიარა. ვიღრე მოთავენი ოჩევაში იყვნენ (ყახ.) 4. ერთი თოუცი არ გაასროლოთ. ვიღრე მტერი ახლო არ მოვაო (გოკ.). 5. ჩვენი მგზავ-ოობა. ვიღრე ადგილზედ ჩავიდოდიოთ, გაგრძელდა სწორედ ხუთი კვირა (ყახ. 186). 6. ხანამ ესენი ამ ბაასში იყვნენ, გუგულმა შეათვალთერა კოდალას საბუდარი და ზითითით მოცხრილა (ტყისკენ (რახ. 120)). 7. ხანამ ეს კაცი [ონისე] მთაში ავი-დოდა და ცხვარს დაინანაუდა, მანამ გული ლაღადა ჰქონდა და სრულიად დამ-შვიდებული აზროვნებდა (ყახ. 589). 8. კარგა ხანი გავიდა. ხანამ „მარიამა“ კამე-ჩი უღელს შეეჩვეოდა (რახ. 230). 9. მანამ ნურას სქამს, ხანამ ხევი ვერც ამოს-წყვიტოს და ვეოც ყმად გაიხადოს! (ყახ. 714).

ვ) -სანამ- და -ვიღრე- საკავშირებლებით შეერთებული წინადადება ზოგჯერ განსახლერებითია და არა დროის გარემოებითი. ეს მაშინაა, როცა დამოკიდებული წინადადება მიემართება მთავარი წინადადების სახელით გადმოცეზულ დროის გათემოებას.

მაბაღლითები: 1. იქ იმდენ ხანს უნდა დარჩეთ. ხანამ თვით... არ დაგიხსოეთ (ლომ. 70). 2. ასე მიდიოდა მოხუცის დღეები იმ დრომდის. ხანამ ერთს ზამთარს თოელს ვიწრო ხევეში არ ჩავჩემქრა (ყახ. 757). 3. ... მოთუცი კი იმავ ადგილი-დან თვალს ადევნებდა იმ დრომდის, ვიღრე შვილი სახლის კედლებს არ მოუფარე-ბოდა (ყახ. 733).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისა და განსახლერე-ზითის მიმართება მხედველობიდან აქაც არ უნდა გავუშვათ.

¹ -სანამ- დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან, მგვრამ მთავარშიც მოი-პოვება (ან იგულისხმება) მეორე საკავშირებელი „მანამ“. ზოგჯერ ვხვდებით, როცა და-მოკიდებულს იწყებს „მანამ“ („მინამ“), რაც სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსა-ხრისით გაუმართლებელია.

მაბაღლითები: 1. მანამ (?) დედა მყანდა ცოცხალი, სულ აღერსში ვყვანი (ვაჟა. V. 9). 2. მანამ (?) ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკობო ტყეს (ვა-ჯა, V. 9). 3. მინამ (?) მე წამოვდგებოდი, დათრკო ცხენი დამ. ძირს დაცემულიყო (ვაჟ. 319). 4. მინამ (?) ბუღბუღი არ გაათაყებდა გალობას, საბრალო დედაშენი, სწენად გადაქტეული, არ მოშორდებოდა აივანს, ყურს უგდებდა (ვაჟა, VI, 346).

თუ მოსწავლეთა მეტყველებაში ასეთი რამ შეინიშნება, საკეროა მასწავლებელმა ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილოს.

ბ) როს; ოდეს:

დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ აქაც თავშია, შეიძლება შეგვხვდეს შუაში და ბოლოშიც. „როს“ და „ოდეს“ საკავშირებელთ დღევანდელ სალიტერატურო ენაში იშვიათად ვხვდებით. მათ ნაცვლად იხმარება „როდესაც“ („როცა“).

მაგალითები: 1. როს გახაფხული დადგება, გავფოთლები მწვანედა (ვაჟა, V, 210). 2. ოდეს კაცს დაეპირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი (რუსთ.). 3. ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ მზე სხივკაფენით ამოვადოდა. იმ საჩემლით სხივი მისი სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა (ვაჟ. 183).

თ) რაც; რაც რომ:

მაგალითები: 1. ვირი მას შემდეგ, რაც თვალმავასთან დაბინავდა, მუდამ მძალაო იყო (ვაჟა, V, 265). 2. რაც კმაოი მოკვდომოდა, მას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღს (ვაჟ. 429). 3. ერთი თვეა, რაც რომ ცოლად მიიყვანა, ვინც უყვარდა (წერ. II, 233).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სწავლებისას საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემულ მოქმედებათა დროის ხაზზე მიმართებას. ამ მხრივ სამი ძირითადი მომენტია აღსანიშნავი:

1. დამოკიდებული წინადადების ზმნის მოქმედება უსწრებს წინ მთავარი წინადადების ზმნის მოქმედებას.

მაგალითები: 1. როცა ესტატემ და ზისმა სტუმრებმა გაათავეს ქეიფი, თავებმა სწორედ მაშინ დაიწყეს (ვაჟა, VI, 175). 2. როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ბაღს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი (ყაზ. 718).

2. მთავარი წინადადების ზმნის მოქმედება უსწრებს დამოკიდებულ წინადადების ზმნის მოქმედებას.

მაგალითები: 1. ვიდრე ხტე ამ სიტყვებს გაათავებდა. გოგას დედა უკვე კარებში გამოჩნდა (ვაჟა, VI, 294). 2. სანამ ეს თოფს ხელმეორედ გასტენდა, ჯიხვი კლდეზე ავიდა (რახ. 200).

3. მთავარი წინადადების ზმნისა და დამოკიდებული წინადადების ზმნის მოქმედება ერთდროულია.

მაგალითები: 1. არაგეს რომ გამოვდიოდით, გაღმა ნაპირიდან იხვების გუნდი აფრინდა და ყოყინოთ გასწია თავქვე (ვაჟა, V, 62). 2. ისინი რომ სანთლებს აკეთებდნენ, მე და ჩემი ამხანაგები შეინდაწლის ისრებს ვაწებებდით (ვაჟა, V 175).

როცა დამოკიდებული ზმნის მოქმედება უსწრებს წინ მთავარი წინადადების ზმნის მოქმედებას, ერთგვარი ნიუანსიც შეინიშნება:

1. დამოკიდებული წინადადების ზმნის მოქმედებას უშუალოდ მოსდევს მთავარი წინადადების ზმნის მოქმედება.

2. დამოკიდებული წინადადების ზმნის მოქმედებას უშუალოდ შეიძლება არ მოსდევდეს მთავარი წინადადების ზმნის მოქმედება.

მაგალითი: 1. წავიდნენ თუ არა სტუმრები, ჩვენ დავიძინეთ (=სტუმრების წასვლისთანავე დავიძინეთ).

მაგალითი: 1. სტუმრები რომ წავიდნენ, ჩვენ დავიძინეთ (=სტუმრების წასვლის შემდეგ დავიძინეთ).

მეორე შემთხვევაში არ ჩანს, სტუმრების წასვლის შემდეგ მაშინვე დავიძინეთ, თუ არა. თუ გვინდა, რომ ეს ზუსტად იყოს განსაზღვრული, მაშინ მთავარში საგანგებო სიტყვების ხმარებაა საჭირო, მაგალითად ასე: „სტუმრები რომ წავიდნენ, ჩვენ მაშინვე დავიძინეთ“. „სტუმრები რომ წავიდნენ, ჩვენ დიდხანს ვერ დავიძინეთ“ და სხვ.

მთავარი წინადადების ზმნის მოქმედების დროისა და დამოკიდებული წინადადების ზმნის მოქმედების დროის ურთიერშემიშართებაზე დაკვირვებას მნიშვნელობა აქვს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად სწორად გადაქცევისათვის, რასაც უნდა მივმართოთ კიდევ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სწავლებისას.

§ 3. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების როგორებას. იგი მიუთვებს ვითარების გარემოების კითხვებზე: როგორ? (რანაირად?). რამდენად? რამდენჯერ?

მაგალითები: 1. ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს თითი, თვალთან მიტანილი (წერ. 11, 239). (კითხვა: როგორ ბნელა?). 2. რამდენადაც მოხუცი მეტს უყურებდა დაქორულს ვაჟაკს, იმდენად მეტს მზრუნველობით ვკიდებოდა (ვახ. 43). (კითხვა: რამდენად მეტს მზრუნველობით ვკიდებოდა?). 3. რამდენჯერაც ნიავის შებერვაზე სიმინდის ფუჭი გაიშრიალებდა, მუცელასაც იმდენჯერ ტანი აუცახცახდებოდა (ვაჟა, V, 360) (კითხვა: რამდენჯერ აუცახცახდებოდა ტანი?).

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აკავშირებს: ისე... რომ, ისე... როგორც, რამდენადაც... იმდენად, რამდენჯერაც... იმდენჯერ, ისე... თითქოს, ვით, იმდენად... რომ...

ა) რომ (სხვ... რომ):

„რომ“ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც ბოლოშია. მთავარში, რომელიც პირველ ადგილზეა, ჩვეულებრივ მოიპოვება მისათითებელი სიტყვა „ისე“; იგი ჩვეულებრივ წინ უძღვის მთავარი წინადადების შემასმენელს ან მოსდევს მას.

მაგალითები: 1. თედომ სამი წელი დაჰყო სხე, რომ კაცის სახე არ დაუნახავს (ვაჟა, V, 112). 2. ოთხი წელიწადი ვიცხოვრე დურგალთან სხე, რომ ჩვენს სოფელში არ მივბრუნებულვარ (ლომ. 51).

თუ მთავარ წინადადებაში მოიპოვება სხვა სიტყვით გადმოცემული ვითარების გარემოება, მაშინ შემასმენელსა და მისათითებელ სიტყვას შორის ისაა ჩამდგარი.

მაგალითები: 1. იოხუტა სხე გაჯავროთ დაუწყო ლაპარაკი, რომ კობასთვის გამოაშვარავდა იმისგან თავის დაფარვის სურვილი (ყახ. 421). 2. დიდიფლა მარიაში სხე მედიდურად მიდიოდა შინისკენ, რომ ჯობსაც არ აბიჯებდა (არაგ. 15).

ლოგიკური ხაზგასმისა და მოქმედების გაძლიერებული ხარისხით გამოხატვის მიზნით „ისე“ შეიძლება განმეორდეს ცალკე ან შემასმენლითა და ვითარების გარემოებითურთ.

მაგალითები: 1. სხე, ხარხარებდა, სხე, სხე, რომ... (რაზ. 74). 2. სხე შემეშინდა, სხე შექვიშიდა, რომ წამს სუყველაფერი დამაიწყდა (ლომ. 459). 3. ეს ყველა სხე სწრაფად მოხდა, სხე სწრაფად, რომ კაცი ძლიერ მოასწრებდა თვალს (ყახ. 212).

დამოკიდებული წინადადება თუ თავშია და მთავარი ბოლოს, „რომ“ კავშირი არაა წარმოდგენილი.

მაგალითები: 1. თავთავიანთი სანწყემსო უპატრონოდ დაეტოვეთ, სხე გაჯიოტაცა ცნობისმოყვარობამ (ვაჟა, VI, 157). 2. ერთხელ გიგლა კინლამ დააღრჩო, იან მიიკრა გულზე და დაუბოლოებლად ლოწინდა (არაგ. 170). 3. ყინიჩილამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, სხე უცებ მოექცა ქორს კლანჭებში (რაზ. 313).

მთავარსა და დამოკიდებულს რომ ადგილები შეეუნაცვლოთ, „რომ“ კავშირიც აღდგება. მაგალითად, პირველ წინადადებაში მათთვის ადგილების შეცვლით მივიღებთ: „სხე გაჯიოტაცა ცნობისმოყვარობამ, რომ თავთავიანთი სანწყემსო უპატრონოდ დაეტოვეთ“.¹

ბ) როგორც... სხე:

დამოკიდებული წინადადება თავშია, შუაში ან მთავარის ბოლოს. „როგორც“ დამოკიდებულს იწყებს, მთავარშია „ისე“; წინადადებაში შედარებაა გამოხატული. დამოკიდებულს ხშირად აკლია შემასმენელი, მაგრამ ის ადვილად იგულისხმება აზრის მიხედვით. წინადადების გამარტივება ჩვეულებრივ ადვილია.

მაგალითები: 1. [ლახტი] ბოლსა და კვარტლს სხე გაუზავებია, როგორც ყორნის ბოლო (ვაჟა, VI, 120). 2. არცერთი დედა შვილს არ გაუფრთხილდებოდა სხე. როგორც ბევი დროშას უფრთხილდებოდა (ვაჟა, VI, 357). 3. როგორც სთქვა ნინიამ, მათიც სხე მოიქცა (ყახ. 55). 4. როგორც ის ცხოვრობს, სხე ვიცხოვრებ (კავ. 148). 5. მთელი ღამე, როგორც კარგი ყარაული, სხე უვლიდა ჩვენს არე-მარეს (ლომ. 163).

გ) თითქოს; სხე... თითქოს:

დამოკიდებული წინადადება უმეტესად ბოლოშია, იშვიათად თავში და შუაშიც. „ისე“ ზოგჯერ არაა მთავარში, მაგრამ იგულისხმება.

მაგალითები: 1. თავჩამონგრეული კოშკები ისევე სხე დგანან წარბშეუხრებლად, თითქოს იქ საკვირველი არაფერი მომხდარიყოს (ვაჟა, V, 308). 2. ცივი ნიავი სხე მცემდა, თითქოს უხილავი ხელი ყინულს მისუვამდა შებლზე (ვაჟა, VI, 129).

¹ „რომ“ კავშირით შეერთებული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ზოგიერთი ნიშნით ჰგავს განსახლებით დამოკიდებულ წინადადებას, ზოგიერთ მიზეზის გარემოებითსა და შედეგობითს.

ზორიდან [ის] ისმობდა შურთხის სტვენა, თოქოჲ მეცეაჲრე უსტვენდეს და ერეცე-ბოდეს (რაზ. 136). 4. კრამიტებიდან ჩამონადენი წვიმის (ქარი ფანჯრების წინ [ის] წკაპწკაპებდა, თოქო რალაცას ამზობდა (ვაჟა, VI, 77). 5. თოქო ზღვა გად-მოჲარდნილა თავის ნაპირებიდანაო, ხეჲ სოჩანდა არწივის ლაშქარი (ვაჟა, VI, 85).

დ) რამდენადაც... იმდენად:

„რამდენადაც“ იწყება დამოკიდებულის, რომელიც უმეტესად თავშია. მთავარშია „იმდენად“, რომელიც სოკვერ არაა წარმოდგენილი, მაგრამ აზრით იგულისხმება და ადვილი აღსადგენია.

მაგალითები: 1. რამდენადაც მოზუცი ტკბილად, დაწყნარებით და სიყვარულ-ალერსიანად ელაპარაკებოდა, იმდენად ონისეს გული ჩვილდებოდა და მო-რჩილი ხდებოდა (ყაზ. 637). 2. რამდენადაც დედა ბუდეს უახლოვდებოდა, [იმდენად] კენესა თანდათან უფრო და უფრო მკაფიოდ და გარკვევით ისმობდა (რაზ. 888). 3. მოზუცი დაკმაყოფილდა ამ კითხვებით და დამშვიდდა [იმდენად], რამდენადაც მის მდგომარეობაში დამშვიდება შეიძლებოდა (ყაზ. 746).

ე) რამდენჯერაც... იმდენჯერ:

მაგალითები: 1. რამდენჯერაც ახალი წელი დგება, იმდენჯერ თითქო მეც განახლებას ვგრძნობ (ვაჟა, VI, 46). 2. რამდენჯერ ქარი შეარხვეს საროს, იმდენ-ჯერ მტკვარი უმეტეს ობრავს (ბარ.).

ვ) ვით; ვით... ისე:

მაგალითები: 1. დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი, ვითა თქვენგანი ერთი მხედარი (ბარ.). 2. ვითა ეთერი მზეთუნახავი, საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს, სახეს ვარდისფრად იღებავს გრძნობით და იელვარებას სურვილით თვალებს, ხეჲ განთიადს ცისკრის ვარსკვლავი ლაქვარდ ცახედა კაშკაშით თრთოდა (წერ. 11, 53). 3. ...ნახად, ამაყად ცეცხლა-პირს იჯდა, ვით მინდვრის შველი ყელ-მოღერებით (ვაჟ. 191).

§ 4. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უჩვენებს მთავარ წინადადებაში აღნიშნული მოქმედების გამომწვევ მიზეზს. იგი მიუგებს კითხვებზე: რატომ? რის გამო? (რა მიზეზით?).

მაგალითები: 1. ონოფრეს მუშაობა ბევრს ხანს აღარ მოუნდა, რადგანაც თოვლი ჯერ ფიფქი იყო და ნიჩაფს ადვილად ემორჩილებოდა (ყაზ. 537). (კომენტა: რატომ აღარ მოუნდა ონოფრეს ბევრ ხანს მუშაობა?). 2. [ფრინველებს] გამოეთქვათ დიდი უსიამოვნება იმის გამო, რომ რალაც ერთი ფრინველი თუ ოთხთხები გან-ინდა და ღამე ღრიალით ავიკლო, აღარ გვაძინებსო (ვაჟა, VI, 214). (კომენტა: რის გამო (რატომ) გამოეთქვათ ფრინველებს დიდი უსიამოვნება?).

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სწავლების პირ-ველ საფეხურზე ხაზი უნდა გაესვას დამოკიდებულისა და მთავარის ლო-გიკურ მიმართებას: დამოკიდებულში მიზეზია დასახელებული, მთავარ-ში—შედეგი. ამ ნხრივ, ერთი შეხედვით, მიზეზის გარემოებითი დამო-კიდებული წინადადება ემსგავსება მოსწავლეთა მიერ შესწავლილ დამოკიდებულ წინადადებათა ზოგიერთ შემთხვევას, მაგალითად ვითა-

რებისას. ავილოთ ასეთი მაგალითი: „ხევში წყალი გოლევისაგან ისე მიღებულ იქნა, რომ ძლიერსა მოიპარებოდა ქვევს შორის რიყეზედ (ქავ. 406) დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია. მაგრამ როგორია მისი ლოგიკური მიმართება მთავართან? მთავარში ერთგვარი მიზეზია მითითებული, დამოკიდებულში კი—შედგეგი. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, პირიქით, მიზეზი დამოკიდებულშია დასახელებული, შედეგი კი—მთავარში.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებია: „რადგანაც“, „ვინაიდან“, „იმიტომ რომ“, „იმის გამო, რომ“, „რაკი“...

ა) რადგანაც:

იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც ჩვეულებრივ თავშია ან ბოლოში.

მაგალითები: წყალი გუბდებოდა ოღრო-ხოლოვებში, რადგანაც გამძლარი მიწა ველარ ისუტადა (ყახ. 214). 2. მეც შენებრ მიწას დაჯერებ თვალით, რადგანაც ხეცა წამართვეს ძალით (ქავ. 14). 3. მოთავეთ დიდხანს ლაპარაკი არ დასკირდათ, რადგანაც ყველას წინათვე სიყვდილი, ან თავისუფლება ჰქონდათ გადაწყვეტილი (ყახ. 720). 4. რადგანაც საღამო ჩინებული იყო და მთვარიანი, ყველანი პატარა ბაღში გამოსულიყვნენ და ჩაის მიირთმევდნენ (ყახ. 163). 5. რადგანაც ცოტა ციოდა, მწყემსი ნაბაღში იყო გახევეული.

ბ) ვინაიდან (ვინათგან; ვინათგან):

დამოკიდებული წინადადება უმეტესად აქაც თავშია ან ბოლოში და ჩვეულებრივ იწყებს მას.

მაგალითები: 1. ვარდთა და ნებთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების (რუსთ.). 2. ვინაიდან ქარი ძლიერ ქროდა და თანაც თოვდა, იმ ღამეს იქ დარჩა (ყახ.). 3. ნადირმა მონადირის მიაბლოება ადრე გაიგო, ვინაიდან ქარი იქითყენ ქროდა.

„ვინაიდან“ თანამედროვე სალიტერატურო ენაში შედარებით იშვიათად გვხვდება. მას სცვლიან სხვა კავშირები.

გ) რომ; იმიტომ რომ; იმის გამო, რომ:

მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას ზოგჯერ მხოლოდ „რომ“ აერთებს; უფრო ხშირია შემთხვევა, როცა მას მთავარში ეპირისპირება „იმიტომ“, „იმის გამო“, ანდა „იმიტომ რომ“ მთლიანად დამოკიდებულს განეკუთვნება. დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ აქაც ბოლოშია.

მაგალითები: 1. [მგლები] თავს იმიტომ იყრიდნენ ერთად, რომ ტყეში აღარაფერი ვგულებოდათ საქმელი (ვაჟა, VI, 8). 2. ყველას აზინებდა სიყვდილი იმიტომ, რომ სახრდოს შოენა გაძნელდა (ვაჟა, VI, 17). 3. ჩემს სიტყუასაც გაუგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყუა მშობელს ყოველთვის ესმის (ქავ. 250). 4. [ლუარსაბაბმა] ძმას ვერაფერი კი ვერა ჰკითხა, იმიტომ რომ რუხენოდა (ქავ. 316). 5. [ფრინველებს] გამოეთქვათ დიდი უსიამოვნება იმის გამო, რომ რალაც ერთი ფრინველი თუ ორთუბი ტარნდა და ღამე ღრიალით აგვიკლა, აღარ გვაძინებსო (ვაჟა, VI, 214). 6. მაშის ტანხილი სიტყვებით წაბალისებულმა ნიკომ მღვდლობაზე უარი გამოაცხადა იმის გამო, რომ სწავლა არ შემოძლიანო (არაგ. 153).

ჰუნქტუაციურად მნიშვნელოვანია სასვენი ნიშნების დასმა რთულ კავშირთან, რაზედაც ყურადღება თვით სახელმძღვანელოშია გამახვილებული. როცა „იმიტომ“ მთავარშია ან მთავარის ბოლოს, მაგრამ ისე; რომ მთავარს განეკუთვნება და ტონის ამალღება მასზეა, მაშინ მძიმე „რომ“-ის წინ იწერება, როგორც ზემოთ მოყვანილ ნიმუშებიდან პირველსა და მეორე მაგალითებში გვაქვს; მაგრამ, როცა „იმიტომ რომ“ მთლიანად დამოკიდებულს განეკუთვნება და „იმიტომ“-ზე არაა ტონის ამალღება, მძიმე მთავარი წინადადების ბოლოს, „იმიტომ რომ“-ის წინ დაისმის. პირველ შემთხვევაში „იმიტომ“ მისათითებელი სიტყვაა, მეორე შემთხვევაში—მხოლოდ და მხოლოდ რთული კავშირის ნაწილი.

ღ) რაკი:

„რაკი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (ნ. § 2. გვ. 59), მთავართან რიგ შემთხვევაში აერთებს დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას, მაგრამ ზოგჯერ ის მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელია. „რაკი“ ჩვეულებრივ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც თავშია. როცა ის მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან, მთავარში შეიძლება იყოს სიტყვები „ამიტომ“, „ამის გამო“.

მაგალითები: 1. რაკი [სვიმონას] თავი უკანა ჰქონდა გადაწეული და ნიკაბი მალა აკრული, ამიტომ თელი ყელი და ყარყანტო თავისუფლად უჩანდა (ლონ. 182). 2. რაკი ბინდი აალოვდებოდა, ახლა მგლებიასათვის უნდა დაეთმოთ სუფოა (რაზ. 107). 3. რაკი სვიმონის ამბავი და სირემია მიხევი შევიტყუეთ, ელა შეგვიძლიან დავებრუნდეთ ისევ ჩვენი მოთხრობის გმირებს და თვით მოთხრობის ძიმდინარობას (ყაზ. 45). 4. რაკი... უომით არ შეიძლება ასეა, ამის გამო ყოველი აყვებს უომებს სოფელში, სტოვებს აქ საქონელს და თვით ბარგი-ბარხანით მიდის ზემოთენ (ლონ. 71).

როცა „რაკი“ მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან, ის შეიძლება შეიცვალოს მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირით („რადგანაც“, „ვინაიდან“), როცა დროისას—დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვით „როდესაც“ („როცა“). მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა მთავარში არაა მისათითებელი სიტყვა, ზოგჯერ ძნელდება დამოკიდებული წინადადების სახის გარკვევა—დროის გარემოებითია ის, თუ მიზეზისა.

ასეთ შემთხვევებში საჭიროა მოსწავლეს მივცეთ მითითება იმის შესახებ, რომ ის დაუკვირდეს არა მხოლოდ ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ურთიერთს ლოგიკურ მიმართებას, არამედ კონტექსტს, იმ სინტაქსურ ჯგუფს, საიდანაც წინადადებაა აღებული.

§ 5. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უჩვენებს მთავარ წინადადებაში აღნიშნული მოქმედების მიზანს და მიუთვებს მიზნის გარემოების კითხვებზე: რისთვის? რად? რა მიზნით?

მთავარს უერთდება კავშირებით „რომ“ და „რათა“, რომელთაც მთავარში შეიძლება ეპირისპირებოდეს სიტყვები: „იმისთვის“ („ამისთვის“, „მისთვის“), „იმად“...

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უმეტესად ბოლოშია და ეს ლოგიკურად ბუნებრივიც არის, რადგანაც მთავარში აღნიშნული მოქმედება უწინარესია, დამოკიდებულში აღნიშნული კი—შემდგომი. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის მიმართება, როგორც ვიცით, სხვაგვარია: დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნული მოქმედებაა უწინარესი, მთავარისა კი—შემდგომი. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სწავლებისას საჭიროა ამ მომენტს ხაზი გაესვას, რისთვისაც მიზანშეწონილია მიზეზისა და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებები ერთმანეთს შეეუპირისპიროთ.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მაგალითები:

1. ათასში ერთგან ყოჩი ყოჩს თუ დაკარავდა სადმე, რომ შეიციებოდა სხელი შევთბო და გათოშილი სისხლი მოძრაობანი მოეყვანა (ყახ. 530). 2. კურდღლები ფეხით ჰქექდნენ თოვლს, რომ ამოფინათ ზმელი ბალახი სახრდოდ (ვაჟა, VI, 17). 3. დიდის ღმერთის საკურთხეელის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო კმუნვასა და სიხარულში (კვ. 59). 4. გახარებულმა ალაღმა გასწია ტყისკენ, რომ იქ შეეკმა თავისი მსხვერპლი (რახ. 7). 5. აღურთოვანებულ მკერდით მოვდივართ, რომ დამკრელობის გავყვით მაგალითს (მირცხ.). 6. ქალი მოეფარა ერთ კლდეს, რომ ზვავს სადმე ქვეშ არ მოეკნათ (ყახ. 534). 7. ქორი აღელვებულ-აშფოთებული გამოუდგა კოდალას, რათა იგი დასაჯოს ღირსეულად (ვაჟა, VI, 45). 8. საშიშარი, ვწვიანი ღორების გზებზე ორმოები ამოთხარეს, რათა ბნელ ღამეში ჩაცინულიყვენ შიგ და დამრჩეაღიყვენ (ვაჟა, VI, 260). 9. ის წამდაუწყმ წყალს ითხოვდა, რათა გამწრალი პირი გაესველებინა (ყახ. 319). 10... იმ ღამეს იქ დაერჩი, რათა თვლი გამძღო მშვენიერის სანახავების ხილვითა (კვ. 255).

„რათა“ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ძირითადი საკავშირებელია, „რომ“ კავშირი კი გამოყენებული აქვს ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებას. „რომ“, როცა ის მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს, შეიძლება შეიცვალოს „რათა“ კავშირით. ამას კი თავის მხრივ ერთგვარი დახმარების გაწევა შეუძლია „რომ“ კავშირის დამოკიდებული წინადადების სახის გასარკვევად.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სწავლებისას საჭიროა გავითვალისწინოთ მიზეზისა და მიზნის ზმნიხედების მართლწერის საკითხი მთავარ წინადადებაში. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავარში უნდა „იმიტომ“ („ამიტომ“...), მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავარში კი—„იმისთვის“ („ამისთვის“...), მაგრამ ვხვდებით ამ წესის დარღვევას.

მაგალითები: 1. რადგანაც ეს ამბავი ზამთარში ხდებოდა და იმ ღამეს კი თოვლი მოდიოდა, ამისთვის (?) ყველანი ჩქარობდნენ.. (ყახ. 565). 2. რადგანაც გოჩას ხეის დასაცველად მეტად ბევრი ხალხი სჭირდებოდა, ამისთვის (?) ხეისბერმა

გასცა განკარგულება... (ყახ. 723). შ. იმის ფიქრით, მწყემსი იმბიტომ (?) იყო გარჩნილი, რომ სუაისთვის ცხვრები დაეხარდა (რაზ. 102). 4. მეელიც იმბიტომ (?) ნადირობდა, რომ იმისთვის საკმელი ლეში გაეჩინა (რაზ. 102).

ამ საკითხზე ყურადღება თვით სახელმძღვანელოშია გამახვილებული. „ძველს ქართულში, — ნათქვამია სახელმძღვანელოში, — „ამისთვის“ იმა-სვე ნიშნავდა, რასაც ახლანდელი „ამიტომ“ ან „ამის გამო“. ასეთი გა-გებით „ამისთვის“ ზოგჯერ ახალ მწერლობაშიც გვხვდება, მაგრამ, რომ მკვეთრად გარჩეულ იქნეს ერთმანეთისაგან მიზეზი და მიზანი, არ უნდა ავირიოთ „ამისთვის“ „ამიტომ“-თან და „იმისთვის“ „იმიტომ“-თან (სინტაქსი, 1949. გვ. 159).

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთუ-ლი ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაქცევა ხშირად აღვილად ხერხდება. ამიტომ აქაც, ისევე, როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებ-შიც, საჭიროა მივმართოთ როგორც მიზნის გარემოებითი დამოკიდე-ბული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარ-ტივად, ისე მარტივი წინადადების რთულ ქვეწყობილ წინადადებად გადაქცევას.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შესწავლით მთავ-რდება არა მარტო გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა შესწავლა, არამედ წინადადების წევრთა შინაარსის მქონე დამოკიდებულ წინადა-დებათა შესწავლაც: ამიტომ, ვიდრე სხვა სახის დამოკიდებულ წინადა-დებათა გაცნობაზე გადავიდოდეთ, საჭიროა წინადადების წევრთა შინაარ-სის მქონე დამოკიდებულ წინადადებათა განმეორება, დამოკიდებულ წინადადებათა ცალ-ცალკე შესწავლით მოპოვებული ცოდნის გაღრმა-ვება, განმტკიცება, გამთლიანება, სისტემაში მოყვანა. განმეორებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს დამოკიდებულ წინადადებათა საერთო და განსხვავებულ მომენტებზე და შეივისოს ის ტაბულა, რომელიც მოცე-მულია შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებასთან დაკავშირებით (ნ. გვ. 54).

მუშაობის მრავალი სახიდან, რომელთა გამოყენებაც შეიძლება რთუ-ლი ქვეწყობილი წინადადების სწავლების მოცემულ საფეხურზე. დავა-სახელებთ რამდენიმეს:

ა) წინადადების წევრთა შინაარსის მქონე დამოკიდებულ წინადადე-ბათა მონახვა ლიტერატურულ მასალაში (თითოეულ სახეზე რამდენიმე მაგალითისა).

ბ) სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების დამოუკიდებლად მოფიქრება — შედგენა.

გ) „რომ“ კავშირის გამოყენებით სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადების შედგენა.

დ) წყვილ მარტივ წინადადებათაგან (ან სიტყვათაგან) სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადების შედგენა და სხვ.

შემაჯამებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ მოსწავლეებს უნდა მოეაგონოთ, რომ, წინადადების წვერთა შინაარსის მქონე დამოკიდებულ წინადადებათა გარდა, მოიპოვება ისეთი დამოკიდებული წინადადებები, რომელნიც არ აწიან წინადადების წვერთა შინაარსის მქონე. ესენია: შედეგობითი, პირობითი, დათმობითი და მთაერის მიმართი დამოკიდებული წინადადებანი.

VII. სსსპ სსხის დამოკიდებული წინადადებანი

§ 1. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება

- შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს შედეგს, რონელიც მოჰყვება (ან მოჰყვა) მთავარ წინადადებაში ნათქვამს.¹

მაგალითი: 1. ეს ამბავი იაგოს ხარსავით დაეცა და თვალთ დაუბნელდა, ასე რომ კარგა ხანს ხმა ველარ ამოიღო (ყახ. 311).

მთავარია „ეს ამბავი იაგოს ხარსავით დაეცა და თვალთ დაუბნელდა“, დამოკიდებული—„ასე რომ კარგა ხანს ხმა ველარ ამოიღო“. მთავარ წინადადებაში გამოთქმული ამბავი უწინარესია, დამოკიდებულში კი—შემდგომი. ამავე დროს მთავარ წინადადებაში, რომელიც პირველ ადგილზეა (თავშია), მიზეზია დასახელებული, დამოკიდებულში კი—შედეგი-ტერმინი „შედეგობითი“ აქედანაა სწორედ მიღებული.

აზრობლივი მიმართება მთავარსა და დამოკიდებულს შორის ისეთივეა, როგორც მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასა და მის მთავარს შორის, ოღონდ იქ მიზეზი დამოკიდებულ წინადადებაშია დასახელებული, შედეგი კი—მთავარში. ამიტომაა, რომ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება ადვილად გადაკეთდება შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილად და, პირიქით, ოღონდ გადაკეთებისას ერთის მთავარი მეორეში დამოკიდებულ წინადადებად იქცევა, დამოკიდებული კი—მთავარ წინადადებად. მაგალითად:

**შედეგობითი დამოკიდებული
წინადადება**

**მიზეზის გარემოებითი დამოკი-
დებული წინადადება**

1. ეს ამბავი იაგოს ხარსავით დაეცა და თვალთ დაუბნელდა, ასე რომ კარგა ხანს ხმა ველარ ამოიღო (ყახ.).

რადგანაც ეს ამბავი იაგოს ხარსავით დაეცა და თვალთ დაუბნელდა, კარგა ხანს ხმა ველარ ამოიღო.

2. მიზეზის გარემოებითი დამო-
კიდებული წინადადება

**შედეგობითი დამოკიდებული
წინადადება**

წყალი გუბდებოდა ოღრო-ჩოღროებში, რადგანაც გამძლარი მიწა ველარ იხუტავდა (ყახ. 214).

გამძლარი მიწა ველარ იხუტავდა, ასე რომ (ამიტომ) წყალი გუბდებოდა ოღრო-ჩოღროებში.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადება ყოველთვის მეორე ადგილზეა, მთავარი კი—პირველზე. კითხვა ძნელად დაესმის, ამიტომ შედე-

¹ ა. შანიძე, სინტაქსი, 1949. გვ. 164.

გობითი დამოკიდებული წინადადების სახის გასარკვევად კითხვებს არც მივმართავთ.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან ჩანს, შედეგობითი დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შებრუნებული სახეა. ამიტომ მეთოდურად მიზანშეწონილია ან ორი* სახის დამოკიდებულ წინადადებათა შეპირისპირება.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებლებია: „ასე რომ“, „ამიტომ“ („იმიტომ“), „ამის გამო“, „რის გამოც“.

ა) ასე რომ:

„ასე რომ“ შედეგობითი დამოკიდებული წინადადების სპეციფიკური კავშირია. იგი იწყებს ყოველთვის დამოკიდებულ წინადადებას, მის წინ მძიმე დაისმის.¹

მაგალითები: 1. კარგა ხანს არბენა გოგამ ცხენი აქეთ-იქით, ახე რომ ცხენს წინა მარჯვენა ფეხზე წალი აჭვარდა და უკანა ფეხებზედაც წაღებოდა დაეძრა (ვაჟა, VI, 296). 2. ...ელვის უმაღეს ერთი ფიჭვი მუორებზედ მეცვლებოდა, ახე რომ ჩემი გონების თვალთა ერთი-და-იგივე (?) საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე (ქავ. 230). 3. ... სამყოფი სახლი კარგა დიდი იყო და სენა—დაშორებული მოლაპარაკეთაგან, ახე რომ ნუნუმდინ კარგად ვერ აღწევდა იმათი საუბარი (ყაზ. 235). 4. გიორგი გვერდზედ დაეწინათ, ახე რომ პირისახე კესოსაყენა ჰქონდა (ქავ. 460). 5. მშენიერი საღამო იყო, ახე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი (ქავ. 235).

შედეგობითი დამოკიდებული წინადადება ემსგავსება ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზოგიერთ შემთხვევასაც. მაგალითად, ქვეწყობილ წინადადებაში: „დაბლად ჩამოწოლილი ნისლი... ისე აბნელებდა იქაურობას, რომ კაცი თვალთან მიტანილს თითს ვერ გაარჩევდა“ (ყაზ. 217)—დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია; მთავარში მიზეზია დასახელებული, დამოკიდებულ წინადადებაში კი—შედეგი, ე. ი. „დაბლად ჩამოწოლილი ნისლი ისე აბნელებდა იქაურობას“,—ეს მიზეზია იმისა, „კაცი რომ თვალთან მიტანილ თითს ვერ გაარჩევდა“. ამიტომ, რომ ასეთი სახის ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება ადვილად გადაკეთდება, ერთი მხრით, შედეგობით დამოკიდებულ წინადადებად (მაგ. „დაბლად ჩამოწოლილი ნისლი აბნელებდა იქაურობას, ახე რომ კაცი თვალთან მიტანილს თითს ვერ გაარჩევდა“), და, მეორე მხრით, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემ-

¹ ხოგჯერ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს შედეგს არა ერთ წინადადებაში გამოხატული მოქმედებისა, არამედ რამდენიმე წინადადებისა; ამავე დროს ეს წინადადებანი თავის მხრივ შეიძლება რთულნიც იყვნენ, როგორც მოყვანილ მაგალითში: „ამ ადგილს ახლო-მახლოდ არა აქვს სათალი ქვა, რომლითაც ტაძარი აშენებულნი არის, წყალიც საკმაო სიშორებზედ ქვევით ხევში ჩამოუდის. გხად მხოლოდ ერთი პატარა ხეული ბილიკი შეედევს, რომელზედაც ქვეითი კაციც კი გაჭირვებით ადის. ახე რომ პირველსავე შეხედვას კაცი განცვიფრებაში მოდის და ნებაუნებლივ თავის თავს ვკითხება: საიღვან მოუტანიათ ამ ჩინებულის შენობისთვის მასალა, ან რითი მოუხიდნიათ?“ (ყაზ. 717).

ცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებად (მაგ., „რადგანაც დაბლად ჩამოწოლილი ნისლი ისე აბნელებდა იქაურობას, კაცი თვალთან მიტანილს თითს ვერ გაარჩევდა“).

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: „ისე“, როგორც ვიცით, ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მისათითებელი სიტყვაა მთავარში; იგი ამ შემთხვევაში წინადადების წევრს (ვითარების გარემოებას) წარმოადგენს, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ის („ისე“) დამოკიდებულ წინადადებაშია გადასული და „რომ“-თან ერთად მხოლოდ დამოკიდებული წინადადების საკავშირებელია.

მაბალთმები: 1. ამ ადგილში გზა ცოტა ხვეულად მიდიოდა, ისე რომ მარტია აღარ უჩანდათ გავის და იმის ამხანაგებს (ყაზ. 24). 2. ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე რომ ჩვენებს ვერავის ვერ გავგო იმისი წასვლა (ვაჩა, V, 70). 3. მთელი დარბაზი აშანიკრად ორთქლით გაიბურა, ისე რომ ცეცხლის ალიც კი ისეთი მოლაპლაპე აღარ ჩანდა, როგორც წვლან იყო (ლომ. 367). 4. ამ სიტყვებთან ერთად იმან წამოიტრიალა თოფი, წამოაყენა ჩახმაზი და წვერი მიიბჯინა გულზედ, ისე რომ სასხლეტს ფეხით მისწვდომიყო (ყაზ. 206). 5. ბოლოს იგი [თვითმფრინავი] განდევნილ იქნა საბენიტო არტილერიის ცეცხლით, ისე რომ ერთი ბომბიც არ ჩამოუგდია (გაზ. „კომ.“, 7—III—50, № 50 (8610), გვ. 4).

ასეთი დამოკიდებული წინადადება შედეგობითია, მაგრამ ის ზოგჯერ ვითარების გარემოებითად უნდა იქნეს გაგებული. ამიტომ მკვეთრად რომ იქნეს ისინი ერთიმეორისაგან გარჩეული, სჯობს, რომ, როცა დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია, „ისე“ მთავარში იყოს, ხოლო როცა დამოკიდებული წინადადება შედეგობითია, ვინმართ საკავშირებლად არა „ისე რომ“, არამედ „ასე რომ“.

ბ) ამის გამო; ამიტომ:

მაბალთმები: 1. ახლო-მაილო მთებზე ჯერ კიდევ არ იყო თოვლი სრულიად გამდნარი, ამის გამო აქედან კარგა საგრძნობელი სიცივის სუსხი მოდიოდა (ლომ. 396). 2 ბაბუცა კი ცოტა გამხდარი, წერილი და მაღალი ტანის ვაგონა იყო, ამის გამო ბატონით აქეთ-იქით ლახლაზი ვერ უხდებოდა (ლომ. 451). 3. იმის მეტი ხე იქ არ მოიპოვებოდა, ამიტომ მწყემსები თავის სამწყემსოთი მის ჩრდილოს ქვეშ ისვენებენ¹ (ვაჩა, VI, 39).

„ამის გამო“ (აგრეთვე „ამიტომ“) შეიძლება „და“ კავშირითაც გაძლიერდეს, თუმცა დასაკავშირებლად მარტო „ამიტომ“, „ამის გამოც“ საკმარისია.

მაბალთმები: 1. კიტუს მზრივ აშანიკო ქცევა პირველი იყო და ამის გამო სოფიო გონს ვერ მოსულიყო (არაგ. 137). 2. ქართველების ბედზე ბრძოლის ველი ვიწრო იყო და ამის გამო ლეკების ბრბო ვერ იშლებოდა თავისუფლად (ლომ. 427).

¹ ამ ტიპის წინადადება ახლო დგას რთულ თანწყობილ წინადადებასთან. ხოგი-გროს ის ასეც აქვს გაგებული. ნ. А. В. Тежухов, *Методика Грамматического разбора*, 1949. стр. 252.

კ) რის გამო:

მაგალითები: 1. თვალშავა-კი წავეიდათ, რის გამო ფრიად გულწაქლულად დარჩნენ (ვაჟა, V, 269). 2. თავად ჩაღბოსაც ჩხუბის დროს, რა თქმა უნდა, ბევრი ჰხედებოდა მუშტი, ჯობი თუ საცერული, რის გამოც თაყი სულ გადაკორტილიო ჰქონდა... (ვაჟა, VI, 112). 3. ცეცხლი კი ოდნავ ბეჭტავდა კერაზე და ღრჩოლავდა, რის გამოც ისევ ბნელი ფარები კვამლით იბურებოდა (არაგ. 33). 4. ამნაირად დავიშრეთ ტანისამოსი, დავთბით, რის გამოც გულის დარდი ცოტათი ჩანელდა, შესუსტდა (ლომ. 367).

„რის გამო“ შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით „ამიტომ“, „ამის გამო“.

შედგობითი დამოკიდებული წინადადების ზოგიერთი შემთხვევა ახლო დგას მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებასთანაც. მაგ., დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარს უერთდება საკავშირებლით „რის გამოც“, სახელმძღვანელოში მთავრის მიმართად არის კიდევ გაგებული. მაგრამ ლოგიკური მიძარტების თვალსაზრისით ასეთი დამოკიდებული წინადადება უფრო შედეგობითია, ვიდრე მთავრის მიმართი.

§ 2. პირობითი დამოკიდებული წინადადება

„პირობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, თუ რა პირობებში შეიძლება მოხდეს ან მომხდარიყო ის, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი“ (სინტაქსი, 1949, გვ. 161).

მაგალიტი: 1. თუ შინაურულად არ იცით ამ სოფლის გარემოება... (ის მცხოვრებთა რიცხვის გამოცნობაში თქვენი თვალი უსათუოდ მოსტყუდება (ლომ. 81).

პირველი წინადადება დამოკიდებულია, მეორე კი—მთავარი. დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნულია ის პირობა, რომელიც საჭიროა მთავარ წინადადებაში ნათქვამი ამბის შესასრულებლად: ასეთი დამოკიდებული წინადადება პირობითია.

პირობით დამოკიდებულ წინადადებას ხშირად უსვამენ კითხვას: რა შემთხვევაში? ან: რა პირობებში? მაგ., რა შემთხვევაში მოსტყუდებოდა თქვენი თვალი მის მცხოვრებთა რიცხვის გამოცნობაში? პასუხი მოცემულია დამოკიდებულ წინადადებაში: „თუ შინაურულად არ იცით ამ სოფლის გარემოება“, იმ შემთხვევაში. მთავარ წინადადებაში ჩვეულებრივ შედეგია დასახელებული, რომელიც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყვეს დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებულ პირობას. ასეთ წინადადებას პირობით-შედგობით რთულ წინადადებასაც უწოდებენ. იგი რამდენადმე უახლოვდება, ერთი მხრით, მიზეზის გარემოებითის, ხოლო, მეორე მხრით, შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას; ზოგიერთი ნიშნით უახლოვდება დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასაც და ზოგჯერ იყენებს კიდევ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებლებს. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ წინადადებაში „თუ“ კავშირი რომ შევცვალოთ „როცა“ („როდესაც“)

სიტყვით, დამოკიდებული წინადადება მაინც პირობითი იქნება, მაგალითად:

„როცა შინაურულად არ იცით ამ სოფლის გარემოება, მის მცხოვრებთა რიცხვის გამოცნობაში თქვენი თვალი უსათუოდ მოსტყუვდება“.

პირობითი დამოკიდებული წინადადების სწავლებისას საკიროა ყურადღება გამახვილდეს არა მსგავსებაზე, არამედ მსგავსების შემთხვევებში. მისი სხვა სახის დამოკიდებული წინადადებისაგან განმასხვავებელ მომენტებზე. ეს გარემოება მხედველობაში უნდა გვქონდეს სხვა დროსაც. როცა დამოკიდებულ წინადადებათა სხვადასხვა სახე ერთმანეთს ემსგავსება.

პირობითი დამოკიდებული წინადადების სწავლების შემდეგ საფეხურზე უნდა შევიჩრდეთ იმ თავისებურებაზე, რომელიც ახასიათებს ზოგიერთი სახის პირობით დამოკიდებულ წინადადებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში სწერია: „თუ პირობა და შედეგი წარსული დროის ამბავს შეიცავს, პირობის აღმნიშვნელი ზმნა საწინააღმდეგო ფორმით უნდა გადმოიკეს: თუ მოქმედება დადებითია, ზმნის ფორმა უარყოფითი (ანუ უკუთქმითი) უნდა იყოს („არ“ ნაწილაკი უნდა ახლდეს) და თუ უარყოფითია, ზმნის ფორმა დადებითი უნდა იყოს (ე. ი. „წართქმითი)“¹.

მაგალითი: 1. ეს კეთილი და გონიერი ძალდი რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა (გოგ. 168).

დამოკიდებული წინადადება უკუთქმითია (მასში ურევია უარყოფითი ნაწილაკი „არ“), მაგრამ პირობა დადებითია, ე. ი. ძალდი შეესწრო. თუ პირობა უკუთქმითია, მაშინ დამოკიდებული წინადადება წართქმითი გახდება (მასში აღარ იქნება უარყოფითი ნაწილაკი „არ“), მთავარი უკუთქმითი იქნება (ნაწილაკი „არ“ მასში გადავა), მაგრამ შედეგი წართქმითად იქნება გადმოცემული, მაგალითად:

„ეს გონიერი ძალდი რომ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი არ დაიხრჩობოდა“.

იგულისხმება, რომ ძალდი არ შეესწრო და ბავშვი დაიხრჩო.

ზოგჯერ პირობა და შედეგი ზმნის უკუთქმითი ფორმითაა გადმოცემული, მაგრამ პირობაცა და შედეგიც წართქმითია.

მაგალითი: 1. მამაჩემი რომ არ მატანდეს ძალას, სამკვდლოში სულაც არ შემოვდგამდი ფეხსა (რახ. 358).

პირობითი დამოკიდებული წინადადება თავშია ან ბოლოში. მისი ჩვეულებრივი საკავშირებლებია: „თუ“, „რომ“, „თუ რომ“, „თუკი“, „თორემ“, „უკეთუ“, „როცა“...

ა) თუ:

მაგალითები: 1. „ხერბი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა (ანდ.). 2. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა (კავ. 425).

¹ ა. შანიძე, სინტაქსი, 1949, გვ. 161.

3. კოლოც კი წააქცევს ცხენსა, თუ დიდი მგელი უშველის (ანდ.). 4. ღმელის შეცოდება ხელა გასწორდება, თუ საცადისი კეჟუა-გონების კაცს ისევ შერჩა და არ შორდება (წერ. 11, 121).. 5. თუ ამაღამ ოფლი მოიძინე, ხვალე კარგად გახდება (ლომ. 175). 6. თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (ბურ. 15).

„თუ“ უმეტესად იწყებს დამოკიდებულს, მაგრამ ზოგჯერ ის დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული.

მაგალითები: ბაღის უფროსისა ცოტა შიში თუ არა აქვს, გაირყვება, გაფუჭდება... (ვაჟა, VI, 74). 2. თორნივე თუ არ გვესარდლა, ხმაღს არ მოვიკიდებთ ხელსაო (წერ. 11, 41).

როცა დამოკიდებული წინადადების ზმნის ფორმა უკუთქმითია, ახლავს უარყოფითი ნაწილაკი „არა“ და მის წინ ზის კავშირი „თუ“ (როგორც მოყვანილ მაგალითებშია), მაშინ ასეთი პირობითი დამოკიდებული წინადადება გარეგნულად ემსგავსება „თუ არა“ კავშირიან დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას, მაგრამ მათი გარჩევა შინაარსობლივ არაა ძნელი.

ბ) რთმ:

მაგალითები: 1. ბერუა ბერს რასმე იტყოდა კიდევ, რომ დედაჩემს პურის საკმელად არ დავაძნა (ვაჟა, V, 64). 2. ამ ყოფაში დიდხანს ვიქნებოდი, რომ საშინელს ხმაურობას არ გამოვეფხიხლებინე (ვაჟა, V, 253). 3. დედალი შევლიც შეხტა და დაბლა ფერდობზე უნდა დაშვებულიყო, რომ რქიანს არ დაეკირა (რაზ. 38). 4. ტოროლას მინც არ მოგვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი (ხალხ.). 5. ხარი ხართან რომ დაბა, ან ფერს იცვლის ან ზნესაო (ანდ.).

პირობითი დამოკიდებული წინადადების შესაერთებლად „თუ“ დაა „რომ“ კავშირითაგან საკმარისია ერთ-ერთის გამოყენება, მაგრამ გვხვდებოდა მათი ერთდროულად გამოყენებაც.

მაგალითები: 1. ...კიდევ დიდხანს დავრჩებოდი ასე, თუ რომ ჩვენს ავადმყოფს არ გამოვეყვანეთ ამ მდგომარეობიდან (ლომ. 22). 2. იქნება ეგრე დაწყნარებულს და ჯავრგადაყრილს კიდევ ბევრი გზა გამეულო, თუ რომ პეპიასათვის მიცემული ფიცი ხელახლად არ მომგონებოდა (კავ. 316). 3. გამიქვედდეს მე ვისნა, თუ რომ ვისმე მოვეფერო (წერ.). 4. ნუ დამძრახავ, საკადრისად თუ რომ ვერას გემსახურე (წერ. 11, 246). 5. ამ ხიფათა შეიძლება კაცი გადურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს (კავ. 325).

გ) უკეთუ; თუკი:

მაგალითები: 1. ...ხალხს, უკეთუ ბრძოლა მოხდებოდა, გარდა ხარალისა, არაფერი სარგებელი არ ექნებოდა... (ყახ. 111). 2. თუკი ვისმე თვალი კარგად უპრიდა, ალიას ბინიდან ყველაფერს დაინახავდა (არაგ. 35).

პირობითი დამოკიდებული წინადადებისნაირია ისეთი წინადადება, რომელიც მთავარს უერთდება „თორემ“ კავშირით.

მაგალითები: 1. ნურც დანახებ შენს ქურანს ცხენსა, თორემ ის ბიკი განაწებს ბერსა! (კავ. 148). 2. ჩამოხე-მეთკი, თორემ მტვერსავით გაგანიავებ! (კავ. 314). 3. ...ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავე გამოუშვას, თორემ იკაურობას სულ მტერს ავადენ (კავ. 337).

დამოკიდებული წინადადება, რომელიც მეორე წინადადებას (მთავარს) „თორემ“ სიტყვით უერთდება, ცალკე აღებული, რთული ქვეწყობილი წინადადების შინაარსისაა, სახელდობრ ისეთისა, რომელიც თვით შეიცავს პირობით დამოკიდებულ წინადადებას. მაგალითად, „თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ“ შინაარსობლივ იგივეა, რაც: „თუ არ [გამოუშვებს], იქაურობას სულ მტვერს ავადენ“. „თორემ მტვერსავით გაგანიაყვებ“ იგივეა, რაც: „თუ არ [ჩამოხვალ], მტვერსავით გაგანიაყვებ“.

მაშასადამე, „თორემ“ კავშირიანი რთული წინადადება ჩვეულებრივად შინაარსობლივ ისეთია, სადაც მთავარს დამოკიდებული წინადადების სახით ახლავს რთული ქვეწყობილი წინადადება.

„თორემ კავშირი ამჟამად სცილდება ქვეწყობილი წინადადების ფარგლებს“,¹ რადგანაც „კონსტრუქტიულად... მეორე წინადადება ორი წინადადების კონდენსირებული სახეობაა“.²

მთავარი, რომელსაც ახლავს პირობითი დამოკიდებული წინადადება, შინაარსობლივ მრავალფეროვანია. ის შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვით-ძახილის ან ბრძანებითი.

მაგალითები: 1. თუ ვგრე გეშინოდა ჩემი დანახვისა, ქალი რალად მოიტაცე? (ყაზ. 27). 2. ელგუჯაი რომ ვიყო, სახელს რაილა დამამალენებდა? (ყაზ. [53]). 3. კაცი რომ სულულების კბილთა ღრეკას აჰყევს, სად წავა! (ქავ. 447). 4. თუ ჩემი სურვილი უსაფუძვლოდ მიგანიათ, ნუ აღასრულებთ თქვენს განზრახვას (ყაზ 131).

§ 3. დამოკიდითი დამოკიდებული წინადადება

დამოკიდითი დამოკიდებული წინადადება ისეთ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც მთავარ წინადადებაში გამოთქმული აზრის მიხედვით საერთოდ არაა მოსალოდნელი. როგორც სახელმძღვანელოშია ნათქვამი, „მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულში გამოთქმული აზრები ერთმანეთის პირისპირ შეუძლებელია, მაგრამ აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში—შესაძლებელი“ (სინტაქსი, 1949, გვ. 163).

მაგალითი: 1. მუცელამ ცოლი თუმცა სიყვარულით არ შეირთო, მაგრამ ცოლ-ქმარნი მაინც ტკბილად ცხოვრობდნენ (ვაჟა, V, 323).

პირველი წინადადება დამოკიდებულია, მეორე—მთავარი. აზრობლივი მიმართება მათ შორის ისეთია, რომ ერთისაგან მეორე არაა მოსალოდნელი, მეორისაგან კი—პირველი. მართლაც, თუკი მუცელამ ცოლი სიყვარულით არ შეირთო, არცაა მოსალოდნელი, რომ ისინი ტკბილად ცხოვრობდნენ, ანდა, პირიქით, თუ ისინი ტკბილად ცხოვრობდნენ, აზრის მიხედვით არც ისაა მოსალოდნელი, რომ მუცელას სიყვარულით

¹ გიორგი როგავა. ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში. ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1943. გვ. 376.

² იქვე, გვ. 376.

არ შეერთო ცოლი. ამდენად, მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ერთიმეორის მიმართ თითქოს ერთგვარი დათმობაა გამოხატული. ასეთ დამოკიდებულ წინადადებას დათმობით სწორედ ამიტომ უწოდებენ.

დათმობითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებლებია: „თუმცა“, „თუმცაღა“, „მიუხედავად იმისა, რომ“ და სხვ.

ამათგან პირველ რიგში მიზანშეწონილია „თუმცა“ კავშირიანი დათმობითი დამოკიდებული წინადადების გაცნობა.

ა) თუმცა (თუმცაღა):

იმის მიხედვით, დამოკიდებული წინადადება თავშია თუ ბოლოში, განსხვავებული მდგომარეობაა. ამიტომ საჭიროა ეს შემთხვევები ცალ-ცალკე განვიხილოთ.

1. დამოკიდებული წინადადება თავშია.

მაგალითები: 1. თუმცა ბუღბუღი უდიდესი მგალობელია, მაგრამ ამ დროსათვის იმისი ტკბილი ხმები აღარ ვარგოდა (რახ. 263). 2. თუმცა კი შერჩა წადილი ძველი, შრომის სურვილი იმ უბედურსა, მაგრამ არც ღონე და აღარც წელი აღარ მოსდევდა დროგაოდასულსა (კავ. 155). 3. თუმცა აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე, მაინც კი სული შემოუბრუნა (კავ. 159). 4. თუმცაღა წინა ღამით თოვლი მოვიდა, მაგრამ იმ დილას კი ცა მოიწმინდა (ნინე). 5. მხვს თუმცა კარგა დაბლა დაწია დასაუფეთისკენ, მაგრამ მაინც საძინელი სიციხის ბული ტრიალებდა ჰაერში (ლომ. ხპ).

„თუმცა“ უმეტესად იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, იშვიათად კი დამოკიდებულშია. მთავარში მოიპოვება მაპირისპირებელი კავშირები „მაგრამ“, „კი“ და „მაინც“.

ზოგჯერ „თუმცა“ არაა წარმოდგენილი, რითაც ასეთი წინადადება რთულ თანწყობილ წინადადებად უნდა იქნეს გაგებელი, თუმცა რთულში შენეველ წინადადებათა აზრობლივი მიმართება ისეთივე რჩება, როგორც „თუმცა“ კავშირიანი დათმობითის შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

მაგალითები: 1. წვიმამ გადიღო, მაგრამ ცახედ მხე მაინც არა ჩანდა (კვახ, V, 160). 2. ის ამ ქვეყნის აღარ იყო, ფები ედგა სანარეში, მაგრამ მაინც კი უცებდა აღრიდელი გული მყერდნი (კავ. 174).

2. დამოკიდებული წინადადება ბოლოშია:

მაგალითები: 1. რამდენაჲმე გაბრძოლების შემდეგ ელკუჯა შლეერთდა თავის ამხანაგებს, თუმცა ამ შეერთებამ ბევრი აღარა უშეულა-რა (ყახ. 32). 2. მხალე გულს კანკალით ელოდა ამ გარდაწყვეტილებას, თუმცა წინაღვე დაიმედებული იყო სვიმონისაგან... (ყახ. 64). 3. მათიაც სწორედ ამავე მგაგეს მდგომარეობაში იყო, თუმცა იმათი მღელვარება სხვადასხვა მოპირდაპირე საბუთისაგან წარმოსდგებოდა (ყახ. 77). 4. სროლა მაინც არა სწყდებოდა, თუმცა ტყვიები უბრალოდ იკარგებოდა და პირდაპირ თავის დაწინაურებას ვეღარ ასრულებდა (ყახ. 20).

დათმობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული წინადადება: როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, იმის მიხედვით, თუ

საღ არის დამოკიდებული წინადადება (თავში თუ ბოლოში) ერთმანეთისაგან განსხვავდება. სახელდობრ, როცა დამოკიდებული წინადადება თავშია, მთავარში ჩვეულებრივ წარმოდგენილია მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ“, როცა ბოლოშია, მთავარში შეიძლება იყოს „მაინც“, მაგრამ მაპირისპირებელი კავშირი („მაგრამ“) მასში არ შეიძლება იყოს. რომ შეეუცვალოთ მთავარსა და დამოკიდებულს ადგილი, „მაგრამ“ კავშირიც აღდგება.

განხილული სახის რთული ქვეწყობილი წინადადება, საერთოდ, ახლოს დგას რთულ თანწყობილ წინადადებასთან, ზოგიერთი ნიშნით ისე ახლოს, რომ იგი თითქოს მართლაც გარდამავალი საფეხურია რთული თანწყობილი წინადადებიდან რთულ ქვეწყობილ წინადადებაზე.¹

დათმობით დამოკიდებულ წინადადებას, როგორც სახელმძღვანელოშია ნათქვამი, ზოგჯერ იწყებს გამოთქმა: „მიუხედავად იმისა, რომ“. „თუმცა“ კავშირი შეიძლება შეიცვალოს ამ გამოთქმით, ოღონდ მთავარში „მაგრამ“ აღარ იქნება. მაგალითად, წინადადებაში: „თუმცა ორივემ ძილის სურვილი გამოაცხადა, მაგრამ არც ერთს არ ეძინებოდა“ — „თუმცა“ რომ შეეცვალოთ გამოთქმით „მიუხედავად იმისა, რომ“, მივიღებთ: „მიუხედავად იმისა, რომ ორივემ ძილის სურვილი გამოაცხადა, არც ერთს არ ეძინებოდა“.

სახელმძღვანელოში დათმობითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებლად, გარდა ზემოთ აღნიშნული კავშირებისა, დასახელებულია: „გინდ“ („გინდაც“), „თუნდ“ („თუნდაც“), „რაგინდ“, „თუგინდ“ და „უნდა“ ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები. ამ კავშირებით შეერთების შემთხვევები, სახელმძღვანელოში გათვალისწინებული მართლწერის საკითხებითურთ, ბოლოს უნდა გავაცნოთ. სავარჯიშოებში ამ კავშირებთან დაკავშირებით ცოტაა მაგალითები; აქ დავასახელებთ დამატებით ლიტერატურიდან ამოკრეფილ რამდენიმე მაგალითს.

მაგალითები: 1. უკეთეს ბინას ვერ ნახავ, ვინდ მოკლო კიდით-კიდო (წერ. 11, 113). 2. ჩაიხედე, გამოჩნდება ყველა ნათლად, უტყუარად, ვინდ იხმარონ მელის ტყავი ჰიობადედ და ხელში ფარად (წერ. 11, 197). 3. თუნდ სრულად მოსწყუნენ ვარსკვლავნი, მხემ ტანთ ჩაიცივას შავები, ისეც მზეობას მიხამენ შენი ფოფინა თვალები (ვაჟა, 1, 4). 4. იმ მთას თავს რისთვის ვანებებ, თუნდ ეიქცე ტანჯუის ფილად? (ვაჟა, 1, 40). 5. თუნდაც მოჭკუღეს ქვეყნისათვის, ეს სიკვდილი სიცოცხლეა (ვაჟ. 177). 6. რა-გინა ბედმა მიმტყუნოს, რა-გინდ ვარამმა მებინოსა, კიდევ შევმღერებ ერთხელა (ვაჟა, 1, 43). 7. არც ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა მაროს ყურებს, თუნდაც რომ ეს სიტყვა სრულიად დაბალი ჩურჩულით ყოფილიყო წარმოთქმული (ლომ. 469). 8. რაც უნდა ქირი მომკერძო, ბილწო არ შევეყრი ზავითა (ვაჟა, 1, 118). 9. რაც უნდა ღრიანცელი მღგარბყო, მისი მაღალი ბოი ხმა მაინც კარგად ისმოდა (ლომ. 424).

¹ 6. В. А. Добромислов, Сложные предложения, Русск. яз. в школе' 1938, № 4, стр. 76.

§ 4. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება

მოიპოვება ისეთი დამოკიდებული წინადადება, რომელიც არ გადმოვკცემს მთავარი წინადადების რომელიმე წევრის შინაარსს, არამედ მთლიანად მთავარში გამოთქმულ აზრს მიემართება. ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება რუსულ სასკოლო გრამატიკებში სხვადასხვა სახელით არის ცნობილი. ძველ ქართულ სასკოლო გრამატიკებში ის ცალკე არ განიხილებოდა, ხოლო პროფ. ა. შანიძის გრამატიკაში ცალკე სახედ არის გამოყოფილი და მას ავტორი მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებას უწოდებს.

მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელია „მიმართებითი ნაცვალსახელი „რაც“ ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით“ (სინტაქსი, 1949, გვ. 165), რითაც ის ემსგავსება ქვემდებარულს, დამატებითსა და ჯანსაზღვრებითს... შინაარსობლივ კი უახლოვდება შედეგობით დამოკიდებულ წინადადებას, რადგანაც მასშიც ერთგვარი შედეგია გამოხატული, მთავარში კი—მიზეზი. დამოკიდებული წინადადება ყოველთვის მეორე ადგილზეა.

მაბალითმები: 1. ჩენი ქვეყანა მტკიცედ დას მშვიდობის სადარაჯოზე, რაც მოწინავე კაცობრიობას იხედით ავებს. 2. ჩვენმა ქვეყანამ ძლევაშოსილად გაიმარჯვა ფაშისტუო გეომანიაზე, რამაც კაცობრიობა ფაშისტის მძიმე უღლისაგან გადაარჩინა. 3. დაწყნარებულმა ზღვამ უცებ ძლიერი ლეღა დაიწყო, რასაც არავინ მოელოდა. 4. [სუავი] თაჟის-თავს თითქმის არწივის ტოლ-ამანაგად სთულის, რაც ფრინველთა უგუნურობას ღირსეულად ვერ დაუფასებია (ვაჟა, VI, 349). 5. ბავშვმა მშვენიერი სურათი დახატა, რითაც ყველა კმაყოფილი დარჩა.

რადგანაც მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება საკავშირებელი სიტყვითა თუ შინაარსობლივ ჰგავს ზოგიერთ დამოკიდებულ წინადადებას, მიზანშეწონილია ისინი ერთმანეთს შეეუპარისპიროთ და ყურადღება მათს განმასხვავებელ მომენტებზე გავამახვილოთ. მართლწერის თვალსაზრისით აქ ყურადღებას იქცევს საკავშირებელი სიტყვის სწორად გამოყენების საკითხი: გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელის ნაცვლად გამოყენებულია „რომელიც“ და, პირიქით. მოსწავლემ უნდა მიიღოს ჩვევა, რომ, როცა დამოკიდებული წინადადება მთავრის მიმართია, „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენება უპირატებულაა, და, პირიქით, როცა დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, „რაც“ ნაცვალსახელის ხმარება ხშირად არაა სტილისტიკურად სწორი.

მაბალითმები: 1. გაწყდეს ის თემი, რამაც (?) ერთის კაცის პონა მონდომოს და ვერ იპოვოს (ვახ. 679) 2. როგორ გამოთქვამ იმ სიამოვნებას, რასაც (?) შენი დანახვა მაგრძნობინებს ხოლმე უსულო და უსიცოცხლო მინდობზე (რაზ. 2). 3. [ძალი] თალებში მომანგრდა, თითქოს ბოდის იხდიდა იმ გრძნობისათვის. რამაც (?) დღეს მოულოდნელად იმის გულში გაიღვიძა (ვაჟა, VI, 236). 4. ეს ის მურია აღარ არის, რაც (?) წინათ ვნახეთ (რაზ. 12).

მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება „ადვილად შეიძლება გადაკეთდეს დამოუკიდებელ წინადადებად“ (სინტაქსი, 1949, გვ. 165). გადაკეთებისას მიმართებითი ნაცვალსახელის („რაც“) ადგილს დაიკავებს ჩვენებითი ნაცვალსახელი იმავე ბრუნვის ფორმით, რომელშიც დგას საკავშირებელი სიტყვა (მიმართებითი ნაცვალსახელი - „რაც“), იმის მიხედვით, თუ რად არის ის შეწყობილი დამოკიდებული წინადადების შემასმენელთან. ჩვენებითი ნაცვალსახელი ამ შემთხვევაში ცვლის არა სიტყვას, არამედ მთელ წინადადებას (მთავარს).

მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებები რომ დამოუკიდებელ წინადადებად გადავაკეთოთ, მივიღებთ:

1. ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დგას მშვიდობის სადარაჯოზე; ეს მოწინავე კაცობრიობას იმედით ავსებს.
2. ჩვენმა ქვეყანამ ძლევამოსილად გაიმარჯვა ფაშისტურ გერმანიაზე; ამან კაცობრიობა ფაშიზმის მძიმე უღლისაგან გადაარჩინა.
3. დაწყნარებულმა ზღვამ უცებ ძლიერი დღევა დაიწყო; ამას არავინ მოელოდა.
4. სვავი თავისთავს თითქმის არწივის ტოლ-ამხანაგად სთვლის; ეს ფრინველთა უგუნურობას ღირსეულად ვერ დაუფასებია.
5. ბავშვმა მშვენიერი სურათი დახატა; ამით ყველა კნაყოფილი დარჩა.

მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება ადვილად შეიძლება გადაკეთდეს დამოუკიდებელ წინადადებად, რომ ვამბობთ, იგულისხმება, რომ ის აღარაა დაქვემდებარებული, თორემ აზრობლივ ის ისევ წინა წინადადებასთან (ყოფილ მთავართან) არის მკიდროდ დაკავშირებული. ეს კავშირი მათ შორის ისე დიდია, რომ ისინი შეიძლება „რად“ კავშირითაც შეერთდეს ხოლმე, უკავშირო შეერთებისას კი მათ შორის წერტილმძიმე დაისმის.

მაგალითი: 1. გავარდა ერთბაშად თოფი და ეს ნიშანი იყო საერთო იერიშისა (ყახ. 748).

ეს წინადადება კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადებაა, რომელიც ადვილად გადაკეთდება მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებად.

მაგალითად: გავარდა ერთბაშად თოფი, რაც ნიშანი იყო საერთო იერიშისა.

მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების სწავლებისას მიზანშეწონილია მივმართოთ მუშაობის შემდეგ სახეებს:

1. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების დამოუკიდებელ წინადადებად გადაკეთება (ამ ტიპის საეარჯიშო მოცემულია თვით სახელმძღვანელოში).

2. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების დამოუკიდებლად შედგენა.

3. მარტივ წინადადებათა წყვილთაგან რთული წინადადების შედგენა.

4. „რაც“ მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენებით ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შედგენა.

5. ვარჯიშობა „რაც“ და „რომელიც“ მიმართებით ნაცვალსახელთა სწორად გამოყენებაზე.

6. რთული თანწყობილი წინადადების მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებად გადაკეთება და სხვ.

მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების შესწავლით მთავრდება დამოკიდებულ წინადადებათა სახეების გაცნობა, საერთოდ კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების შესწავლა. ამიტომ საჭიროა დამოკიდებულ წინადადებათა სახეებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები გავიმეოროთ და მიღებული ცოდნა სისტემაში ჰოვიყვანოთ. აქ უნდა დასრულდეს, სახელდობრ, იმ ტაბულის შევსება, რომელიც მოცემულია ამ შრომის 54-ე გვერდზე.

VIII. უკავშირო მკვლევარული წინადადება

§ 1. უკავშირო მკვლევარული წინადადებას ადგილი რთული წინადადებას სწავლების სისტემაში

სკოლაში უკავშირო ქვეწყობილი წინადადების გაცნობას ზოგიერთი ნეთოდისტი უარყოფითად ეკიდებოდა იმ მოტივით, რომ მისი გარჩევა უკავშირო თანწყობილი წინადადებისაგან ერთობ ძნელია და ხშირად მისი განსაზღვრა ამა თუ იმ ავტორის სუბიექტურ გაგებაზეა დამყარებული¹.

უკავშირო ქვეწყობილი წინადადების ზოგიერთი შემთხვევა მართლაც ახლო დგას უკავშირო თანწყობილ წინადადებასთან და ამავე დროს მოსწავლისათვის წინადადებათა შორის დამყარებული აზრობლივი მიმართების გარკვევაც ძნელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი გაცნობა საჭიროა და დასაძლევიც, მით უმეტეს მას შემდეგ, როცა მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ რთული უკავშირო თანწყობილი და რთული კავშირიანი ქვეწყობილი წინადადებები.

უკავშირო ქვეწყობილი წინადადების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მოსწავლის აზროვნების განვითარებისათვის, არამედ სტილისტიკური გემოვნების გამახვილებისა და პუნქტუაციურ ჩვევათა გამომუშავების თვალსაზრისითაც. ამიტომაც, რომ სკოლაში უკავშირო ქვეწყობილი წინადადების სწავლების საჭიროება დღეს სადავო აღარაა და ის შეიტანილია კიდევ როგორც რუსულ, ისე ქართულ სასკოლო გრამატიკაში.

კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების შესწავლა ერთგვარი პირობაა უკავშირო ქვეწყობილი წინადადების დასაძლევად. ამდენად მისი სწავლების ბუნებრივი ადგილიც კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების შემდგობა და ეს ასეც არის წარმოდგენილი სასკოლო გრამატიკაში.

§ 2. უკავშირო მკვლევარული წინადადებას ძირითადი შემთხვევები

კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაში დაქვემდებარების გარეგნულ ნიშანს საკავშირებელი სიტყვები წარმოადგენს, რომელნიც ადვილებენ მთავარსა და დამოკიდებულს შორის დამყარებული ლოგიკური მიმართების გარკვევას.

¹ ბ. В. М. Березин, Сложное предложение в средней школе, Рус. яз. и литература в средней школе, 1935, № 1, стр. 31.

უკავშირო შეერთებისას მთავარსა და დამოკიდებულს შორის აზრობ-
ლივი მიმართება დაახლოებით ისეთივეა, როგორც კავშირიანი შეერ-
თების დროს. მაგრამ აქ, რაკი დაქვემდებარება გარეგნული ნიშნით არაა
გამოხატული, დამოკიდებული წინადადების სწორად განსაზღვრა შედა-
რებით უფრო ძნელია. ამიტომ იმის გასარკვევად, როგორია დამოკიდე-
ბული წინადადება, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელ კავშირს მოიხ-
დენს აზრის შეუცვლელად უკავშირო ქვეწყობილი წინადადება. მაშასადა-
მე, უკავშირო ქვეწყობილი წინადადების კავშირიანად გადაქცევა, როცა
ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვანი მომენტია დამოკიდებული წინადადე-
ბის სახის გასარკვევად, მაგალითად:

**უკავშირო ქვეწყობილი წინა-
დადება**

ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალ-
და და ონისემ მიწახედ ფართხალი და-
იწყო: მოხ-ცის მახვილს შეილრსათ-
ვის გული ორად გაეხო (ყახ. 75წ).

**კავშირიანი ქვეწყობილი წინა-
დადება**

ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალმა
და ონისემ მიწახედ ფართხალი დაიწყო,
რადგანაც მოლუცის მახვილს შეილისათ-
ვის გული ორად გაეხო. (75წ)

დამოკიდებული წინადადება ამ შემთხვევაში მიზეზის გარემოებითია.
დამოკიდებული წინადადების სახე მოცემულ წინადადებაში კავშირიან-
ნად გადაქცევის გარეშეც აღვილად ირკვევა, მაგალითად კითხვის დას-
მით: რატომ დაიწყო ონისემ მიწახედ ფართხალი? მაგრამ არის შემთხვე-
ვა, როცა მთავარსა და დამოკიდებულს შორის ლოგიკური მიმართება
ისეთია, რომ ის სხვადასხვა საკავშირებელი სიტყვის ჩასმას მოიხდენს და
არაა გამორიცხული დამოკიდებული წინადადების სხვადასხვაგვარად გა-
გების შესაძლებლობა. მაგალითად, როგორც ა. ვ. ტუქუჩევი აღნიშ-
ნავს, წინადადება: „ტუცეს კრიან—ნაფოტები ცვივა“ შეიძლება გაგებულ
იქნეს დროის გარემოებითად („როცა ტუცეს კრიან, ნაფოტები ცვივა“),
მიზეზის გარემოებითად („რადგანაც ტუცეს კრიან, ნაფოტები ცვივა“) და
პირობით დამოკიდებულ წინადადებადაც („თუ ტუცეს კრიან, ნაფოტები
ცვივა“¹, აგრეთვე რთულ თანწყობილადაც („ტუცეს კრიან, ნაფოტები
ცვივა“). რა თქმა უნდა, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში წინადა-
დებას ერთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და არა მრავალი. ამას კი
ხშირად ის სინტაქსური ჯგუფი თუ კონტექსტი განსაზღვრავს, საიდანაც
წინადადებაა ამოღებული. ამიტომ ზოგჯერ იზოლირებულად აღებულ
წინადადებაზე დაკვირება არაა საკმარისი, არამედ საჭიროა კონტექს-
ტის გათვალისწინება. ამავე დროს საჭიროა დაუწყვირდეთ იმას, თუ რა
სასვენი ნიშანია გამოყენებული (როცა წინადადება დაწერილია) და რო-
გორი ინტონაციაა მისთვის დამახასიათებელი (თუ წარმოთქმულ წინა-
დადებასთან გვაქვს საქმე). ინტონაცია და პუნქტუაცია განსაზღვრულა
წინადადების შინაარსით, ამიტომ მათზე დაკვირება მნიშვნელოვანია

¹ А. В. Т с к у ч е в, Методичка грамматического разбора. Москва, 1949
стр. 283.

რთული წინადადების ნაწილებს შორის დამყარებული ლოგიკური მიმართების გასარკვევად.

უკავშირო კვეწყობილი წინადადების მარტივ შემთხვევებს ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით კავშირიანი კვეწყობილი წინადადების სწავლების დროსაც (მაგ. დამატებითი დამოკიდებული წინადადების სწავლებისას), მაგრამ მისი ძირითადი შემთხვევების საგანგებო შესწავლა მხოლოდ რთული წინადადების სწავლების ამ საფეხურზე ხდება.

უკავშირო შეერთების ხშირი და მარტივი შემთხვევები მაშინ გვაქვს, როცა „რომ“ და „თუ“ კავშირებია გამოტოვებული. დამოკიდებული წინადადება ამ შემთხვევაში უმეტესად დამატებითია ან ქვემდებარული, იშვიათად განსაზღვრებითი, შემასმენლური, ვითარების გარემოებითი და სხვ. „თუ“ კავშირი ჩვეულებრივ გამოტოვებულია, როცა დამოკიდებული წინადადება ირიბ კითხვას გამოხატავს.

ა) დამოკიდებული წინადადება დამატებითია.

მაგალითები: 1. ყველამ იცის, [თუ] რა ცხოველიცა ბრძანდება დათვი (ვაჟა, V, 117). 2. კოლოტას შეეშინდა, [რომ] ეს ჩემი გულის ბაგაბუჯი დათვმა არ გაიგონოსო (რაზ. 157). ჰ. ნახა, [რომ] ერთი ძუ ლომი მომყვდარა და ერთი ლეკვი დარჩომია (ს. ორბ. 152). 4. ნახა, [რომ] დათვი დაბრუნებულიყო და მოვიდა (ს. ორბ. 157).

ბ) დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია.

მაგალითები: 1. ცხადად ეტყობოდა, [რომ] ყველა ძალი სცნობდა ცოფიანს და ერიდებოდა (რაზ. 354). 2. ჩანს, [რომ] ჩვენი ცოდვა დიდი ყოფილა (წერ.).

გ) დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია.

მაგალითები: 1. ისეთი ლხინი გავმართოთ, [რომ] ჩვენ დაგენატროდეს ყველა (რაზ. 333). 2. აქ ისეთი სიჩუმე იდგა, [რომ] კოდალას ნისკარტის ჩქამიციკი არსაიღამ ისმოდა (ვაჟა, V, 263). ჰ. მოვიდა მელია. ერთი ასეთი მგელი მოიყვანა. [რომ] თხას შიშით თვალთ დაუბნელდა (ს. ორბ. 149). 4. ის ქალი ისეთს კაცს მიეც, [რომ] მე მჯობდეს თვალად, ტანადა (ხალხ.).

დ) დამოკიდებული წინადადება შემასმენლურია.

მაგალითი: ჩემი რჩევა ასეთია: წადი სოფელში და ერთი თვით დაისვენე.

ე) დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია.

მაგალითები: 1. ისე მაინც დადგი ფეხები, [რომ] ყვავილები არ გათელო. (ვაჟა, VI, 201). 2. აქლემის საპალნე ისე არ დაპატარავდება, [რომ] ვირისა აღარ განმოიდგოსო (ანდ.). 3. კაკის კალათა წნელით გავწან-გამოვწან ისე, [რომ] ბუხიც ძლიეს გაძვრება შიგა (ვაჟა, VI, 145). 4. გავმდიდრდი, ისე გავმდიდრდი, [რომ] ჩემი ცხვარი და ძროხა დედამიწას ამძიმებდა (ვაჟა, VI, 147). 5. [ძალღებმა] მგელი და მისი მოწამე ისე გახადეს, [რომ] შარშანდელიც დააწვიყეს (ს. ორბ. 149).

„რომ“ და „თუ“ კავშირების გამოტოვებისას დამოკიდებული წინადადება მთავარისაგან ჩვეულებრივ მძიმით გამოიყოფა, ზოგჯერ კი — ორწერტილით ან ტირეთი (მაგ., შემასმენლური, ზოგჯერ დამატებითი და ვითარების გარემოებითი).

¹ გამოტოვებული კავშირები აღდგენილია და კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

უფრო რთულია უკავშირო ქვეწყობილი წინადადების ის შემთხვევები, როდესაც „გამოტოვებული“ არაფერი ჩანს და დამოკიდებული წინადადება დროის, მიზეზის, მიზნისა და ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა ან პირობითის და შედეგობითის შინაარსს ატარებს, ანდა მთლიანად მთავარ (პირველ) წინადადებაში გამოთქმული აზრის ახსნა-განმარტებას, მის გაშლასა და დაზუსტებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში საკავშირებელ საშუალებას ზეპირ მეტყველებაში ინტონაცია წარმოადგენს, წერაში კი—სასვენი ნიშნები (ტირე, ორწერტილი).

ა) დამოკიდებული წინადადება დროის გარემოებითია.

მაგალითები: 1. წყალში ჩავაგდე—წყალად გადაიქცა, ცეცხლში ჩავაგდე—ხმად გადაიქცა (გამოც.—მარილი). 2. დაეწერილშვილი—დავიწიე, მომეზარდნენ—ავიწიე (ხალხ.). 3. ვენახში შევიღო—შეგყვება, გამოხვალ—გამოგყვება (გამოც.—კარები). 4. ქოროს დაჯდება—გაშლის, აფრინდება—დაკეცავს (გამოც.—ოფოფი).

ბ) დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია.

მაგალითები: 1. გაქარებოდეს—გელირებოდეს¹ (ანდ.). 2. თინა მღერის—ბუღბუღი გალობს.

გ) დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია.

მაგალითები: 1. კეკა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ქუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოებს დედამიწის გულზე (ვაჟა, V, 31). 2. პირდაპირ მხაუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის: წვიმას შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები (ვაჟა, V, 31). 3. [მგლისთვის] ქურდობა სახიფათო და საშიში იყო: სოფლის ქოფაკი ძაღლები ადვილად დაგლეჯდნენ მას, გლეხს შეეძლო მოესწრო ქურდობაზე, კეტი ედრუხა და ფეხები აფეშეციხნა (გოგ. ნ73). 4. ხაშთრობით [ვერხვი] ძლიერ დაჩაგრული იყო: აბეზარი მთის ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ-იქით (ვაჟა, VI, 38).

დ) დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითია.

მაგალითები: 1. წვერბმელი ხეებიც მე დამზარაიან ხევიდამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე თავარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს ან არაფერმა პრ აწყინოსო (ვაჟა, V, 31). 2. ყვავს ბახალა მოუკვდა, ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვს, შენ იტირეო (ვაჟა, VI, 461).

ე) დამოკიდებული წინადადება შედეგობითის შინაარსისაა.

მაგალითები: 1. ჩვენ მაინც სიფრთხილედ გვმართებს: ესე წერილიანზე ავიაროთ, ველის პირად ნუ გამოუჩნდებით, ნუ დავენახებეთო (ვაჟა, V, 12). 2. მტაცებელ ფრინველებს ვერ ენდობიან მშვიდობიანი ფრინველები: მიკუნჭულან ზოგა ბარდებში, სხვები—ფოთლებით შებურულ ხეებზე სხედან (ვაჟა, VI, 351).

ვ) დამოკიდებული წინადადება პირობითის შინაარსისაა.

მაგალითები: 1. მიწამ ყაბა გაგიკეთოს—ნუ ჩამოყიდები, მოგიციდინოს—ნუ შემოსწყრები (ხალხ.). სოფელი გაიქცეს—გაიქე, დადგეს—დადექი (ხალხ.). 3. ფუტკარი ასი თვალი გყავდეს—ერთი თქვი და ერთი გყავდეს—ასი თქვი (ხალხ.). 4. მუცელს აქორებ—ქორია, აღორებ—ლორია (ანდ.).

¹ შდრ.: „როგორც გიპიროდეს, ისე ვილიროდეს“ (ანდ.).

მოსწავლე რომ ადვილად გაერკვეს რთული უკავშირო კვეწყობილი წინადადების მექანიზმში, ვიდრე მზა მაგალითების გაცნობაზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილია კავშირიანის უკავშიროდ გადაქცევასა და მათს შეპირისპირებას მიემართოთ. მაგალითად:

კავშირიანი

ყველაზე მეტად მახია და ონისე ცხარობდნენ, რადგანაც ქვეყნის თვალში გამოჩენა უნდოდათ (ყახ.).

უკავშირო

ყველაზე მეტად მახია და ონისე ცხარობდნენ: ქვეყნის თვალში გამოჩენა უნდოდათ.

შეპირისპირებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ინტონაციასა და პუნქტუაციაზე. მოცემულ შემთხვევაში კავშირით შეერთებული მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მძიმითაა გამოყოფილი, უკავშიროდ შეერთებული კი—ორწერტილით. გათვალსაჩინოების მიზნით შეიძლება სქემების გამოყენებაც.

კავშირიანი



უკავშირო



ზ) უკავშიროდ შეერთებული წინადადება (წინადადებები, ზოგჯერ მთელი სურათიც) პირველი წინადადების (მთავარის) ახსნა-განმარტებას, მის გაშლასა და დაზუსტებას წარმოადგენს.

შაბაღითი: 1. ორბი ძვალს ათამაშებდა: ჩამოაგდებს დედამიწაზე და დაეტანება; მერე ისევ წაიღებს, წავა, წავა მალლა, გაუშვებს კლანჭებიდამ და ჩამოაყვება თეთრონაც თანა (ვაჟა, V, 30).

თუ უკავშიროდ შეერთებული წინადადება შინაარსით პირობითია, დროისა ან ვითარების გარემოებითი (შედარებითი), პირველი (მთავარი) წინადადებისაგან ტირეთი გამოიყოფა; როცა ის მიზეზს, მიზანს ან შედეგს გამოხატავს, ანდა მთავარი წინადადების ახსნა-განმარტებას, მის გაშლილად, დაწერილებით გადმოცემასა და დაზუსტებას წარმოადგენს, წინადადებათა მიჯნაზე ორწერტილი იწერება¹.

ტირესა და ორწერტილის სწორად გამოყენება განვითარებულ აზროვნებას მოითხოვს, ამიტომ უკავშირო კვეწყობილი წინადადების სწავლებისას ყურადღება სწორედ ამ ნიშანთა სწორად გამოყენების ჩვევის გაძომაშეაგებას უნდა მიექცეს.

ორწერტილი იხმარება შერწყმულ წინადადებაშიც, ტირე კი—შერწყმულშიც და რთულ თანწყობილშიც. მიზანშეწონილია, ამ ნიშანთა სხვა-

¹ ხშირად ვხვდებით ორწერტილისა და ტირეს ერთიმეორის ადგილას გამოყენებასაც.

დასხვა ტიპის წინადადებაში გამოყენების შემთხვევები ერთმანეთს შევუპირისპიროთ¹.

უკავშირო ქვეწყობილი წინადადების შესწავლით მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ა) უკავშირო წინადადებაში დამოკიდებული წინადადების მთავართან აზრობლივი მიმართების გარკვევა;

ბ) უკავშირო ქვეწყობილი წინადადების სწორად შედგენა;

გ) წინადადებისათვის დამახასიათებელი ინტონაციის დაცვა;

დ) საჭირო სასვენ ნიშანთა (ტირე, ორწერტილი, მძიმე) შეგნებულად გამოყენება.

უკავშირო ქვეწყობილი წინადადების სწავლებისას, სახელმძღვანელოში მოცემულ საფარჯიშოთა გარდა, მიზანშეწონილია მიემართოთ მუშაობის შემდეგ სახეებს:

ა) სხვადასხვა შინაარსის დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული უკავშირო ქვეწყობილი წინადადების მონახვა ტექსტში;

ბ) უკავშირო ქვეწყობილი წინადადების სხვადასხვა შემთხვევის დამოუკიდებლად მოფიქრება-შედგენა;

გ) კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების (შერჩეულ მაგალითებზე) უკავშიროდ გადაქცევა და საჭირო სასვენი ნიშნის გამოყენება;

დ) ვარჯიშობა უკავშირო ქვეწყობილი წინადადების გამომეტყველებითს კითხვაზე და სხვ.



¹ ტირე და ორწერტილი იხმარება აიოლაპირ ნათქვამთანაც; ამიტომ სრული წარმოდგენაც ამ ნიშანთა გამოყენების შესახებ პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სწავლებილას უნდა მიეცეთ.

IX. რთული ძველმოხილი წინადადება ჩამდენიმე დამოკიდებული წინადადებით

§ 1. ჩამდენიმე დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ძველმოხილი წინადადების სახეები

ერთ მთავარს შეიძლება ახლდეს ორი ან მეტი დამოკიდებული წინადადება. ამ ტიპის წინადადება, თავის მხრივ, სხვადასხვა სახისაა. შეიძლება მთავარს ახლდეს ჩამდენიმე ერთნაირი ან ჩამდენიმე არაერთნაირი დამოკიდებული წინადადება. ასეთ ქვეწყობას თანადაქვემდებარება ეწოდება, თვით დამოკიდებულ წინადადებათ კი—თანადამოკიდებული წინადადებები. შეიძლება დამოკიდებულ წინადადებას თავისი დამოკიდებული ახლდეს, დამოკიდებულის დამოკიდებულს საკუთარი დამოკიდებული და ასე შემდეგ, რასაც თანამიმდევრულ დაქვემდებარებას ეძახიან. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ერთდროულად ხშირად თანადაქვემდებარებაც არის და თანამიმდევრული დაქვემდებარებაც.

ჩამდენიმე დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების სახეები ამჟამად მოკლედ შესულია პროფ. ა. შანიძის გრამატიკაში (სინტაქსი, § 157, § 158). ეს სახეებით ბუნებრივია, რადგანაც მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ტიპის წინადადებათა გაცნობა-შესწავლას. მაგრამ მხოლოდ იმ მასალით დაკმაყოფილება, რომელიც სახელმძღვანელოშია მოცემული, სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა ამ საკითხთან დაკავშირებით გაღრმავებული და თანამიმდევრული მუშაობა ჩაატაროს, რისთვისაც, წინადადებათა სინტაქსურ ანალიზთან ერთად, ფართოდ უნდა მიმართოს პრაქტიკულ ვარჯიშობასა და წინადადებათა გათვალსაზიარებას სქემების საშუალებით.

სწავლების თვალსაზრისით აქ საინტერესოა ისეთი კონსტრუქციის რთული წინადადება, რომელიც ცნობილია პერიოდის სახელწოდებით. იგი, როგორც სტილისტიკური ხერხი, ჩვეულებრივს მეტყველებაში ნაკლებად არის გამოყენებული, მაგრამ მხატვრულსა და პუბლიცისტურ ლიტერატურაში მას ხშირად მიმართავენ. პერიოდი ხშირად გვხვდება აგრეთვე საორატორო მეტყველებაში.

სინტაქსურად პერიოდი ხელოვნურად შედგენილი რთული წინადადებაა, სადაც მთავარი თუ დამოკიდებული წინადადებები, ანდა ორივე

ერთად, გაერკობილია მთელი წყება წინადადებებით და დაწვრილებით აშუქებს ამა თუ იმ საკითხს ან თემას.

პერიოდი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში უმეტესად დამოკიდებული წინადადებებია მოთავსებული, მეორეში კი—მთავარი. პერიოდის პირველი ნაწილი ხმის თანდათან ამაღლებით იკითხება, მის დასასრულს პაუზაა, მეორე ნაწილი კი (პაუზის შემდეგ)—დადაბლებით. ამიტომ პირველ ნაწილს მაღალს უწოდებენ, მეორეს კი—დაბალს. პერიოდის ნაწილებს შორის, პაუზის ადგილას, ჩვეულებრივ მძიმე და ტირე იწერება.

პერიოდი შეიძლება იყოს მარტივი და რთული, ქვეწყობით ან თანწყობით, ცალ-ცალკე, ანდა ერთდროულად ქვეწყობა-თანწყობით მიღებული. იმის მიხედვით, თუ როგორია აზრობლივი მიმართება პერიოდის ნაწილებს შორის, პერიოდიც სხვადასხვაგვარია: ადგილისა, დროისა, მიზეზისა, მიზნისა, პირობითი, შედარებითი და სხვ.

პერიოდის შესწავლას სკოლაში თითქმის არაავითარი ყურადღება არ ექცევა, თუმცა სინტაქსურად მისი ზოგიერთი შემთხვევა არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს. ძველ ქართულ გრამატიკებში (მაგ. ს. ხუნდაძისა, მ. ჯანაშვილისა, მ. კელენჯერიძისა და სხვ.) ის ცალკე თავადაც იყო გამოყოფილი. უფრო სრულად პერიოდი და მისი სახეები განიხილებოდა ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებში. ის ახლაც ცალკე საკითხადაა შესული პედაგოგიური სასწავლებლისათვის შედგენილ ავტორთა სასკოლო გრამატიკაში¹; მის სწავლებაზე ამჟამად ყურადღებას ამახვილებენ მეთოდოლოგიური ლიტერატურაშიც². ამდენად ბუნებრივია, VIII კლასში რთული წინადადების სწავლებისას გავაცნოთ კიდევ ადვილად დასაძლევე შემთხვევები პერიოდის სახელით ცნობილი რთული წინადადებისა, მისი მთავარი, რთული შემთხვევები კი ლიტერატურის ისტორიის სწავლებისას IX-XI კლასებში უნდა დამუშავდეს.

რადგანაც ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოსა და პროგრამაში პერიოდი არაა წარპოღვენილი და ცალკე საკითხად გამოყოფილი, ამიტომ მის ზოგიერთ შემთხვევას ჩვენ ქვემოთ მხოლოდ სინტაქსურის თვალსაზრისით და სინტაქსური ცნებებისა და ტერმინების მოხმარებით განვიხილავთ.

§ 2. კამდენიმე ერთნაირი დამოკიდებული წინადადება ერთ მთავართან

ერთნაირი დამოკიდებული წინადადებანი დაკავშირებულე არიან მთავარი წინადადების ერთ წევრთან, მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე და მთავარს უერთდებიან ერთი და იმავე საკავშირებლით.


¹ А. М. Зинский и С. Е. Крючкии, М. В. Светлаев, Грамматика Русского языка, ч. II. 1948.

² А. В. Телушов, Методика Грамматического разбора, М. 1949, стр. 270—275.

მაგალიტი: 1. ანზორას მოაგონდა ის დღეები (1), როდესაც ქარივით ან აქ განზღებოდა. ხანი იქ (2), როდესაც მთელს ჩინეთში ლექსს ლექსზე გამოს-ოქვამდნენ, ქებას ქებაზე შეასახადნენ იმას (3) (ყახ. 194).

მთავარია: „ანზორას მოაგონდა ის დღეები“, რომელსაც ახლავს ორი-ერთნაირი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება (2 და 3). ისინი მთავარ წინადადებასთან შეერთებული არიან ერთი და იმავე საკავ-შირებელი სიტყვით („როდესაც“) და მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვა-ზე (რომელი დღეები მოაგონდა?), დამოკიდებული წინადადებანი მისდე-ვენ მთავარს.

ამ წინადადების მარტივი სქემა ასეთია:




რამდენიმე ერთნაირ დამოკიდებულ წინადადებათა ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო დამოკიდებული წინადადების სახეს, არა-მედ იმასაც, თუ რომელი საკავშირებელი სიტყვით არიან ისინი მთავარ-თან შეერთებული. მაგალითად, თუ ზემოთ მოყვანილ წინადადებაში ერთ-ნაირ დამოკიდებულ წინადადებათა ბუნებრივი ადგილი ბოლოშია (მთა-ვარის შემდეგ), „რომელიც“ წევრ-კავშირით შეერთებული ერთნაირი-განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები ჩვეულებრივ მთავარში არიან მოქცეული.

მაგალიტი: 1. ანზორა მოხუცებული, დავრდომილი (1), რომელმაც მთელი ყმა-წვილაკობა გაატარა მამულის დასაცავად ბრძოლაში (2), რომელმაც შესწირა სამი შვილი სამშობლოს თავისუფლებას (3), აწ თავის მარტო ერთი ქალითა-ეალმებოდა თავის ქვეყანას (1) (ყახ. 194).

მთავარია პირველი ნომრით აღნიშნული წინადადება, მეორე (2) და მესა-მე (3) ერთნაირი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებია, რომელ-ნიც მთავართან შეერთებული არიან ერთი და იმავე წევრ-კავშირით („რომელმაც“) და მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე (რომელი ანზო-რა?). ამავე დროს დამოკიდებული წინადადებები მთავარში არიან მოქ-ცეული და ესაა სწორედ ამ ტიპის წინადადებაში მთავარი და დამო-კიდებული წინადადებების დალაგების ბუნებრივი წყობა.

რამდენიმე ერთნაირი დამოკიდებული წინადადება ხშირად თავშია. მთავარი წინადადების წინ.

მაგალიტი: 1. როდესაც ესენი ამ მდგომარეობაში იყვნენ (1), როდესაც სკიპონის მტრის შეუბრალებელი გული თითქმის დამონებოდა მზალვეს ცრემლს (2), — ამ დროს კიმბარიანთ კარს, ნინიას სახლის დერფანში, ერთი აუადმყოფი იწუა და რაღაცას ბოდავდა (3) (ყახ. 49).



მთავარს შეიძლება ახლდეს ორზე მეტი ერთნაირი დამოკიდებული წინადადება.

ერთნაირი დამოკიდებული წინადადებები შეიძლება „და“ კავშირითაც იქნეს შეერთებული (თუ ორზე მეტია, ორი უკანასკნელი) და მაშინ მათ შორის მძიმე ალარ დაისმის. ერთნაირი დამოკიდებული წინადადებები ერთმანეთთან თანწყობით არის შეერთებული.



მაგალითები: 1. ამ სიტყვებზედ შვერთა ვაეია (1), რომელიც სახამთროდ ბინის დასაქერად მიდიოდა ანზორას სოფელში (2) და რომელშიც ამათი...ამბავი არ იცოდა (3). (ყაზ. 252). 2. ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ (1), ხადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო (2), ხადაც თემის საბჭო იყო გამართული (3) და ხადაც ერთზედ ხალხისაგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა (4) (ყაზ. 716).

პირველ წინადადებაში მთავარს ახლავს ორი ერთნაირი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, მეორეში კი—სამი.

ამ წინადადებათა მარტივი სქემები ასეთია:

პირველი წინადადების სქემა

მეორე წინადადების სქემა




ერთნაირი დამოკიდებული წინადადებების „და“ კავშირით შეერთებისას უკანასკნელი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვა შეიძლება ჩავარდეს კიდევც.

მაგალითი: 1. როცა სადილს უკან ლახათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი (1), როცა საღამოზედ ნიაფი ფრთას გაშლიდა (2) და (როცა) ბაჩის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა (3),—მაშინ კენიან დარეჯანი ერთ ბალან-გაკვიენულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდაბურული, წარბებ-აკიმული და გამოპრანკული (4) (კავ. 536).

მთავარი (4) ბოლოშია, სამი ერთნაირი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (1, 2, 3)—თავში; ამითგან უკანასკნელნი (2, 3) და-თი არიან შეერთებულნი და ჩავარდნილია მესამე დამოკიდებული

წინადადების საკავშირებელი სიტყვა „როცა“, რომელიც აქ აღდგენილია და კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

ს ქ ე მ ა




§ 3. რამდენიმე არაერთნაირი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ერთ წმკტთან

ხშირად მთავარი წინადადების ერთ წვევრს (შემასმენელს) ახლავს რამდენიმე არაერთნაირი დამოკიდებული წინადადება.

- მაგალიტები:** 1. რომ დაასრულა ეს ნატერა (1), ნახა (2), რომ ფრთები ესმება (3) (წერ.). 2. მოაუტებელისთვის რომ ამ წაშში თვალი გედევნებინათ (1), უუკვლად შეამწნედით (2), თუ იგი როგორ უძრავად იწვა (3) (არაგ. 11). 3. ჩენ რომ ხესა ვბრეტთ (1), თავშესაფარს ვიკეთებთ (2), რომ დავემალოთ კოდალასთანა გაუმადარ სულიერთა (3) (რახ. 152).

სამივე მაგალიტში მთავარი წინადადება მეორე ადგილზეა. იგი დამოკიდებული წინადადებებით არის გარემოცული. პირველ მაგალიტში მთავარი წინადადების შემასმენელს („ნახა“) ახლავს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (1) და პირდაპირი დამატებითი (3), მეორეში—პირობითი (1) და პირდაპირი დამატებითი (3), მესამეში კი—დროის გარემოებითი (1) და მიზნის გარემოებითი (3) დამოკიდებული წინადადებები. მეორე პარაგრაფში განხილული შემთხვევებისაგან ეს წინადადებები იმით განსხვავდება, რომ აქ წინადადების ერთ წვევრთან (შემასმენელთან) დაკავშირებულია არაერთნაირი დამოკიდებული წინადადებები, იქ კი წინადადების ამა თუ იმ წვევრთან დაკავშირებული იყო ერთნაირი დამოკიდებული წინადადებები. ამავე დროს, ერთნაირი დამოკიდებული წინადადებანი ერთად იყრიან თავს (თავში; შუაში ან ბოლოში), არაერთნაირი დამოკიდებული წინადადებანი კი გარემოიცავენ მთავარ წინადადებას.

სქემაში აქ განხილული შემთხვევა ასე გამოიხატება:



არაერთნაირ დამოკიდებულ წინადადებათაგან მთავარის მიმდევროდამოკიდებული ზოგჯერ უკავშიროდაა შვევრთებული; ეს ჩვეულებრივ


მაშინ ხდება, როცა ორივე დამოკიდებულს მთავართან „რომ“ კავშირი აერთებს.

მაგალითები: 1. თვალში რომ გვახილავ (1), გავიგონე (2), ჩემი პატარა ბიჭი ღრიალებდა (3) (ვაჟა, VI, 310). 2. რომ ფრინველებისათვის გაბედულდება მივცა (1), არწივმა ბრძანა (2), შთაებურათ ბუკ-ნალარისათვის (3) (ვაჟა, VI, 135).

იშვიათად პირველი დამოკიდებული (მთავარის შემასმენელთან დაკავშირებულ არაერთნაირ დამოკიდებულთაგან) მთავარშია მოქცეული, მეორე კი — ბოლოში.

მაგალიტი: 1. მხედარი (1), ბოსტანში დიდ კაკალს რომ დაუახლოვდა (2), შეჩერდა (1), რადგან კაკალქვეშ რამდენიმე ჩამოვარდნილი კაკალი იშოვა (3) (ვაჟა, VI, 237).

სქემა



§ 4. რამდენიმე დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადებას სხვადასხვა წიგნთან

ერთ მთავართან ხშირად დაკავშირებულია რამდენიმე სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება. თუ რამდენიმე დამოკიდებული წინადადება ზემოთ განხილულ შემთხვევებში (§ 3) დაკავშირებული იყო მთავარის ერთ წევრთან — შემასმენელთან, აქ სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებები მთავარის სხვადასხვა წევრთანაა დაკავშირებული. წინადადებათა წყობის მხრივ აქ რამდენიმე შემთხვევაა გასათვალისწინებელი.

ა) მთავარი გარემოცულია სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებებით, ე. ი. წინადადებათა დალაგება ასეთია: დამოკიდებული — მთავარი — დამოკიდებული.


მაგალითები: 1. რაწაშ ნუნუ მოეფარა საალებს (1), მახიმ მოეთმენლად დღუწყო ძახილი ერთ პატარა ბიჭს (2), რომელიც იქვე კოკებს თამაშობდა (3) (ვახ. 270). 2. რაწაშ თავი გავეჯე კარებში (1) დავინახე დიდი, უხარმაზარი ქორი (2), რომელმაც ქათმები მთლად გაგვიჩანა (3) (ვაჟა, VI, 131). 3. როდესაც თემმა შეიტყო ონისეს განხრახვა (1), მან მოიხურვა თავის წვერის ანგარიშის მოთხოვნა და გამოჩენა იმ უფლებისა (2), როდესაც პირად მის შინაურს საქმეებშიაც კი ერეოდა (3) (ვახ. 589). 4. როცა ბატების მწყერივი გათავდა (1), გზაზე გამოჩნდა ორი პატარა გოგოცა (2), რომელთაც მოსდევდათ ერთი შუათანა ტანის შავი მეძებარი ლეკვი (3) (ლომ. 451).

მოყვანილ მაგალითებში მთავარს ახლავს დროის გარემოებითი (1) და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები (3). შეიძლება მთავარის გარემომცველი წინადადებები სხვა სახისაც იყოს.

მაგალიტი: 1. ვადრე მატარებელი სადგურზე მოვიდოდა (1), დამავლური ხალხი ბაქანს მიაწყდა (2), რომ ჩალე დაენახათ თავისი ნათესაევი და მეგობრები (3) (სინტაქსი, 1944, გვ. 171).

მთავარი წინადადება გარემოცულია დროის გარემოებით და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათაგან.

სქემა



ბ) სხვადასხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათაგან ერთი მთავარშია, მეორე კი—ბოლოში.

მაგალითები: 1. ჯაჯალა (1), რომელსაც გაგიყვებით შეჭყარებოდა მათია (2), იტანჯებოდა (1), რადგანაც აშკარად ამჩნევდა მათიასაგან მხალეეს სიყვარულს (3) (ყახ. 26). 2. ყმაწვილი ბიჭი (1), რომელიც იქვე იჯდა (2), გამოვიდა ძაღლს (1), რათა მოეშორებინა ჩვენყენ მომავლის კაცისათვის (3) (ყახ. 165). 3. კობა (1), რომელიც ბაზარში ასცდა თავისწამანაგებს (2), მოულოდნელად შეხვდა ერთს მოხუცს გლახაკს (1); რომელიც მოწყალეობას ითხოვდა (3) (ყახ. 421).¹


სქემა



გ) არაერთნაირ დამოკიდებულ წინადადებათაგან ერთი თავშია, მეორე კი—მთავარში.

მაგალითი: '1. როდესაც გონს მოვედი და არემარეს თვალი გადაეკლე (1), უხარმახარი მთა-ბრიკი (2), რომლის წვერზედაც ნანგრევი ციხეა (3), წინ მქონდა ამართული (2) (არაგ. 84).

სქემა



§ 5. სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებათა


დამოკიდებული წინადადება შეიძლება უშუალოდ მთავართან კი არ იყოს დაკავშირებული, არამედ წარმოადგენდეს დამოკიდებულის დამოკიდებულს. ასეთი ტიპის წინადადებაში მთავართან მიმართების თვალსა-

¹ ამ მაგალითში ორივე დამოკიდებული ერთი სახისაა (განსახლებებით), მაგრამ არაა ერთნაირი, რადგანაც ისინი დაკავშირებული არიან მთავარის სხვადასხვა წვერთან: პირველი (2)—მთავარის ქვემდებარესთან, მეორე (3) კი—მთავარის ირიბ დამატებასთან.

ზრისით იქმნება ხარისხობრივი დამოკიდებულება. მთავარის დამოკიდებულს უწოდებენ პირველი ხარისხის დამოკიდებულს, მთავარის დამოკიდებულის დამოკიდებულს—მეორე ხარისხის დამოკიდებულს და ასე შემდეგ. გავარჩიოთ ამ ტიპის წინადადების რამდენიმე შემთხვევა:

ა) მთავარი პირველი და მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადებებით. წინადადებათა წყობა: მთავარი—I ხარ. დამოკიდებული—II ხარისხის დამოკიდებული.


მაგალითები: 1. არყის ბრჭყვიალა ზეთიან ფოთლებს ნიაზე გაჰქონდათ შრიალი (1), როგორც ყინვისაგან დამხრალი თოვლის ფიფქი შრიალებს ხოლმე (2), როცა ქარი უბერავს და ერთმანეთს აყრის შაქრის ფერფლსავით თეთრსა და ბრჭყვიალა ფიფქსა (3) (რახ. 139). 2. ხალხი დაქვემდებარებით ფიქრობდა (1), რომ მეფედ მჯცელა ამოერჩიათ უსათჯოდ (2), როცა მოხუცი გარდაიცვლებოდა (3) (ვაჟა, V, 325).



შეიძლება წინადადებათა დალაგება გეკონდეს ასეთი წყობით: I ხარისხის დამოკიდებული—II ხარისხის დამოკიდებული—მთავარი.

მაგალითები: 1. როცა უნახავს (1), რომ ხევსური ველარ დაბეწვეაო (2), დაუტაცნია ორავლისათვის ხელა და გაქცეულა (3) (ვაჟა, VI, 835). 2. რადგანაც მამალი გრძნობდა (1), რომ მასთან მეგობრობას ყველა სხვა ფრინველები მორიდებულნი იყვნენ (2), ამიტომ კოვალას უფრო დაუშეჯობრდა (3) (ვაჟა, VI, 214).

ს ქ ე მ ა :




ბ) მთავარი პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დამოკიდებული წინადადებებით.

მაგალითები: 1. სალომემ სწრაფად მოარბენინა ძველის კილობის ნაგლეჯი (1), რომელიც ცოლ-ქმარმა მაგრად დაუცეს ხეს ფულუროში და ზედ ქვები მია-

წყეს (2), რომ უფრო მაგრა დაეცემათ კარები იმ უჩინარი ცხოველისათვის (3),
 ხის ფულუროში რომ განისვენებდა (4) (ვაჟა, VI, 220).

სქემა



პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადება დამოკიდებულია მთავარის მიმართ, მაგრამ ის მთავარია მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადებისათვის. ასევე, მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება მთავარია მესამე ხარისხის დამოკიდებული წინადადებისათვის, მაგრამ დამოკიდებულია პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადებისათვის. მესამე ხარისხის დამოკიდებული წინადადება მოყვანილ წინადადებაში მხოლოდ დამოკიდებულია.

ჩვენს მიერ განხილულ მაგალითებში მთავარისა და სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებების დალაგება, წყობა მარტივია: სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებები მისდევენ ერთიმეორეს. გასაანალიზებლად და სასვენ ნიშანთა დასმის თვალსაზრისით უფრო რთულია ისეთი შემთხვევები, როცა დამოკიდებული (ამა თუ იმ ხარისხისა) თავის მთავარშია მოქცეული.

მაგალითები: 1. გაგონილი ჰქონდა (1), რომ (2), დათვხე რომ გადაჯდეს კაცი და ყურები დაუქიროს (3), დათვი ველარაფერს უხანსო (2) (ვაჟა, V, 130), 2. პაპს დიდ ცოდვად და სირცხვილად მიაჩნია აგრეთვე (1), რომ (2), როცა ნათესავი ან მეგობარი ვინმე დაუხარალებდა (3), ის დროს არ მივიდეს, არ „მიზხედოს“ (2) (ვაჟა, VI, 75). 3. ის კი არ იცია (1), რომ (2), თუ წუთისოდღეს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე (3), ისე გაგთელავს (2), როგორც დიდოელი ნაბადას (4) (ვაჟ. 425).

მოყვანილ მაგალითებში მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება მოქცეულია პირველი ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც მისთვის მთავარია. ანალოგიურ შემთხვევებში შეიძლება ამა თუ იმ ხარისხის დამოკიდებული წინადადების კავშირი (რომ, თუ) ჩავარდეს კიდევ და თავის მთავარს უკავშიროდ შეუერთდეს. ეს გარემოება ამ ტიპის წინადადებას კიდევ უფრო ართულებს და აძნელებს მის ანალიზსა და სასვენ ნიშანთა დასმას. ამის ორიოდ მაგალითს აქვე მოვიყვანთ (ჩავარდნილი კავშირები აღდგენილია და კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული).

მაგალითები: 1. ხალხი ბერიძეხ იმასაც ამბობდა (1), [რომ] (2), როცა გაემართებოდა სალაშქროდ (3), წაუძღვებოდა ლაშქარს ხელში დროშით ქისტეთის დასარბევად (2) (ვაჟა, VI, 320). 2. ისე ვიყავით ამ საქმეში გართულები (1), რომ სრულებით ვერ შევნიშნეთ (2), [თუ] ერთი ხელთუბნელი (3), რომელსაც სახელად ჯილვარდს ეძახდნენ (4), თავზე როგორ წამოგვადგა (3) (რაზ. 191).

¹ გამოცემებში, საიდანაც მოყვანილი მაგალითებია ამოღებული, რომ-ის შემდეგ მძიმე (,) არაა დასმული.

§ 6. თანადამოკიდებელი წინადადებათა სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებათი

მთავარის რამდენიმე ერთნაირ ან არაერთნაირ დამოკიდებულ წინადადებათ შეიძლება ახლდეს სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადება. განვიხილოთ ამ ტიპის წინადადების რამდენიმე შემთხვევა:

ა) მთავარის ერთნაირ დამოკიდებულ წინადადებათაგან ერთ-ერთს ახლავს მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება.


მაგალითი: 1. როდესაც პურმარილმა (1), რომელსაც ისეთი მნიშვნელობა აქვს მთის ხალხში (2), რამდენიმედ დააკავშირა ისინი (1), როდესაც ყალიონებს მოუკიდეს (3), ფარჩომ პირველმა დაიწყო (4) (ყახ. 335).

მთავარი წინადადებაა: „ფარჩომ პირველმა დაიწყო“. იგი ბოლოშია. მასთან უშუალოდ დაკავშირებულია ორი ერთნაირი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება: 1. „როდესაც პურმარილმა რამდენიმედ დააკავშირა ისინი“; 2. „როდესაც ყალიონებს მოუკიდეს“. ამათგან ერთ-ერთს, სახელდობრ პირველს („როდესაც პურმარილმა რამდენიმედ დააკავშირა ისინი“), ახლავს განსაზღვრებითი დამოკიდებული („რომელსაც ისეთი მნიშვნელობა აქვს მთის ხალხში“), რომელიც მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადებაა და განსაზღვრავს პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეს („პურმარილმა“). მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება მოქცეულია თავის მთავარში, ე. ი. პირველი ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაში.

ბ) მთავარის ერთნაირ დამოკიდებულ წინადადებათაგან ორივეს ახლავს მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება.

მაგალითი: 1. როცა დაინახა მგზავრი (1), რომელიც მგლურის ნაბიჯით მიდიოდა (2), როცა დაინახა უკან მიმავალი ცხენოსნები (3), რომეჯნიც მზიარულად მიაქროლებდნენ თავიანთ ბედაურებს (4), მწყემსს სახეზე რაღაც იღუმალი მღელვარება გამოეხატა (5) (ყახ.).


სქემა



გ) არაერთნაირ დამოკიდებულ წინადადებათაგან ერთ-ერთს ახლავს სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადება.

მაგალიტი: 1. როდესაც მიუაღოვდა ურბებს (1), ის წამოდგა და უშიშრად შევიდა ჩენელებთან (2), ხადაც კითხვა-კითხვით ჩქარა იპოვა ანზორას ურემი (3), როშელშიაჲც ავღარს შეჭფარებოდა ელისო (4) (ყახ. 215).

სქემა





ამ ტიპის წინადადებაში ზოგჯერ, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებშიც, დამოკიდებული წინადადება შეიძლება თავის მთავარში იქნეს მოქცეული.

მაგალიტები: 1. როდესაც მარხილი გაუსწორდა (1), დაინახა (2), რომ ონისეს (3), რომელიც თითქოს სიცივეს მოჭფარებოდა (4), თავი ნაბადში ჩაეყო (3) (ყახ. 700). 2. ანზორამ (1), რომელსაც ცხენის სადავეები მისცა ხელში (2), კითხვა აღარ გაიმეორა (1), რადგანაც მოზხვის სიბრთხილე, მოკლე სიტყვები და ბრძანებლობის კილო ამტკიცებდა (3), რომ ისინი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ (4) და მეტი კითხვა კი მეტი დროს დაკარგვა იქნებოდა (5) (ყახ. 217).

I წინადადების სქემა


II წინადადების სქემა



დ) არაერთნაირ დამოკიდებულ წინადადებათაგან ორივეს ახლავს მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება.

მაგალიტი: 1. როდესაც ონისემ გაიგო (1), რომ ბეცია შინიღამ მოდიოდა (2), ყურები ატკიბდა (3), რადგანაც იცოდა (4), რომ ეს კაცი მწყემსად გელას ედგა (5) (ყახ. 578).

სქემა



X. ზერთული წინადადება

§ 1. ზერთული წინადადების ჩაობა და სწავლების ადგილი

„ურთიერთობა რთული წინადადების ნაწილებს შორის მრავალფეროვანია, განსაკუთრებით მხატვრულ პროზაში, პუბლიცისტურსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. ხშირად გვხვდება ისეთი რთული წინადადებაც, რომ შერეული სახისა იყოს: შიგ თანწყობასაც ჰქონდეს ადგილი და ქვეწყობასაც“¹. ამ ტიპის წინადადებას პროფ. ა. შანიძე „ზერთულს“ უწოდებს.

რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა ცალ-ცალკე შესწავლის შემდეგ საესებით ბუნებრივია მოსწავლეებს ზერთული წინადადების ძირითადი შემთხვევებიც გაეაცნოთ: პირველ რიგში — მარტივი, შემდეგ კი — უფრო რთული. სახელმძღვანელოში გაანალიზებული მაგალითი (§ 159) საკმაოდ რთულია. ამიტომ ზერთული წინადადების ჩაობა მასწავლებელმა შედარებით უფრო მარტივი აღნაგობის წინადადების საფუძველზე უნდა გაეცნოს და შემდეგ სინტაქსური გარჩევისა და თანამიმდევრული ვარჯიშობით მისი უფრო რთული შემთხვევებიც დაამუშაოს. მასწავლებელი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ სავარჯიშო მასალით, რომელიც სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი. მან მუშაობა უნდა გაამრავალფეროვანოს, რათა მოსწავლისათვის ნათელი გახდეს ზერთულის ძირითადი შემთხვევები და ამავე დროს გალრმავდეს და განმტკიცდეს თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა შესწავლით მიღებული ცოდნა-ჩვევანი.

§ 2. ზერთული წინადადების ძირითადი შემთხვევები

ზერთული წინადადება მრავალფეროვანია: ამავე დროს ზერთული წინადადების რომელიმე „ნაწილი (თანწყობილი თუ ქვეწყობილი, ან ორივე ერთად) შეიძლება შერწყმულიც იყოს, თანაც შეიძლება ერიოს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები“². აქ ჩვენ განვიხილავთ ზერთული წინადადების რამდენიმე ძირითადს შემთხვევას, რათა მასწავლებელს საშუალება ექნეს მის სწავლებას სწორი ხელმძღვანელობა გაუწიოს.

ა) რთული თანწყობილი წინადადების წევრ წინადადებათაგან უკანასკნელს ახლავს დამოკიდებული წინადადება.

მაგალითები: 1. იაგო, კობა და ფარხო ცხენებზედ შესხდნენ (1), ელბერდი და ვფხია კი ქვეითები გაჰყენენ (2), რადგანაც იმათი ახრით ქვეითად მგზავრო-

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, 1949, გვ. 171.


² იქვე, გვ. 171.

ბა უფრო მარჯვეც იყო და მალეც (2) (ყახ. 383). 2. გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა (1) და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ტყეის ფერი ღრუბელი (2), რომელიც მწუხრის ხეწარსავით აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს (3) (ყახ. 710).

პირველ წინადადებაში მთავარია: „იავო, კობა და ფარჩო ცხენებზედ შესხდნენ (1), ელბერდი და ეფხია კი ქვეითები გაჰყვნენ“. ეს წინადადება თანწყობილია; მისი ორივე ნაწილი შერწყმულია ქვემდებარეების მიხედვით. თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს („ელბერდი და ეფხია კი ქვეითები გაჰყვნენ“) ახლავს მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც შერწყმულია აგრეთვე. მეორე წინადადებაში მთავარია: „გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა (1) და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ტყეის ფერი ღრუბელი (2)“. ეს წინადადებაც თანწყობილია. პირველი წინადადება („გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა“) შერწყმულია განსაზღვრებების მიხედვით. მეორე კი („მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ღრუბელი“) — მარტივი, რომელსაც ახლავს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება; დამოკიდებული წინადადება, თავის მხრივ, შერწყმულია პირდაპირ დამატებითა მიხედვით.

პირველი წინადადების სქემა

მეორე წინადადების სქემა




თანწყობილი წინადადება ორივე შემთხვევაში კავშირიანია. პირველ მაგალითში თანწყობილის ნაწილებს აპირისპირებს „კი“, მეორე წინადადებაში კი მათ აერთებს „და“.

ამ ტიპის წინადადება შეიძლება უფრო გართულებული სახითაც შეგვხედეს, რასაც ქმნის ზერთულში შემავალ წინადადებათა წყობა, მათი დალაგება.

მაგალიტი: 1. ამ შემთხვევამ მათია ცოტაოდენი გაართო (1). მაგრამ (2), რაწანს ბრძოლას მორჩა და ფათერაკი აიციდინა (3), იმის აზრები ისევ მხალეუს მიუბრუნდა (2) და გულმა შფოთვა დაუწყო (4) (ყახ. 75).

ამ ზერთულ წინადადებაში თანწყობით სამი მარტივი წინადადებაა შეერთებული (1—2—4); ამათგან მეორეს (2) ახლავს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (3).

სქემა




დამოკიდებული წინადადება შეიძლება ახლდეს პირველსა.

მაგალითი: 1. ხალხმა იცოდა (1), რომ მოქალაქე ვიღაც უხედიერი ქალი ჰყვანდა შეფარებული (2), მაგრამ მისი ვინაობის გამოკვლევას ვერაფერი ჰბედავდა (3) (ყაზ. ს18). 2. პილაფაც საზრდოს ზიდავს (1), რომ გააყოს თავის ბინა (2), და ფუტკარიც მიხეხუნებს ყვავილისკენ თაფლისთკინა (3) (ერ.).

თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილს („ხალხმა იცოდა“) ახლავს პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება. მეორე წინადადებაში პირველ ნაწილს ახლავს მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

სქემა



ბ) თანწყობილი წინადადების ნაწილთაგან (წინადადებათაგან) ერთ-ერთს ახლავს სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადება.

მაგალითი: 1. ელგუჯამ ქალი წაიყვანა, ცაგი კი მახამეთას გაუძღვა სასტუმროში¹ ხადაც უნდოდა ფირფასის სტუმრისათვის თავი მოეკონა, თაა, ცოტაც არის, უფრო იაფად დაესვა ახლად მთქვა. ილია ქალი (ყაზ. 5).


პირველი („ელგუჯამ ქალი წაიყვანა“) და მეორე („ცაგი კი მახამეთას გაუძღვა სასტუმროში“) წინადადება რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებია. ამათგან მეორეს ახლავს I და II ხარისხის დამოკიდებული წინადადებები.

გ) თანწყობილი წინადადების ნაწილთაგან ერთ-ერთს ახლავს რამდენიმე არაერთნაირი დამოკიდებული წინადადება.

მაგალითი: 1. ხშირი და გაერთებული შავი წარბები, ნათკად შვარულს შებლთან ერთად, უფრო მოპეტებულს სიმკაცრის ბეჭედს ასვამდნენ იმის ისეც უსიამოვნო სახეს (1) და რამდენიმე ხაზი (2), რომელნიც¹ თვალის კილოებიდან სხვადასხვა მხარეს შექსავით იბნეოდა² (3), აშკარად გიჩვენებდნენ (2), რომ ცხოვრებაში მოთმინების მიმყოლი არ უნდა ყოფილიყო (4) (ყაზ. 728).

თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს („რამდენიმე ხაზი აშკარად გიჩვენებდნენ“) ახლავს ორი დამოკიდებული წინადადება (3—4), რომელთაგანაც ერთი (3) განსახლვრებითია და მთავარშია, მეორე დამოკიდებული წინადადება (4) პირდაპირი დამატებითია და ბოლოშია.

სქემა




¹ ტექსტში სწერია „როკელიც“.

გ) თანწყობილი წინადადების ნაწილთაგან ორივეს ახლავს დამოკიდებული წინადადება.

მაგალითი: 1. მოკვდეს ის კაცი (1), ვინც მოძმეს ვერ გაიტანს (2), შერცხვეს ის ქუდოსანი (3), ვინც მეზობელს ღალატად შეადგების (4) (ყაზ. 719).

სქემა



ამ ტიპის წინადადების უფრო რთული შემთხვევები გვაქვს, როცა წინადადებათა დალაგება სხვაგვარია.

მაგალითები: 1. ქალებს ისე შეეშინდათ (1), რომ გაქცეუაჲ კი დააპირეს (2); მაგრამ (3), რა ნხალემ თვალი შეჰკრა და იცნო (4), სიხარულით გაექანა (3) (ყაზ. 71). 2. როდესაც სალდათები დასაფლავეს (1), ყველანი წავიდ-წამოვიდნენ (2), მაგრამ (3), რაწამს ფეის ბმა მიწყნარდა (4), ტყიდგან გამოვიდა ერთი მოხუცებული, ქალარაშერთული კაცი (3) (ყაზ. 34).


პირველ წინადადებაში მთავარია: ქალებს ისე შეეშინდათ (1), მაგრამ სიხარულით გაექანა (3). ეს წინადადება თანწყობილია. მის პირველ ნაწილს (1) ახლავს ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (2), რომელიც მისდევს თავის მთავარს. მეორე ნაწილს (3) ახლავს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც თავის მთავარშია მოქცეული, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისდევს მაპირისპირებელ კავშირს („მაგრამ“-ს). მეორე წინადადებაში მთავარია: „ყველანი წავიდ-წამოვიდნენ (2), მაგრამ ტყიდგან გამოვიდა ერთი მოხუცებული, ქალარაშერთული კაცი“ (3). ეს წინადადებაც თანწყობილია. მის პირველ ნაწილს (2) ახლავს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (1), რომელიც უსწრებს წინ თავის მთავარს. მეორე ნაწილსაც (3) ახლავს აგრეთვე დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (4), რომელიც, მსგავსად პირველი წინადადებისა, თავის მთავარშია მოქცეული, მაპირისპირებელი „მაგრამ“ კავშირის შემდეგ. ორივე მაგალითში ერთად იყრის თავს მაპირისპირებელი „მაგრამ“ და მაქვემდებარებელი „რა“ და „რაწამს“ (პირველ წინადადებაში გვაქვს: მაგრამ რა, მეორეში—მაგრამ რაწამს. ასეთ შემთხვევებში მაგრამ-ის შემდეგ ხშირად მძიმეს (,) არ წერენ, საჭირო კია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქ განხილულ სამივე წინადადებაში ქვეწყობილ წინადადებათა თანწყობასთან გვაქვს საქმე.

ღ) თანწყობილი წინადადების ნაწილთაგან პირველ ნაწილს ახლავს ერთი დამოკიდებული წინადადება, მეორე ნაწილს კი—პირველი და მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადებები.

მაგალითი: 1. კიდევ ბერს ლაპარაკობდა ონისე (1). რომელიც თანდათან სუსტდებოდა და წყნარდებოდა (2), მაგრამ იმას უფრო აღარავინ უგდებდა (3), რადგანაც ყველანი საშვი მდგომარეობაში იყვნენ და იმ ადგილისაკენ მიესწრაფოდნენ (4); სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულყო (5) (ყაზ. 742.).


სქემა



ე) თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილს ახლავს ორი სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება, მეორეს კი—პირველი და მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადებები.

მაგალითი: 1. ექიმი (1), რომელიც დაუყენეს იაგოს (2), იმედობდა (1), რომ რამდენსამე დღეზედ ფეხზედ წამოაყენებდა ავადმყოფს (3), და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს (4), რადგანაც უწარმოუთქმელად გული ეღრინებოდა. გირგოლაზედ (5), რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში (6) (ყაზ. 347)

სქემა



ზერთული წინადადება, როგორც ვიცით, შეიძლება გართულდეს, ერთი მხრივ, განკერძოებული სიტყვებითა და გამოთქმებით, მეორე მხრივ კი, ქვეწყობისა და თანწყობის შერევის უფრო რთული შემთხვევებით, ვიდრე ეს ზემოთ არის წარმოდგენილი. ზოგჯერ ზერთული წინადადება იმდენად რთული აღნაგობისაა, რომ მისი სინტაქსური ანალიზი არც თუ ადვილია: ასეთი წინადადების დაშლა, დანაწევრება გარკვეულ კანონზომიერ სინტაქსურ ერთეულებად და ამ ერთეულთა შორის სინტაქსური დამოკიდებულებების ნათლად დადგენა ძნელდება. ასეთ შემთხვევებზე მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ ერთგვარი ზოგადი მითითება, მაგრამ VIII კლასში მათზე საგანგებოდ ვერ შევჩერდებით.

ზერთული წინადადების შემთხვევები, რომელნიც ზემოთ გვაქვს განხილული, ჩვენი აზრით, მასწავლებელმა ძირითადად პრაქტიკული ვარჯიშობის დროს უნდა გაითვალისწინოს. განსაკუთრებით ხელსაყრელია სქემების გამოყენება. იგი სინტაქსის სწავლებისას თვალსაჩინოების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

სქემებში, რომლებიც ჩვენ რთული წინადადების განხილვისას გზა-დაგზა გვაქვს მოცემული, ნათლად ჩანს მთავარ და დამოკიდებულ წინა-დადებათა ადგილი, სასვენი ნიშნები, საერთოდ რთული წინადადების მექანიზმი. ამ სქემებს ახლავს ერთგვარი ნაკლიც,—ეს ისაა, რომ სქემაში არ ჩანს დამოკიდებული წინადადების სახე. რა თქმა უნდა, შეიძლება აღინიშნოს დამოკიდებული წინადადების სახე, კითხვა და საკავშირებელი სიტყვაც. სქემაში თავ-თავის ადგილას შეიძლება ჩაიწეროს რთული წინადადების ნაწილებიც.

მოსწავლე კარგად უნდა დაეუფლოს სქემის შედგენასა და მის წაკითხვას. თუ მოსწავლემ სწორად შეადგინა ამა თუ იმ წინადადების სქემა,—ეს იმას ნიშნავს, რომ მას შეგნებულად აქვს გააზრებული წინადადების აღნაგობა, მისი მექანიზმი. ამიტომ პრაქტიკული ვარჯიშობისათვის კარგია მივცეთ მოსწავლეს ესა თუ ის წინადადება და დაევალოთ შეადგინოს სათანადო სქემა, ანდა მივცეთ სქემა და დაევალოთ სქემის შესაბამისი წინადადების შედგენა და სხვ. სქემების შედგენისას შეიძლება ფერებიც იქნეს გამოყენებული...

გზადაგზა უნდა დამზადდეს დიდ ქალაქებში სანიმუშოდ გაფორმებული სქემები, გაიკრას კლასში საკირო შემთხვევაში, შემდეგ კი შენახულ იქნეს საგნის მასწავლებლის მიერ. თუ სკოლას აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, ცხადია, სანიმუშოდ შესრულებული სქემები კაბინეტში გაიკვრება.

სქემები ფართოდ უნდა გამოვიყენოთ განმეორების, აღრიცხვისა და გამოცდების დროსაც.

XI. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

(სხვათა სიტყვა)¹

§ 1. წინასწარი შენიშვნები

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი უკანასკნელი თავია მერვე კლასის აინტაქსის კურსში, თანაც რთული პუნქტუაციურად. თავისთავადაც, პირდაპირ და ირიბ ნათქვამთან დაკავშირებით ქართულში ზოგიერთი საკითხი სადავოა და გარკვევასა და დაზუსტებას მოითხოვს. ამიტომ ამ თავის სწავლებისას სკოლაში ბევრი სიძნელე იჩენს თავს.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის შესწავლას, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ი. ვ. უსტრიცკი,² დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სწორ პუნქტუაციურ ჩვევათა განომუშავებისათვის მოსწავლის მიერ პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გამოყენებისას. არამედ მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის გამდიდრების, ამადლებისა და განვითარებისათვის: მოსწავლე უნდა დაეუფლოს თავის ზეპირსა და წერიტს მეტყველებაში სხვისი ნათქვამის პირდაპირი და ირიბი ფორმით გამოყენებას, ადვილად და სწორად შესცვალოს პირდაპირი ნათქვამი ირიბად და პირიქით, ისარგებლოს ციტატებით და სხვ.

ზოგიერთი ცნობა პირდაპირ და ირიბ ნათქვამთან დაკავშირებით მოსწავლეებს მიღებული აქვთ წინა კლასებში, მათთვის ნაცნობია ის სასუენი ნიშნებიც (ტირე, ორწერტილი და სხვა), რომელთაც ჩვენ პირდაპირ და ირიბ ნათქვამთან დაკავშირებით ვიყენებთ. აქ ისინი ამ ნიშანთა ახალ, დამატებითს ფუნქციას ეცნობიან.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის დამუშავება ფართოდ უნდა დაუკავშირდეს ლიტერატურულ კითხვასა და შემოქმედებითს თხზულებებს.

ამ თავის დამუშავებისას საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი საკითხები

1. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის რაობა.
2. სხვათა სიტყვის ნაწილაკების სწორად გამოყენების დაუფლება.

¹ პირდაპირი და ირიბი ნათქვამის აღსანიშნავად ძველ გრამატიკებში საყოველთაოდ იყო გავრცელებული ტერმინი: „მოტანილი წინადადება“. დღეს „პირდაპირი და ირიბი ნათქვამის“ პარალელურად გვხვდება ტერმინები: „სხვათა სიტყვა“, „პირდაპირი და ირიბი სიტყვა“, „პირდაპირი და ირიბი მეტყველება“...

² И. В. Устрицкий, „Прямая и косвенная речь“, კრებულში: „Методические разработки по грамматике“. 1949, стр. 330.

3. სასვენი ნიშნები ავტორის სიტყვებთან მიმართებით პირდაპირი ნათქვამის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევაში.

4. პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაქცევა და ირიბისა—პირდაპირად.

5. სასვენი ნიშნები ირიბ ნათქვამთან დაკავშირებით.

§ 2. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის რაობა

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი მოსწავლეებს შეპირისპირების გზით უნდა გავაცნოთ, მაგალითად:

პირდაპირი ნათქვამი:

ბულბულმა თქვა: „მე არა ვარ
მეომარი და სისხლის
მღვრელი“ (ვაჟაძანი).

ირიბი ნათქვამი:

ბულბულმა თქვა, რომ ის არაა
მეომარი და სისხლის
მღვრელი.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის შეპირისპირებით ნათლად ჩანს: ა) პირდაპირი ნათქვამი ამ შემთხვევაში უკავშიროს ქვეყნობილი წინადადებას, ირიბი ნათქვამი კი—კავშირიანი; ბ) პირველ შემთხვევაში ბულბულის ნათქვამი სიტყვა-სიტყვითაა გადმოცემული, განმეორებული, სიტყვა თვით-მოქმედ გმირს (ბულბულს) ეკუთვნის. მეორე შემთხვევაში მთქმელი, ავტორი, ბულბულის ნათქვამის აზრს გადმოგვცემს შეცვლილის ფორმით, თავისი სიტყვებითა და თვალსაზრისით: ზმნის პირველი პირის ფორმა (ვარ) ირიბ ნათქვამში მესამე პირის ფორმითაა შეცვლილი.

პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაქცევა ყოველთვის არ ხერხდება. ასეთ მაგალითებს პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გაცნობისას არც ვუხეზობთ. პირველად, ცხადია, ისეთ ნიმუშებს ვარჩევთ, როცა პირდაპირი ნათქვამი ადვილად გადაკეთდება ირიბად და ადვილადვე ხერხდება მათი შეპირისპირების გზით მსგავსებისა და განსხვავების დადგენა. რამდენიმე მაგალითის ამგვარი შეპირისპირების შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევთ კიდევ დასკვნის სახით მათი რაობის ფორმულირებას, სახელდობრ: თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი აზრი) სიტყვა-სიტყვითაა უცვლელად გამეორებული და გამოთქმული, პირდაპირ ნათქვამი ჰქვია; თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი აზრი) არაა სიტყვა სიტყვით, უცვლელად, გამეორებული. არამედ მთქმელის მიერ სხვისი ნათქვამის აზრია გადმოცემული თავისივე სიტყვებითა და თვალსაზრისით, ე. ი. შეცვლილის ფორმით, ირიბი ნათქვამი ეწოდება.

სხვათა სიტყვის გადმოსაცემად ქართულში მოიპოვება ნაწილაკები: **მეთქი, თქო** (თქვა) და **ო**, რომელთაც სხვათა სიტყვის ნაწილაკებს უწოდებენ. „მეთქი“ (მე ვთქვი) აღნიშნავს თავისი (1 პირის) ნათქვამის ან თავისი განაზრახი თუ ნათქვარი აზრის გამომხატველი სიტყვების განმეორებას.

მაგალითები: 1. მე მეშინოდა: ვინ იცის, ჩემის დედის სისხლით აქვს-მეთქი გამორული ლაშ-პირი (ვაჟი). 2. ამ ერთმა შაშვმა როგორ შევაშინა-მეთქი,—ქჯა-ვრობდი (რაზხ.) 3. ვადმოუხტი ბუდიღან, იქნება ვინმემ რამე მოგვიტანა-მეთქი (რაზხ.). 4. ახ, ერთი ის საკრავი ნეტაჲ ჩემი იყოს-მეთქი,—უიფიქრე (რაზხ.) 5. გოთხარ—კალმით ნახატია-მეთქი (ქავ. 146).

„ო“ ჩვეულებრივ სხვისი, III პირის ნათქვამის აღსანიშნავად ირის გამოყენებული.

მაგალითები: 1. პაწიავ, გაგვაგებინე, ვინ არის დედაშენიო?—რა ექნა. განა არ იცითო? (გოგ.). 2. სამ დღეს უკან ბიჭმა პასუხი მოუტანათ, რომა თქვენზედ ხატია გამწყრალიო, მერე რომელი ხატი? თელეთისაო, ასე სთქვა მკითხველმა (ქავ. 389).

„მეთქი“ იხმარება მარტო ზმნის I პირის მხ. რიცხვის ფორმასთან¹. პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმასთან იხმარება „ო“.

„თქო“ (თქვა) აღნიშნავს პირველი პირის დანაბარევი სიტყვას, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს.²

მაგალითები: 1. ჯაჯან, გაიქე, დედაშენს უთხარი, ერთი პური გვასესთქო (ლომ. 57). 2. უთხარი, ძალიან დიდი საქმე აქვს. უეკეულად ამაღამ ჩამოდი-თქვა (ნინ.). 3. მძივებელი გკითხავს, ვინ მოგცა ვე მოწმობები? თქვენ უპასუხეთ, ღვდელმა მოგცა-თქვა, ვინ შეადგინაო, თუ გკითხონ, ღვდელმა შეადგინა და მე ვადამაწერია-თქვა, ასე უთხარი შენ, სოფონა, გვსმის? (ნინ).

ო უშუალოდ დაერთვის ნათქვამს, მეთქი და თქო (თქვა) კი დედისით გამოეყოფა. მართლწერის საკითხი ამ ნაწილაკებთან დაკავშირებით რამდენადმე მარტივად წყდება. სადავოა ოლონდ ამ ნაწილაკების ფუნქცია: პირდაპირი ნათქვამის ნაწილაკებია მეთქი, თქო და ო, თუ ირიბისა? ი. სიხარულიძის გრამატიკაში ეს ნაწილაკები არაპირდაპირი სიტყვის ნაწილაკებად არის მიჩნეული:³ უმაღლესი სკოლების თანამედროვე ქართული ენის პროგრამაშიც⁴ ეს ნაწილაკები ირიბი სხვათა სიტყვის ნაწილაკებად არის ჩათვლილი. პროფ. ა. შანიძის სასკოლო გრამატიკაში (სინტაქსი, 1949) კი პირდაპირი ნათქვამის ნაწილაკებად. ასევე პროფ. გ. ახვლედიანის ქართული სკოლებისათვის შედგენილ რუსული ენის გრამატიკაში ეს ნაწილაკები პირდაპირი სხვათა სიტყვის ნაწილაკებადაა გაგებულნი: „ქართულში უპირატესობით სარგებლობს პირდაპირი მეტყველების გადმოცემა ავტორის მიერ უცვლელად, მხოლოდ მეთქი, თქო და ო ნაწილაკების მიმატებით“.⁵ ეს ნაწილაკები ქართულში უმეტესად მართლაც პირდაპირ ნათქვამს დაერთვიან და არა ირიბს. სკოლაში, ბუნებრივია, უნდა მივყვეთ იმ გაგებას, რომელიც სახელმძღვანელოშია მოცემული.

¹ ა. შანიძე, სინტაქსი, 1949, გვ. 179.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I, 1949, გვ. 227.

³ ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1937, გვ. 132.

⁴ თანამედროვე ქართული ენის პროგრამა, თბილისი, 1948, გვ. 11.

⁵ პროფ. გ. ახვლედიანი, Ученый грамматический русский язык для русских школ, 1941, стр. 383.

„მეტქი“ და „თქო“ ნაწილაკების გამოყენებასთან დაკავშირებით საკი-
როა უურადლება გამახვილდეს მათი სწორად გამოყენების შესახებ. ჯერ
კიდევ პ. კვიციანიძე შენიშნავდა, რომ ხშირად ვერ არჩევენ ამათ
ხმარებას და ორივე შემთხვევაში „თქო“ ნაწილაკს ხმარობენო.¹ „მეტქი“
ნაწილაკის ნაცვლად „თქო“ ნაწილაკის შეცდომით გამოყენება შეინიშ-
ნება დღესაც, ამიტომ ამ ნაწილაკების სწორად გამოყენების ჩვევის გამო-
სამუშაებლად მასწავლებელმა უურადლება სათანადოდ უნდა გაამახვი-
ლოს, განსაკუთრებით პრაქტიკული ვარჯიშობის გზით.

§ 3. პირდაპირი ნათქვამი

პირდაპირი ნათქვამი ავტორის სიტყვებთან მიმართებით მრავალფერო-
ვანია, თანაც რთული პუნქტუაციურად. პირდაპირ ნათქვამის სხვადა-
სხვა შემთხვევა შერჩეულ ნიმუშებზე პუნქტუაციის საკითხების გათვა-
ლისწინებით მოსწავლეებს თანდათანობით უნდა გაეაცნოთ, რისთვისაც
ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სქემები. რომელნიც პირდაპირი ნათქვამის
ყველა შემთხვევის გაცნობის შემდეგ სასურველია ერთ საერთო პლაკა-
ტზე გაკეთდეს.

პირდაპირი ნათქვამი საზოგადოდ ბრკეალებში ჩაისმის, მაგრამ აქ
პირდაპირი ნათქვამის ავტორის სიტყვებთან მიმართებით გასარჩევია
რამდენიმე შემთხვევა:

ა) თუ ნაწერში ჩართულია პირდაპირი ნათქვამი (ისე, რომ არაა სი-
ტყვიერი მითითება პირდაპირი ნათქვამის შესახებ), ის ბრკეალებში
ჩაისმის.

მაგალითი: 1. იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოველი. მშვენიერი საღამო
იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერის სანახავე-
ბის ხილვითა. ოხ, საქართველო!

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ოთახიდან გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინ-
ვარსა, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან (ჭავ. 255).

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?“ გრ. ორ-
ბელიანის პოემა „საღმებგრძელოდან“ არის აღებული. მართალია, ილია
არ მიუთითებს წყაროზე, საიდანაც ეს სიტყვებია აღებული, მაგრამ მათი
ბრკეალებში ჩასმით იმას აღნიშნავს, რომ ეს სიტყვები მას არ ეკუთვნის.

პირდაპირი ნათქვამის აღსანიშნავად ვიხმაროთ ასეთი პირობითი ნი-
შანი: , ავტორის სიტყვების აღსანიშნავად კი—ასეთი:

ბ) თუ ჯერ ავტორის სიტყვებია და შემდეგ პირდაპირი ნათქვამი,
ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი იწერება, პირდაპირი ნათქვამი
კი ბრკეალებში ჩაისმის.

¹ პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, 1888, გვ. 146.

მაგალითი: შოთა წერს: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.
სქემა

—: „□“:

გ) თუ პირდაპირი ნათქვამი უსწრებს წინ ავტორის სიტყვებს, პირდაპირი ნათქვამი ბრკეალებში ჩაისმის, მის შემდეგ კი მძიმესა (,) და ტირეს (—) ეწერო.

მაგალითი: „სჯობ სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“,—წერს შოთა
სქემა

„□“: —

დ) თუ პირდაპირი ნათქვამი კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი ან კითხვით-ძახილის წინადადებაა, მაშინ პირდაპირი ნათქვამის შემდეგ რჩება ის ნიშანი (კითხვითი, ძახილის ან ორივე ერთად), რომელიც დასმული აქვს ბოლოში პირდაპირ ნათქვამს, ავტორის სიტყვები მისგან ტირეთი გამოიყოფა.

მაგალითები: 1. „ვერ მიმასწავლებ კული-გორის გხას?“—ჰკითხა თამამად მან მეურომესა (ქავ. 148). 2. „შენა არა გაქვს?“—ჰკითხა სტუმარმა. (ქავ. 191). 3. „ახ, ნეტავი შენი“—წაიდუღუნა. (ქავ. 149). 4. „გამოიციან?“—სთქვა უნიშის მოგებით დაოუჯანმა. (ქავ.).

სქემა

„□“?! ?! —

ე) როცა ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამშია მოქცეული, გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

1. თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამში მოხვდა იქ, სადაც ავტორის სიტყვების გარეშე არაა საჭირო არაერთი ნიშანი, ან (არის მძიმე (,)), წერტილმძიმე ან ორწერტილი, ავტორის სიტყვები პირდაპირი ნათქვამისაგან ორივე მხრიდან მძიმეებითა და ტირეებით გამოიყოფა, წინადადების ბოლოს კი რჩება ის ნიშანი, რომელიც ძოჲდის პირდაპირ ნათქვამს; წინადადება მთლიანად ჩაისმის ბრკეალებში.

მაგალითები: 1. „სად იყავი, შეილო,—ჰკითხა მერე დედამ,—რომ გგრე დაილაღე?“. 2. „ეგ,—თქვა პეტრემ,—არ არის ცუდი“. 3. „ქაბლის ტყეში, შეილო,—დაიწყო ბიძამ რიხიანად,—ერთი ირემი მოვკალ“. (ვფა, V, 65).

სქემა

„□“ . — „□“ (? ! ? !)

1 სქემაში¹ ასეთი პირობითი ნიშნით გამოხატულია ის, რომ წინადადება გაწყვეტილია ავტორის სიტყვებით.

2. თუ პირდაპირ ნათქვამში ავტორის სიტყვების გარეშე წერტილია საკი-
რო, ავტორის სიტყვების წინ მძიმე და ტირე იწერება, ავტორის სიტყ-
ვების შემდეგ კი წერტილი და ტირე, წინადადების ბოლოს ის ნიშანი,
რომელიც მოულის პირდაპირ ნათქვამს.

მაგალიტი: 1. „წიგნი ჩენი მეგობარია!—თქა მან აღტაცებით.—მოსწაულე
ყოველდღიურად უნდა კითხულობდეს წიგნს, რადგანაც წიგნი ცოდნის წყაროა“.
2. „მე კახელი არ გახლავარ.—მოჰყა კლავ მცირე ჩაფიქრების შემდეგ.—ჩემი
მიწა-წყალი, როგორც მოგახსენეთ, აქედამ შორს არის“. (კავ. 268).

სქემა

„ . — — — — — „ “ (? ! ?).

3. თუ პირდაპირ ნათქვამში ავტორის სიტყვები ჩართულია იქ, სადაც
კითხვითი, ძახილის ან კითხვით-ძახილის ნიშანია, ავტორის სიტყვების
წინ რჩება ეგ ნიშნები და იწერება ტირე, ავტორის სიტყვების შემდეგ —
წერტილი და ტირე; წინადადების ბოლოს, როგორც სხვა შემთხვევა-
შიც, —ის ნიშანი, რომელიც მოულის პირდაპირ ნათქვამს.

მაგალიტები: 1. „ეუი, ვუი უენს დედას!...—იძახოდნენ მანდილოსნები.—რა
ახალგაზოდა ბიკი ყოფილა!“ (კავ. 411). 2. „ღიად, მოჰყენ ნაქარტლობას, —ამბობ-
და გულში პეტე.—სწორედ დაგიჯერე. აი“.² (კავ. 411).

4. თუ ავტორის სიტყვებში მითითებაა პირდაპირი ნათქვამის გაგ-
რძელების შესახებ, მაშინ ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი და
ტირე იწერება.

მაგალიტები: 1. „მრავალ-ძარღვი კმარა, —უხბრა მოხუცმა და დაუშატა:—
ახლა მელისკუდაი მომე“ (ყახ. 613). 2. „გვეყოფის!—მოკლედ მიუგო სმოდვარმა
და განაგრძობ:—ამით თუნდა დუნიას ვუწამლებ“. (ყახ. 613).

სქემა

„ (? ! ?) — — — — — „ “ (? ! ?).

შენიშვნა: ზოგჯერ ავტორის სიტყვებში არაა პირდაპირი მითი-
თება პირდაპირი ნათქვამის გაგრძელების შესახებ, მაგრამ ავტორის
სიტყვების შემდეგ მაინც ორწერტილი და ტირე იწერება.

მაგალიტები: 1. „უჰ, უჰ, რა ცივა!...—სტევა მან სტუმარმა:—ლამის გაეშემდე
სი(ოვისაგანი!“ (კავ. 190). 2. „შემა არა გაქვს?—კითხა სტუმარმა:—მოიტა, ცეცხლი
ავანთო ერთი. ხვალ თუნდა მთელს ზურგს მე ამოგიტან, ოღონდ დღეს გაეთბე, შენ
შენი ღმერთი“. (კავ. 191).

ვ) პირდაპირი ნათქვამის კარგ მაგალიტს, როგორც ცნობილია, წარ-
მოადგენს დიალოგი მხატვრულ ნაწარმოებში, სადაც დიალოგის მონაწი-
ლეთა თითოეული ნათქვამი იწყება ტირეთი და ახალი სტრიქონით. ამ
შემთხვევაში პირდაპირი ნათქვამი ბრკელებში აღარ ჩაისმის.

¹ ავტორის სიტყვების გარეშე აქ წერტილია საკირო.

² მოთარობაში ბრკელებში არაა ჩასმული პირდაპირი ნათქვამი, რადგანაც ყოველ
გმირის სიტყვები ტირეთი და ახალი სტრიქონით იწყება.

გაბაღალითი:

- მაგითი ვერ მომატყუებ, ეგ ხმალიც შემოიასენ
- ბატონი ხარ,—აჰა, ეს ხმალიც.
- ქამარ-ხანჯალიცა.
- არც მაგახედ გაწყენინებ, ჯველი ბიკი ხარ, მოგახდება.
- ეგ დამბაჩაც გაიძრე წელიდამ.
- ესეც შენი ფეშქაში (ჭაჟ. 314).¹

ზოგჯერ დასახელებულია დიალოგის მონაწილენიც. ამ შემთხვევაში უტირე შეიძლება არ ვიხმაროთ.

§ 4. ზოგინათი დამატებითი საკითხი პირდაპირ ნათქვამთან დაკავშირებით

პირდაპირი ნათქვამის შემთხვევები პრაქტიკულად (რამდენადმე თეორიულადაც) მოსწავლეებისათვის ცნობილია ამ თავის დამუშავებამდეც. მათ ერთგვარი ჩვევა მოეპოვებათ არა მარტო პირდაპირ ნათქვამთან საპირო სასენი ნიშნების გამოყენების შესახებ, არამედ იმაზეც, რომ ასეთი ნათქვამი ინტონაციურად მრავალფეროვანია იმის მიხედვით, თუ ვისი ნათქვამია (ბავშვის, მოხუცის, ქალის, კაცის), რა პირობებშია ნათქვამი და სხვ. მერვე კლასში ვალრმავებთ, გრამატიკული ანალიზის საფუძველზე ვაძლევეთ საკითხის შესახებ დასრულებულ ცოდნას, რასაც შემდეგ თანამიმდევრული მუშაობით ჩვევად ვაქცევთ.

პირდაპირი ნათქვამის დამუშავებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ციტატებით სარგებლობის შესახებ. მოსწავლე უნდა დაეუფლოს არა მარტო ციტატების სწორად გამოყენებას, ბუნებრივად ჩართვას თავის ნაწერში, არამედ იგი უნდა მივაჩვიოთ გამოყენებული ციტატის წყაროს ჩვენებასაც. აქვე საპიროა მოსწავლეების ყურადღება შევანეროთ ირონიულად და არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვების და გამოთქმების ბრჭყალებში ჩასმის შემთხვევებზეც.

პირდაპირი ნათქვამის ზემოთ განხილული შემთხვევების ანალიზი ხდება დაფაზე დაწერილი ნიმუშების მიხედვით; პირდაპირ ნათქვამთან დაკავშირებით შეიძლება მუშაობის ასეთ სახეებს მივმართოთ:

1. ნაწარმოების შინაარსის მოყოლა, თხრობა პირდაპირი სიტყვის შენარჩუნებით.

¹ ზოგიერთი მწერალი არ მისდევს მიღებულ წესს და თავის ნაწარმოებში უპირატესობას აძლევს დიალოგის მონაწილეთა ნათქვამის ბრჭყალებში ჩასმას.

გაბაღალითი:

- „დიოფალი სად ბრძანდება?“—ეკითხება კყონდიდელი.
- „ლოცულობს“,—მიუგო მახარაი მშრალად.
- „უფლისწულს ხონ არ სძინავს?“
- „თორს აცმევენ“.

კ. გამსახურდია, დავით აღმაშენებელი, წიგნი I, 1942, გვ. 7.

2. პირდაპირი ნათქვამის შემცველ წინადადებასა თუ ნაწყვეტში სი-
სენი ნიშნების დასმა.

3. მოცემული წინადადების შესაბამისი სქემის შედგენა.

4. ამა თუ იმ სქემის შესაბამისი წინადადების მონახვა ლიტერატურულ
მასალაში. ანდა დამოუკიდებლად შედგენა.

5. პატარა ამბისა თუ მოთხრობის შედგენა პირდაპირი ნათქვამის-
სხვადასხვა შემთხვევის გამოყენებითა და სხვ.

§ 5. ირიბი ნათქვამი

ქართულში უპირატესობით სარგებლობს ავტორის მიერ პირდაპირი
ნათქვამის გადმოცემა უცვლელად მეთქი, თქო და ო ნაწილაკების საშუა-
ლებით.

პირდაპირი ნათქვამის გადაქცევა ირიბად ხშირად არც კი ხერხდება.
აქ ჩვენ მივუთითებთ პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაქცევის რამდენ-
იმე შემთხვევაზე.

1. პირდაპირი ნათქვამი თხრობითი წინადადებაა.

მაგალითი: 1. „მე მაშინ ორის წლისა ძლიეს ყოფილვარ“, — მიუგო ლუარ-
საბმა (კავ. 353).

ირიბად გადაქცევისას მივიღებთ: ლუარსაბმა მიუგო, რომ ის მაშინ
ორის წლისა ძლიეს ყოფილა.

პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაქცევისას მივიღეთ კავშირიანი ქვე-
წყობილი წინადადება. ავტორის სიტყვები მთავარი წინადადებაა, პირ-
დაპირი ნათქვამი კი ამ შემთხვევაში პირდაპირი დამატებითი დამოკი-
დებული წინადადებაა. პირდაპირი ნათქვამის პირველი პირის ნაცვალ-
სახელი „მე“ და ზმნის პირველი პირის ფორმა „ყოფილვარ“ შეცვლი-
ლია ავტორის თვალსაზრისით და ამიტომ ირიბ ნათქვამში მათ ნაც-
ვლად ნახმარია მესამე პირის ნაცვალსახელი „ის“ და ზმნის მესამე პი-
რის ფორმა „ყოფილა“.

2. პირდაპირი ნათქვამი კითხვითი წინადადებაა.

მაგალითი: 1. ბოლოს ჰკითხა მან: „ვინ ხარ შენ და ჩემთან მოსულა რამ-
გაგაბედვინა?“

ირიბად გადაქცევისას მივიღებთ: ბოლოს ჰკითხა მან, თუ ვინ არის
ის და მასთან მისვლა რამ გააბედვინა.

ირიბად გადაქცევისას უკავშირო ქვეწყობილი წინადადება იქცა კავ-
შირიანად. პირდაპირი ნათქვამი, რომელიც თავისთავად კითხვითი-
შინაარსისაა (და ბოლოში კითხვითი ნიშანიც უზის), ირიბ კითხვად იქ-
ცა და წინადადების ბოლოში კითხვითი ნიშანიც არ დაესმის, რადგანაც
წინადადება მთლიანად აღარაა კითხვითი. დამოკიდებული წინადადება
ამ შემთხვევაშიც პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა.

3. პირდაპირი ნათქვამი ბრძანებითი წინადადებაა.

მაგალითი: I. „მტურავებს დაუძაუთო უშველეთო—ყვიროდა ერისთავი (წერ.)“

ირიბად გადაქცევისას მივიღებთ:

ერისთავი ყვიროდა, რომ მცურ ავეებს და უძახონ და უშვე-
ლონ.

პირდაპირი ნათქვამი აქაც დამატებითი დამოკიდებული წინადა-
დებაა.

თავის მხრივ, შეიძლება ირიბი ნათქვამი გადაექციოთ პირდაპირად. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ მეტი გამომეტყველებითი ძალა, საერთოდ, პირდაპირ ნათქვამს ახასიათებს და არა ირიბს, რომელიც შედარებით ღარიბია და უფერული. ის ემოციურობა, ფერები, რითაც ესოდენ მდიდარია პირდაპირი ნათქვამი, ხშირად არც კი შეიძლება გადმოიცეს ირიბით, ანდა, თუ გადმოიცემა, მხოლოდ დაახლოებით, ერთობ შეცვლილი სახით. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი წინადადება: ბოლოს ჰკითხა მან: „ვინა ხარ, შეილო, ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?“ (ქავ. 192). ირიბად გადაქცევისას მივიღებთ: ბოლოს ჰკითხა მან, თუ ვინ არის ის და იმ უდაბნოში რამ მიიყვანა. პირდაპირი ნათქვამი, რომელიც კითხვითი წინადადებაა და თავის მხრივ მიმართავს შეიცავს („შეილო“). ირიბად გადაქცევისას ირიბ კითხვად იქცა, როგორც წესი. რაც მთავარია, პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაქცევისას ამოვარდა მიმართვა და წინადადებაშიც დაკარგა ის ემოციურობა, რომელიც პირდაპირ ნათქვამს ახასიათებს.

§ 6. მრავალბრუნის კურონის განმეორებისათვის

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის შესწავლის შემდეგ ხდება ფონეტიკა—მორფოლოგია—სინტაქსისა და მართლწერის ძირითადი საკითხების განმეორება. რასაც პროგრამით 14 საათი აქვს დათმობილი¹. ვასამეორებელი მასალა დიდია, დრო მცირე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ განმეორების ორგანიზაცია სწორად იქნება აგებული. ეს დრო საკმარისია ნასწავლი მასალის ვასამეორებლად, ჩატარებული მუშაობის შესაჯამებლად და მიღებული ცოდნის განმტკიცებლად, სისტემაში მოსაყვანად. მაგრამ ქართული ენის ზოგიერთი მასწავლებელი, სანწუხაროდ, განმეორებას ფორმალურად აღარებს; განმეორება სიახლეს უნდა შეიცავდეს. იგი არ შეიძლება წლების მანძილზე ნასწავლი მასალის სწავლების გზის მოკლე დროში განმეორებას, გველას წარმოადგენდეს. ამიტომ არაფრად ვარგა ისეთი განმეორება, როდესაც მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს გაიმეორონ სახელმძღვანელოში „აქედან აქამდე“.

განმეორება დროისა და თვით განმეორების შინაარსის მიხედვით სხვადასხვაგვარია. გრამატიკული მასალის განმეორების მეთოდიკა ცალკე საკითხია, ამიტომ აქ მხოლოდ გრამატიკული მასალის საბოლოო განმეორების შესახებ ორიოდ მომენტის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით:

¹ ნ. ს. შუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა, 1950, გვ. 16.

ა) წინადადების გრამატიკული გარჩევა, ანალიზი. ასეთი გარჩევა იტევს სინტაქსურ—მორფოლოგიურ—ფონეტიკური გარჩევის ცალკეულ მომენტებს და თანაც ენის სხვადასხვა მხარეს ერთ მთლიანობაში, ურთიერთ კავშირში წარმოგიდგენს.

გრამატიკის სწავლებისას გრამატიკულ გარჩევას ხშირად მიემართავთ, მაგრამ ეს გარჩევა გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული. გრამატიკული მასალის საბოლოო განმეორებისა და ცოდნის გამთლიანების მიზნით გამოყენებული გრამატიკული გარჩევა კი ფართოა. პრაქტიკულად ასეთი გარჩევა ჩვენ ასე გვესმის: ვაძლევთ რომელიმე წინადადებას და ვავალებთ მის ყოველმხრივ გარჩევას. მოსწავლემ უნდა განსაზღვროს წინადადების ტიპი აღნაგობის მიხედვით, შინაარსობლივ, წინადადების ნაწილები; თუ წინადადება რთულია, მასში შემავალი მარტივი თუ შერწყმული წინადადებები, მათი სახე, წინადადების წევრები, რა მეტყველების ნაწილებია მოცემული წინადადებაში და რა ფორმით; წყვილები, წყილთა ურთიერთობა, ფონეტიკური მოვლენები მოცემული წინადადების ფარგლებში; რა სასვენი ნიშნებია გამოყენებული და რატომ და სხვ. წინადადების ასეთი გარჩევა გრამატიკული მასალის განმეორების საუკეთესო საშუალებაა.

ბ) ისეთი საშინაო დავალების შერჩევა, რომელიც მოითხოვს არა საგნის რომელიმე განყოფილების ცოდნას, არამედ მთლიანად საგნისას. ამისათვის ვაძლევთ პატარა ტექსტს ან წინადადებას და ვავალებთ მოიგონონ და სახელმძღვანელოში გაიმეორონ ყველაფერი, რაც საჭიროა მიცემული წინადადებისა თუ ტექსტის მორფოლოგიური, სინტაქსური, ფონეტიკური და პუნქტუაციური გარჩევა-ანალიზისათვის.

გ) ამა თუ იმ სასვენი ნიშნის გამოყენების შემთხვევების დაზუსტება და საილუსტრაციო მასალის მონახვა-შერჩევა. მაგალითად, მძიმის ხმარების შემთხვევების დასაზუსტებლად და გასამთლიანებლად მოსწავლეს სჭირდება შერწყმული წინადადება, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებები, პირდაპირი და ირიბი ნათქვამი და სხვა.

დ) შემაჯამებელი სქემების შედგენა წინადადების ტიპებსა და მათს სახეებზე.

XII. პუნქტუაციის მეთოდის ზოგიერთი საკითხი რთული წინადადების სწავლებასთან დაკავშირებით

§ 1. პუნქტუაციის დანიშნულება. პუნქტუაცია და ინტონაცია. პუნქტუაციის სწავლების საფუძველი

სასვენი ნიშნები ემსახურება წინადადებათა და წინადადებაში მის ნაწილებს შორის ლოგიკური და გრამატიკული დამოკიდებულების წერილობით გამოხატვას. მათი გამოყენება ამასთანავე აადვილებს დაწერილის სწორად, შეგნებულად და გამომეტყველებით წაკითხვასა და წაკითხულის სწორად გაგებას. ცხადია, პუნქტუაცია გვეხმარება როგორც წერის, ისე დაწერილის კითხვის პროცესშიც. პუნქტუაციის ძირითადი დანიშნულებაც სწორედ ამაშია.

მაგრამ რა უძევს საფუძვლად პუნქტუაციის სწავლებას?

პუნქტუაციის სწავლების მეთოდისაში ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია ორი ძირითადი შეხედულება: პირველი შეხედულება, რომელსაც საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, პუნქტუაციის სწავლებას მოითხოვს ლოგიკურ-გრამატიკულ საფუძველზე, მეორე შეხედულება კი პუნქტუაციის სწავლებას საფუძვლად უდებს ინტონაციას. უკანასკნელ შეხედულებას ახლო წარსულში მეცნიერებაში თანამიმდევრულად იცავდა და ავითარებდა ა. პეშკოვსკი, რომელიც მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში ცნობდა საჭიროდ გრამატიკული ანალიზის მოშველიებას.¹ ჩვენში ასეთი შეხედულება გატარებული იყო ი. ფერაძისა და ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვებაში“ (1927) და ნაწილობრივ ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვებაში“ (1929). „წიგნში,—წერდნენ ავტორები განმარტებითს ბარათში,—ვაშუქებთ მარტივი ფრაზების ელემენტარი ანალიზის გზით ინტონაციის ნიადაგზე სასვენი ნიშნების: წერტილის, კითხვითი და ძახითი და მძიმეს ხმარების ტიპურ შემთხვევებს“ (გვ. VIII). ავტორები, უარყოფდნენ რა სინტაქსის როლს პუნქტუაციის სწავლებაში, წერდნენ: „არ უნდა დავუცადოთ სინტაქსის გავლას ამ ნიშნების შეგნებისათვის, ვინაიდან, როგორც ვთქვით, სასვენი ნიშნები არ არის სინტაქსური მოვლენა, არამედ ფსიქოლოგიური, რაც მკაფიოდ მკლავდება ჩვენს მეტყველებაში, და მისი ხმარება ფრაზებსა და წინადადებებში

¹ ბ. ა. პეშკოვსკი, Школьная и плучная грамматика, 1922.

სინტაქსის გარეშედაც შეიძლება. რაც არ უნდა დავაყოვნოთ“ (გვ. X).
„ენტონაცია განხილული უნდა იქნეს არა როგორც შედეგი ჩვენი მე-
ტყველების სინტაქსურ ერთეულებად დაყოფისა, არამედ როგორც მი-
ზეზი“ (იქვე). ასეთი შეხედულება მაშინ გაბატონებული იყო, ამდენად,
ბუნებრივია, ავტორები თავიანთ წიგნში ამ თვალსაზრისს რომ ატარე-
ბდნენ.

სასვენ ნიშანთა ხმარების საკითხს ქართულში ადრე ეხებოდა განსვე-
ნებული ს. გორგაძე შრომაში „ქართული მართლწერა“. ს. გორ-
გაძის აზრით, მძიმე მუდამ პაუზას, ე. ი. გაყოფი ნიშანია. ამიტომ,
როცა სიტყვათა და წინადადებათა შორის ზის რომელიმე კავშირი ან
„საკავშირო“ სიტყვა, იქ მძიმის ხმარება, ერთი მხრით. ზედმეტია და, მე-
ორე მხრით, აბსურდიო. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით იმ შემთხვევა-
ზე, როცა კავშირი ან „საკავშირო“ სიტყვა (მთლად ან მისი ერთი ნა-
წილი) იმ წინადადებათა საზღვარზე ზის, რომელთაც აკავშირებს და
თან ყოფს ერთმანეთისაგან. ასეთ შემთხვევაში მძიმის ხმარებას არავი-
თარი საფუძველი არა აქვს და არც უნდა ვიხმაროთო. ასეთ კავშირებად
და „საკავშირო“ სიტყვებად მიაჩნდა: და, თუ, რომ, ანუ, არამედ, მაგ-
რამ, ხოლო, თუმცა, თუკი, ოღონდ; ისე—როგორც, ისე—რომ, რომე-
ლიც, ვინც, რაც, მაშინ—როცა, იქ—სადაც, იმიტომ—რომ... ავტორს საი-
ლუსტრაციოდ მაგალითებიც მოჰყავდა. აი ეს მაგალითებიც:

„მოდი და ვილაპარაკოთ! რა მეგონა თუ გაეიმარჯვებდი! უბრძანე
რომ მოვიდეს. საკირია რომ ითქვას. სანადიროდ წავალ თუ აპინდი
იქნა. თხოვნით არ შევაწუხებდი თუ მისი ხასიათი მცოდნოდა. მე რომ
ვითხარით იმ საქმისას რას მეტყვიო? გუშინ იმიტომ ვერ გინახულეთ
რომ ავად გახლდით. მწვადი ისე შესწვი რომ არც მწვადი დაიწვას და
არც შამფური. ისე ტრიალებს როგორც ჯარა. ვინც მდიდარია ის ძლი-
ერიცაა. უბედურია ის კაცი რომელსაც სამშობლო არა აქვს. მე არ ვიჯავრებ
ოღონდ შენ იყავ ბედნიერი. მინდა—ბევრი რამ ვსთქვა მაგრამ პიჩი წყლით
მაქვს სასე“-¹

მოყვანილი მაგალითები რთული წინადადებებია, ძირითადად ქვეწყო-
ბილი. ჩვენ ანეამად ყველგან მძიმეს ვხმარობთ, გარდა პირველი შემთხ-
ვევისა.

როგორია ინტონაციისა და პუნქტუაციის ურთიერთმიმართება?

ინტონაციით ჩვენი ზეპირი მეტყველება მდიდარია და მრავალფერო-
ვანი. წერაში ამ მრავალფეროვნების გამოხატვას სასვენი ნიშნების სა-
შუალებით ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვახერხებთ. მაგალითისათვის
ავილოთ ძახილის ნიშანი. იგი ისეთი საპირისპირო შინაარსის გამომხატ-
ველ წინადადებათა ბოლოს დაისმის, როგორცაა ზიზღი. აღტაცება,
შიში, ბრძანება, ეწოდება და სხვა. ნიშანი ერთია, ამ ნიშნით აღნი-

¹ ს. გორგაძე, ქართული მართლწერა, ქუთაისი, 1916, გვ. 59.

შნულ წინადადებათა შინაარსი და ინტონაცია კი სხვადასხვაგვარი. სხვადასხვაგვარი ინტონაცია თვით წინადადებათა სხვადასხვაგვარი შინაარსითაა განსაზღვრული. ამავე დროს საგულისხმოა, რომ წერის დროს ჩვენ სასვენ ნიშნებს ვსვამთ ისე, სრულებითაც არ ვუქრობთ დაწერილ წინადადებათა ინტონაციაზე. ასევე, ზეპირი მეტყველების დროს არ ვთქვით სასვენ ნიშნებზე.¹ პუნქტუაციასა და ინტონაციას შორის დაცილება სხვა მხრივაც შეინიშნება. აქ მივეუბნებით ორიოდ შემთხვევებზე:

ა) ყველა პაუზა არ აღინიშნება სასვენი ნიშნით.

მაგალითი: 1. ნაპრაღთა თაჲზე მღჳომარე მღები ||
წყრომით არხეღუნენ ტოტებს (ოახ.).

ეს წინადადება მარტივია: სიტყვები ორ წრედ ლაგდებიან. ქვემდებარის წრეში 4 სიტყვაა, შემასმენლის წრეში კი—სამი. მათ შორის საქმაოდ დიდი პაუზაა, მაგრამ მძიმე ან სხვა რამ ნიშანი არაა საკირო.

ბ) სასვენ ნიშანთან ყოველთვის არაა სასვენი ნიშნის შესაბამისი პაუზა.

მაგალითი: 1. მოგესალმებით. ქედებო, || მომაქეს საღამი გვიანი (ვაჲ).

„ქედებო“ მიმართვია. მის წინ პაუზა შეიძლება არ იყოს, მძიმე კი საკიროა.

გ) ზოგჯერ პაუზა (ინტონაციის ცვლა, ტონის ამაღლება) იქაა, სადაც სასვენი ნიშანი არაა საკირო, ან სასვენი ნიშანი (მძიმე) იქ დაისმის, სადაც არაა პაუზა (ინტონაციის ცვლა).

მაგალითი: 1. ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა, რომ || ფიფქ თოჯღში ნადირობა მართლა საშიში იყო. (ყახ.).

რომ-ის წინ მძიმეა დასმული, პაუზა კი არაა აქ; რომ-ის შემდეგ პაუზაა, ინტონაცია იცვლება, მაგრამ მძიმე არაა საკირო.²

დ) სხვადასხვა წინადადება, სადაც საკიროა სხვადასხვა სასვენი ნიშნის გამოყენება, ინტონაციურად ხშირად ისე ახლო დგას ერთმეორესთან, რომ განსხვავებული ინტონაციისა თუ პაუზის შენიშვნა-დადგენა ერთობ ძნელია. ასეთია, მაგალითად, პაუზა მძიმესა და წერტილმძიმესთან, ანდა ტირესა და ორწერტილის გამოყენების ზოგიერთ შემთხვევასთან დაკავშირებით.

ე) ზოგიერთ ნიშანს არ ახლავს რაიმე განსხვავებული, სპეციფიკური ინტონაცია. ნიშნის გამოყენება მთლიანად შინაარსით არის განსაზღვრული. ეს ითქმის, მაგალითად, ბრჭყალების შესახებ პირდაპირ ნათქვამთან.

¹ არის შემთხვევა. როცა დაწერილი იძულებულია დაუკვირდეს ინტონაციას და წამკითხველი სასვენ ნიშნებს. პირველი ხდება კარნაით წეოს დროს, მეორე კი—წიგნის აკამალა კითხვისას. ერთსაც და მეორესაც საბოლოოდ საფუძვლად კარნაით დასაწერი ტექსტისა და წასაკითხავა მასალის შინაარსი უფევს.

² „მიღებულია შიშის დაწა რომ-ით დაწყებულ დაპოკიდებულ წინადადებაში მხოლოდ რომ-ის წინ; ნამდვილად კი ტონის ამაღლება ხდება რომ-ის შემდეგ; მაგ.: „კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ კვირის არ ჩამოვლო ეს იარაღი“ (ინტონაცია იცვლება რომ-ის მიმყოლ: ტონი მაღლდება აქ).“

გ. ახელედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. 1949. ვ. 139.

ბრკელები, შეიძლება ითქვას, სასვენნიშანს არსებითად არც კი წარმოადგენს.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები იმაზე მიგვითითებს, რომ ინტონაცია არ შეიძლება პუნქტუაციის სწავლების საფუძვლად ვალიაროთ. თუ ჩვენ დავეუშვებდით, რომ პუნქტუაცია დამოკიდებულია ინტონაციაზე, მაშინ, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს პროფ. პ. ო. აფანასიევი,¹ ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა: რაზეა დამოკიდებული თვით ინტონაცია? ცხადია, რომ ინტონაცია დამოკიდებულია აზრზე, რომელიც გამოხატულია ამა თუ იმ სინტაქსური კონსტრუქციით. თავის მხრივ პუნქტუაციაც განსაზღვრულია წინადადების შინაარსით, დაწერილის სინტაქსური კონსტრუქციით. აქედან კი შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: პუნქტუაციის სწავლების საფუძველი წინადადების, კონტექსტის ლოგიკურ-გრამატიკული მხარეა. მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ინტონაციის როლი გამორიცხულია პუნქტუაციის სწავლებაში. რა თქმა უნდა, არა! ინტონაცია გვეხმარება პუნქტუაციის სწავლებაში, ამდენად მას მივმართავთ კიდევაც, როგორც დამხმარე საშუალებას, წამყვანი როლი კი წინადადების (და კონტექსტის) ლოგიკურ-გრამატიკულ მხარეს ეკუთვნის. ამიტომ, რომ დავეუფლოთ სასვენნიშანთა თავის დროზე და სწორად გამოყენებას, საჭიროა კარგად ვიცოდეთ სინტაქსი; განსაკუთრებით ეს რთულ წინადადებაზე ითქმის, რომელიც პუნქტუაციურადაც რთული თემაა: პუნქტუაციის წესები ამ თემასთან დაკავშირებით ძირითადად ლოგიკურ-სინტაქსურ საფუძველზე ფორმულირდება, რადგანაც ამ წესების შესწავლა აქ დაფუძნებულია წინადადების ლოგიკურ-სინტაქსურ შესწავლაზე.

პუნქტუაციურ ჩვევათა გამომუშავებას აქ, ისე როგორც საერთოდაც, უნდა მივალწიოთ არა ამა თუ იმ ტიპის წინადადების შესწავლის შემდეგ, არამედ მათი შესწავლის პროცესშივე. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სინტაქსის პროგრამა ამავე დროს რამდენადმე პუნქტუაციაზე მუშაობის პროგრამაცაა.

რთული წინადადება რთული თემაა ინტონაციურადაც.

მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ტიპის წინადადებისათვის დამახასიათებელი ინტონაციური თავისებურების ნათელყოფასა და სწორი, ბუნებრივი ქართული წარმოთქმის ჩვევის გამომუშავებას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ინტონაციის საფუძველი აზრია, ნათქვამის შინაარსი, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციით. ამიტომ ბუნებრივია, რომ VII—VIII კლასებში ამა თუ იმ ტიპის წინადადებისათვის დამახასიათებელი ინტონაციური თავისებურების ნათელყოფასა და შესწავლას მკვიდრი საფუძველი ექმნება. მეთოდოლოგიური

¹ П. О. Афанасьев, Методика русского языка в средних школах. Москва, 1947, гл. 201.

დასკვნა, რომელიც თქმულიდან გამომდინარეობს, ასეთია: რთული წინადადების ტიპებისა და სახეების სწავლებისას წინადადების ლოგიკურ-გრამატიკულ ანალიზთან დაკავშირებით პირველ რიგში ყურადღება გაუამახვილოთ მოცემული წინადადებისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებაზე, შემდეგ კი იმავე წინადადებაში სასვენი ნიშნების გამოყენების შესახებ; ამასთან დაკავშირებით საჭიროა მიუთითოთ იმაზეც, თუ რა შემთხვევაშია ინტონაციისა და პუნქტუაციური ნიშნის შეხვედრა და რა შემთხვევაში მათი დაცილება.

ნიმუშისათვის გაეანალიზოთ ორიოდ წინადადება:

1. ვინც გარეთ იყო, სახლში ეშურებოდა (ვაჟა).

დამოკიდებული წინადადება თაქვია, მთავარი—ბოლოში. ტონი მაღლდება პირველი წინადადების ბოლოს, სადაც აგრეთვე პაუზაა მცირე და ერთი წინადადება (დამოკიდებული) მძიმით გამოეყოფა მეორეს (მთავარს). წინადადება თხრობითია, იგი თავდება დაბალი ტონით; ბოლოში იწერება წერტილი. ორივე შემთხვევაში შესევდრაა ინტონაციისა და პუნქტუაციის. მდგომარეობა ამ მხრივ არ შეიცვლება წინადადებათათვის ადგილების შენაცვლებით: „სახლში ეშურებოდა, ვინც გარეთ იყო“. ორივე შემთხვევაში ინტონაცია აღმაველ-დამავალია.

უფრო რთულია ინტონაციურად წინადადება, როცა დამოკიდებული მთავარშია. მაგალითი: „ამ საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში (1), რომელიც მკვდართა სამფლობელოს მოგაგონებდათ (2), ერთბაშად გაისმა ჭიანურის წყნარი ხმა (1)“ (ყაზ.). მთავარი წინადადების პირველი ნაწილის ბოლოს (სიჩუმეში) ტონი მაღლდება, თანაც მცირე პაუზაა, დამოკიდებული წინადადების ბოლოს ტონი მაღლდება აგრეთვე და პაუზაა; მთავარის მეორე ნაწილის ბოლოს ტონი დაბლდება და ბოლოში წერტილია დასმული. დამოკიდებული მთავარისაგან განსხვავებული ინტონაციით წარმოითქმის და მას მძიმეებით გამოეყოფა. სასვენი ნიშნები და ინტონაცია აქაც ერთმანეთს ხვდება.

მთავარი რამდენიმე დამოკიდებულით, ანდა ზერთული წინადადება ინტონაციურად კიდევ უფრო რთულია. თუ რთული წინადადების ნაწილები შეიცავს ერთგვარ წევრებს, განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს, მაშინ წინადადება ინტონაციურად და პუნქტუაციურად კიდევ უფრო რთულ სახეს მიიღებს. რთული წინადადების სწავლებისას ბუნებრივია შევჩერდეთ არა მარტო პუნქტუაციაზე, არამედ ყურადღება გაუამახვილოთ ამა თუ იმ ტიპის რთული წინადადებისათვის დამახასიათებელ ინტონაციაზედაც.

§ 2. რთულ წინადადებაში სასვენი ნიშნების გამომკვეთის ზოგადი მართი რთული შემთხვევა

რთული წინადადება, როგორც აღვნიშნეთ, პუნქტუაციურად (და ინტონაციურად) რთული თემაა. ამ თემის სწავლებისას მოსწავლეები ეც-

ნობიან მათთვის ნაცნობი სასვენი ნიშნების ააალ ფუნქციას და ზოგიერთი ნიშნის მათთვის ნაცნობი ფუნქციით გამოყენებას ახალ ვითარებაში.

თუ რა ცოდნა-ჩვევანი უნდა მიიღოს მოსწავლემ რთული წინადადების შესწავლისას,—ეს გზადგება თვით შრომაშია მითითებული, ამიტომ აქ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე შევჩერდებით.

ა) „და“-ს წინ ან შემდეგ მძიმე ჩვეულებრივ არ დაისმის, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა მის წინ ან შემდეგ (ან აქაც და იქაც) მძიმის დასმა.

მაგალითები: 1. ჯერ სიტყვები აო დამდგარიყო და, მაშასადამე, ჩინებული ჰაერი ტრიალებდა (ყახ. 462). 2. დავდუმდი, დავფიქრდი და, სწორედ გითხრათ, საფიქრებელიცა მქონდა (ყახ. 463). 3. მე გავადევნე თვალი და, რა კარი მიიხურა, გადაწვივტი, რომ უბედური უნდა ყოფილიყო (ყახ. 441). 4. აგერ მთვარემ ამოჰყო წვერი და, როდესაც ყველა ბინებში მიიძინეს, თვით ძალღების ყვეის ხმაც კი შესწყდა (ყახ. 526). 5. ჩემს უნებლოვ გავიხედე სასტუმროში, სადაც მარი იჯდა, და დავინახე მისი დაფიქრებული სახე (ყახ. 441). 6. ძიძის მოაგონდა თავისი მოვალეობა, რომელიც ხალხის რწმუნებით „ხელის მოშვიდეს“ ანათესავებდა, და ამ ფიქრმა გამსკეალა (ყახ. 724). 7. ცოტა ხანს შემდეგ რამოდენადმე დავმშვიდდი, თემცა ძლიერ დასტებული ვიყავ, და: რა წამს წამოდგომა შეველ, მაშინვე ვავეშურე პორფირის სახლისკენ (ყახ. 483).

პირველ ოთხ წინადადებაში და-ს შემდეგ მძიმეა, რადგანაც მას განკერძოებული სიტყვა და გამოთქმა მისდევს (1, 2), ანდა დამოკიდებული წინადადება (3, 4). მეხუთე და მეექვსე წინადადებაში მძიმე და-ს წინაა, რადგანაც მის წინ დამოკიდებული წინადადებებია, მეშვიდე მაგალითში და-ს წინაც მძიმეა და შემდეგაც, რადგანაც სხვადასხვა, არაერთნაირი დამოკიდებული წინადადებებით არის გარემოცული.¹

ბ) მაგრამ იწყებს ყოველთვის წინადადებას და მის წინ მძიმე იწერება, მაგრამ, როცა მას მისდევს განკერძოებული სიტყვა და გამოთქმა, ანდა დამოკიდებული წინადადება, მის შემდეგაც მძიმე დაისმის.

მაგალითები: 1. გული შემოწება იმისმა საქციელმა, მაგრამ, რა ცოტა ხანმაც გაიარა, მე დავრწმუნდი, რომ ეს მოსაზრება უსაფუძვლო იყო (ყახ. 483). 2.... იქ დაჯექი რამდენსავე ხანს, მაგრამ, რაკი მამა არ იღვიძებდა, შევედ სანახავად.... (ყახ. 450).

გ) რომ-ის წინ მძიმე მაშინ იწერება, როცა ის იწყებს დამოკიდებულ წინადადებას. თუ რომ დამოკიდებულ წინადადებაშია, მძიმე იწერება წინადადებათა საზღვარზე და არა რომ-ის წინ, რასაც ხშირად ვხვდებით არა მხოლოდ მოსწავლეთა, არამედ დიდების ნაწერებშიც. დამა-

¹ „და“ შეიძლება ერთნაირ დამოკიდებულ წინადადებებს აერთებდეს, მაშინ ის მძიმით არ გამოეყოფა მათ.

მაგალითი: 1. ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომზადარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც ერთხელ ხალხისაკან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა (ყახ. 716).

ტებით აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი, რომელთა გათვალისწინება რთული წინადადების სწავლების დროს აუცილებელია.

1. რომ-ის შემდეგ მძიმე იწერება, როცა რომ-ის მიმყოლი დამოკიდებული წინადადება მოქცეულია რომ-ით დაწყებულ წინადადებაში (ან რომ-ის შემდეგ განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები).

მაგალითები: 1. მე გადაწყვიტე, რომ, რაჟამს ექიმი მოვა, შევატყობინებ ჩემს მღვდლმარობას... (ყახ. 510). 2. ელა შენ არ დაიჯერებ, რასაკვირველია, რომ, თუ ეგ თამასუქი გამოვართვი, ისევ შენი საქმისათვის ჩამოვართვი (ქაე. 365).

2. როცა დამოკიდებულ წინადადებას იწყებს რთული კავშირები ასე რომ, იმიტომ რომ, მძიმე წინ იწერება. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც რთული კავშირის პირველი ნაწილი მთავარს განეკუთვნება და მისი წარმოთქმის შემდეგ პაუზაა. ასეთ შემთხვევებში მძიმე რომ-ის წინ დაისმის.

მაგალითი: 1. ყველას აზინებდა სიკვდილი იმიტომ, რომ სახრდოს შოენა გაძნელდა (ყაფა. VI, 17).

3. მოსწავლეთა ნაწერებში ხშირად ვხვდებით რომ-ის წინ მძიმის არა სათანადო აღვილას დასმას: მძიმე დასმულია რომ-ის წინ (რომ-თან, მაგალითად ასე: ,რომ) და არა იმ სიტყვის შემდეგ, რომელიც წინ უსწრებს მას.

დ) კითხვითი ნიშნის ხმარებასთან დაკავშირებით რთულ ქვეწყობილ წინადადებაში აღსანიშნავია შემდეგი:

1. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, კითხვა ჩვეულებრივ მთავარ წინადადებას ეხება, მაგრამ კითხვითი ნიშანი ყოველთვის წინადადების ბოლოს დაისმის.

მაგალითი: 1. არის განა სადნე ისეთი ფრინველი, რომ არ ჰსენოდეს ბულის გალობა და არ დამტკბარიყოს იმისი კეთილზმოვანებით? (ყაფა, VI, 34).

2. როცა დამოკიდებული წინადადება ირიბ კითხვას გამოხატავს, მაგრამ მთავარს კითხვა არ ეხება, მაშინ ასეთი ქვეწყობილი წინადადების ბოლოს კითხვითი ნიშანი არაა საჭირო. ხშირად ასეთ შემთხვევებში უმართებულად კითხვითს ნიშანს ხმარობენ.

3. ზოგჯერ კითხვითი სიტყვებისა და ნაწილაკების შემცველი წინადადება არაა კითხვითი, ამიტომ წინადადების ბოლოს კითხვითი ნიშანიც არ დაისმის.

მაგალითები: 1. ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კაცეთში, და მშრალა მიწაც არის. (ქაე.).

რთულ წინადადებაში სასყენი ნიშნების გამოყენების სხვა მომენტებს აქ არ ვეხებით: ეს რამდენადმე შრომაშია გათვალისწინებული. სიძნელებები კი დაკავშირებულია როგორც სხვა ნიშნების (ტირე, ორწერტილი), ისე აქ დასახელებული ნიშნების გამოყენების სხვა შემთხვევებთანაც. რთული წინადადების სწავლებისას მასწავლებელმა ამ სიძნელებებს გვერ-

დი კი არ უნდა აუაროს, არამედ გაამახვილოს ყურადღება და თანამიმდევრული მუშაობით მისცეს მოსწავლეებს რთულ წინადადებაში სასყენნიშანთა სწორად გამოყენების მტკიცე ცოდნა-ჩვევა.

§ 3. პუნქტუაციაზე მუშაობის სახეები

რთულ წინადადებაში პუნქტუაციის შესწავლისას შეიძლება მუშაობის მრავალი სახე გამოვიყენოთ. დავასახელოთ ამათგან რამდენიმე.

1. წინადადების სინტაქსური ანალიზი, რასაც თან ახლავს პუნქტუაციური ანალიზიც. მაგ., ავიღოთ წინადადება: გაგონილი ჰქონდა, რომ, დათვზე რომ გადაჯდეს კაცი და ყურები დაუქიროს, დათვი ვერაფერს უზამს (ვაჟა, V, 130). ამ წინადადების სინტაქსური გარჩევისას აღვნიშნავთ წინადადების ტიპს, მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს, დამოკიდებულ წინადადებათა აღვიღსა და სახეს... მაგრამ ამგვარი ანალიზის დროს ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმას, თუ სად რა სასყენნიშანია წინადადებაში ნახმარი და რატომ... წინადადების ანალიზის დროს უნდა გაირკვეს, თუ რატომაა პირველი რომის წინ და შემდეგ მძიმეები, რატომ არაა მძიმე დასმული მეორე რომის წინ, ან რატომაა „დაუქიროს“ სიტყვის შემდეგ მძიმე და სხვ. ასეთი ანალიზი უკვე პუნქტუაციურია, რომელიც თან ერთვის, ახლავს წინადადების სინტაქსურ ანალიზს. შეიძლება მივმართოთ უნიშნებო წინადადების ანალიზსაც. ანალიზის შედეგად დადგინდება, სად რა სასყენნიშანი უნდა დაიწეროს.

2. ამა თუ იმ პუნქტუაციურ წესთან დაკავშირებით მხატვრულ თუ კრიტიკულ და მეცნიერულ ტექსტში შესაბამისი მაგალითების მოხაზვა და ამოწერა.

3. მაგალითების დამოუკიდებლად მოფიქრება და შედგენა. ვთქვათ, ვავაცანით ორწერტილის ხმარების წესი უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში. მოსწავლეებს ვავალებთ, რომ ამ წესის შესაბამისი მაგალითები შეადგინონ დამოუკიდებლად.

4. ამა თუ იმ ტიპის წინადადების გადაქცევა სხვა ტიპის წინადადებად და სასყენნიშანთა დასმა, მაგ., კავშირიანისა—უკავშიროდ, უკავშირო წინადადებისა—კავშირიანად, მარტივისა—რთულ ქვეწყობილად და სხვ. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ზღვის იქიდან ტრედი მოფრინდა და ზღვის პირად დაჯდა (ვაჟა). წინადადება შერწყმულია. ვავალებთ, შეადგინონ რთული ქვეწყობილი წინადადება და დასვან სასყენნიშანები. შედეგი შეიძლება ასეთი მივიღოთ: „ტრედი, რომელიც ზღვის იქიდან მოფრინდა, ზღვის პირად დაჯდა“. ასეთი სავარჯიშო, რა თქმა უნდა, არაა მხოლოდ პუნქტუაციური; იგი სინტაქსურ-სტილისტიკურიც არის.

5. დაუკავშირებელ სიტყვათაგან ამა თუ იმ ტიპისა და სახის წინადადების შედგენა და სასყენნიშანთა დასმა. მაგ., სიტყვებისაგან—„განაფხული“, „მერცხლები“ შეადგინონ რთული ქვეწყობილი წინადადება-

და დასვან საქირო სასვენი ნიშნები. მოსწავლეს შეუძლია შეადგინოს ასეთი წინადადება: „როცა გაზაფხულდა, მერცხლები ჩვენთან დაბრუნდნენ“ და სხვ. ეს სავარჯიშოც არაა მხოლოდ პუნქტუაციური, იგი სინტაქსურიც არის.

6. სქემის შედგენა მოცემულ რთულ წინადადებასთან დაკავშირებით, ანდა მოცემული სქემის შესაბამისი წინადადების შედგენა. სქემების ნიმუშები მოცემულია გზადაგზა. ეს სქემები პუნქტუაციის სწავლებისათვის ისევე ხელსაყრელია, როგორც წინადადებათა სინტაქსური ანალიზისათვის.

7. პუნქტუაციის სწავლებისათვის მნიშვნელოვანია გამომეტყველებითი კითხვა. მართალია, პეშკოვის სწავლებლება პუნქტუაციის ინტონაციის საფუძველზე სწავლებისა და ამასთან დაკავშირებით გამომეტყველებითი კითხვის როლის გადაჭარბებული შეფასება მიუღებელია. მაგრამ ინტონაციისა და, საერთოდ, გამომეტყველებითს კითხვას რომ დახმარების გაწევა შეუძლია პუნქტუაციის სწავლებაში, ამის უარყოფა საქმისათვის საზიანო მეორე უკიდურესობა იქნებოდა. ცოდნა დაწერილის გამომეტყველებითი წაკითხვისა, პროფ. აბაკუშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნიშნავს, სასვენ ნიშნებზე დაკვირვებით რიტმისა და მელოდიკის საშუალებით გამოიხატოს აზრისათვის დამახასიათებელი ლოგიკური და ფსიქოლოგიური ელფერი. ამდენად, გამომეტყველებითი კითხვის ჩვევა, მეტად მნიშვნელოვანი თავისთავად, მნიშვნელოვანია აგრეთვე პუნქტუაციის სწავლების პროცესში არა მარტო ინტონაციისა და სასვენ ნიშნების დამთხვევის, არამედ მათი ერთიმეორისადმი დაცილების შემთხვევებშიც¹.

8. პუნქტუაციის სწავლებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხი უნიშნებოდ დაბეჭდილი ტექსტის გადაწერა და სასვენი ნიშნების დასმაა. ამ სახის სავარჯიშოები მოცემულია თვით სახელმძღვანელოში (სინტაქსი, 1949) და შ. თაბუკაშვილის წიგნი: „პუნქტუაცია“ (1949).

9. პუნქტუაციურ ჩვევათა გამომუშავებისათვის მნიშვნელოვანია კარნახიც. თუ უნიშნებოდ მიწოდებული სავარჯიშოები დაწერილის გადაწერასა და მასში სინტაქსური ანალიზის საფუძველზე სასვენი ნიშნების დასმას მოითხოვს, კარნახის დროს მოსწავლეს დამატებით დახმარებას უწევს ინტონაციაც.

გარდა ზემოთ დასახელებული სახეებისა, პუნქტუაციის ამა თუ იმ შემთხვევასთან დაკავშირებით პატარა ამბისა და მოთხრობის შედგენასაც მიმართავენ.

პუნქტუაციური შეცდომების გასწორებას ისეთივე პასუხისმგებლობით უნდა მოვეციდეთ, როგორც ორთოგრაფიული და სინტაქსურმა შეცდომების გასწორების საქმეს.

¹ С. И. Абакумов, Методика пунктуации, გვ. 107-108

შემოკლებანი

ანდ. ანდაზა
 არაგ.—შ. არაგვისპირელი
 ბარ.—ნ. ბართაშვილი
 გამოც.—გამოცანა
 გოგ.—ი. გოგებაშვილი
 გურ.—დ. გურამიშვილი
 ეედ.—ი. ეედოშვილი
 ერ.—რ. ერისთავი
 ვაჟა—ვაჟა-ფშაველა
 „კომ“—გახ. „კომუნისტი“
 ლომ.—ნ. ლომოური
 მირცხ.—ა. მირცხულავა
 მღვ.—შ. მღვიმელი

ნ.—ნახე
 ნინ5.—ე. ნინოშვილი
 ორბ.—გ. ორბელიანი
 ს. ორბ.—სულხან-საბა ორბელიანი
 რახ.—თ. რახიკაშვილი
 რუსტ.—შ. რუსთაველი
 ყახ.—ა. ყახბაგი
 შდრ.—შეადარე
 წერ.—ა. წერეთელი
 გ. წერ.—გ. წერეთელი
 ჰავ.—ი. ჰავკავაძე
 კალ.—კალადიდელი
 მალხ.—ხალხური

საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებთან. როცა ისინი ჩვენ არ გვეკუთვნის, ფრჩხილებში ნაჩვენებია წყარო. რომელი ციფრებით აღნიშნულია ტომი, არაბულით კი—გვერდი. ორი სწორი ხაზით (||) აღნიშნავენ პაუზის ადგილს.

ზოგიერთი მაგალითი ამოღებულია სასკოლო გრამატიკაში მოცემული სავარჯიშოებიდან. ანდა სასკოლო ქრესტომათიებიდან; ასეთ შემთხვევაში დასაბეჭდებულია მხოლოდ აქტორი. როცა აქტორთან ერთად მითითებულია გვერდიც. იგულისხმება შემდეგი გამოკვებები:

1. შ. არაგვისპირელი—რჩეული ნაწერები, სახელგამი 1927.
2. ი. გოგებაშვილი—მოთხრობები, სახელგამი. 1940.
3. დ. გურამიშვილი—დავითიანი, ქართული წიგნი, 1931.
4. ი. ედოშვილი—ლექსები, ტ. I. ფედერაცია, 1935.
5. ი. ეედოშვილი—მოთხრობები, ტ. III, ფედერაცია, 1937 წ.
6. რ. ერისთავი—ლექსები, ტ. I, სახელგამი, 1935.
7. ვაჟა-ფშაველა—ლექსები, ტ. I, სახელგამი, 1928.
8. ვაჟა-ფშაველა—პოემები, ტ. III, სახელგამი 1930.
9. ვაჟა-ფშაველა—მოთხრობები და პიესები, ტ. V, სახელგამი, 1936.
10. ვაჟა-ფშაველა—მოთხრობები, ტ. VI, სახელგამი, 1939.
11. ნ. ლომოური—მოთხრობები, სახელგამი, 1926.
12. შ. მღვიმელი—ლექსები, I, სახელგამი, 1936.
13. გრ. ორბელიანი—ლექსები, სახელგამი, 1945.
14. ხულხან-ხაბა ორბელიანი—სიბრძნე სიცრუისა, 1936.
15. თ. რახიკაშვილი—საბაქშეო მოთხრობები, საბლიტგამი, 1947.
16. ა. ყახბაგი—რჩეული ნაწერები, სახელგამი, 1937.
17. ა. წერეთელი—რჩეული ნაწერები, ტ. II, სახელგამი, 1926.
18. ა. წერეთელი—რჩეული ნაწერები, ტ. IV, სახელგამი, 1929.
19. გ. წერეთელი—თხზულებანი, სახელგამი, 1926.
20. ი. ჰავკავაძე—თხზულებათა სრული კრებული, I, სახელგამი, 1937.

ლიტერატურა

1. სტალინი ი.—მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, თბილისი, გამომცემლობა „კომუნისტი“, 1950.
2. ახვლედიანი გ.—ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.
3. ახვლედიანი გ.—რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის, თბილისი, 1949.
4. გაგუა კ.—ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდის საკითხები, თბილისი, 1941.
5. გორგაძე ს.—ქართული მარალწერა, ქუთაისი, 1916.
6. თაბუკაშვილი შ. პუნქტუაცია, თბილისი, 1949.
7. თოფურიძე ვ.—„კითხვების“ მეთოდით გრამატიკის სწავლებისათვის, ჟურნ. „ახ. სკოლისაკენ“, 1928 № 1—2.
8. კელენჯერიძე მ.—ქართული პრაქტიკული გრამატიკა, ქუთაისი, 1925.
9. კვაპაძე ლ.—დამოკიდებულ წინადადებათა სახეების ამოცნობისათვის, კრებულში: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. მეთოდური წერილების კრებული, III, 1950.
10. კვიციანიძე პ.—ქართული სწორმეტყველება, თბილისი, 1888.
11. პროგრამები: —ა) თანამედროვე ქართული ენის პროგრამები უმაღლესი სკოლებისათვის, 1948.
ბ) საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა, 1950.
12. რამიშვილი ვ.—რთული შეკავშირებული წინადადების შესწავლა მე-7 კლასში, თბილისი, 1939.
13. როგავა გ.—ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში., ❊ წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948.
14. სიხარულიძე ი.—ენის დაკვირვება, თბილისი, 1929.
15. სიხარულიძე ი.—ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1937.
16. სიხარულიძე ი.—რთული ქვეწყობილი წინადადების სწავლება მე-7 კლასში, ჟურნ. „კომ. აღზრდ.“, 1941, № 1.
17. ფერაძე ი., სიხარულიძე ი.—ენის დაკვირვება, თბილისი, 1927.
18. შანიძე ა.—ქართული ენის გრამატიკა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), თბილისი, 1946.

19. შანიძე ა.—ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I, (ფონეტიკა და მორფოლოგია), 1949.
20. შანიძე ა.—ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, 1949.
21. ხუნდაძე ს.—ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1917.
22. ჯანაშვილი მ.—ქართული გრამატიკა, თბილისი, 1906.
23. Абакумов С. И.—О придаточных предложениях, „Русский язык в школе“, 1932, № 2.
24. Абакумов С. И.—Методика пунктуации, Москва, 1948.
25. Афанасьев П. О.—Методика русского языка в средней школе, Москва, 1947.
26. Березин В. М.—Сложное предложение в средней школе, „Русский язык в школе“, 1935, № 1.
27. Добромыслов В. А.—Сложные предложения, „Русский язык в школе“, 1938, № 4. იგივე შრომა კრებულში: „Методические разработки по грамматике“, Москва, 1949.
28. Зёмский А. М., Крючков С. Е.,
Светлаев М. В.—Грамматика русского языка, ч. II, Москва, 1949.
29. Пешковский А. М.—Русский синтаксис в научном освещении, Москва, 1938.
30. Пешковский А. М.—Существует ли в русском языке сочинение и подчинение, კრებულში: „Вопросы методики родного языка, лингвистики и стилистики“, 1930.
31. Пешковский А. М.—Школьная и научная грамматика, 1922.
32. Пешковский А. М.—„Вопрос о Вопросах“, сборн. статей, Ленинград—Москва, 1925.
33. Поздняков Н. С.—Методика русского языка, Москва, 1948.
34. Текучев А. В.—Методика грамматического разбора, Москва, 1949.
35. Третьяков В. С.—К вопросу о занятиях по русскому языку в старших (VIII—X) классах средней школы, „Русский язык в школе“, 1946, № 2.
36. Устрицкий И. В.—Прямая и косвенная речь, კრებულში: „Методические разработки по грамматике“, Москва, 1949.
37. Фигуровский И. А.—От синтаксиса отдельного предложения—к синтаксису целого текста, „Русский язык в школе“, 1948, № 3.
38. Шапиро А. Б.—О принципах классификации подчиненных предложений, „Русский язык в школе“, 1937, № 2.
39. Щерба Л. В.—Грамматика русского языка, ч. II, синтаксис, под редакцией акад. Л. В. Щербы, Москва, 1948.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან .	3
I. რთული წინადადების ზოგადი მიმოხილვა	
§ 1. რთული წინადადების რაობა .	5
§ 2. რთულ წინადადებათა ტიპები	7
§ 3. რთული კავშირიანი და უკავშირო წინადადებები	11
II. რთული თანწყობილი წინადადება	
§ 1. რთული კავშირიანი თანწყობილი წინადადება .	14
§ 2. რთული უკავშირო თანწყობილი წინადადება	21
რთული ქვეწყობილი წინადადება	
III. მოხამზადებელი ხაღხუი დამოკიდებულ წინადადებათა სახეების საჯანგებო შესწავლაზე გადასახველად	
§ 1. რთული ქვეწყობილი წინადადების რაობა და ძისი ნაწილები	26
§ 2. გადაბმის საშუალება მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულს შორის. საკავშირებელი სიტყვის ადგილი	23
§ 3. დამოკიდებული წინადადების ადგილი	30
კავშირიანი ქვეწყობილი წინადადებანი.	
IV. დამოკიდებელი წინადადებანი	
§ 1. დამოკიდებული წინადადებები სინტაქსური ფუნქციის მიხედვით .	34
§ 2. შემასმენლური დამოკიდებული წინადადების ქართულ სასკოლო გრამატიკაში შეტანის საკითხისათვის	34
§ 3. ძირითადი მომენტები დამოკიდებულ წინადადებათა დახასიათება-ამოცნობისათვის	35
§ 4. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია წინადადების წყევრებთან მიმართებით	39
მთავარი წინადადების წყერთა შინაარსის მქონე დამოკიდებულ წინადადებათა ბირველი ქვეჯგუფი.	
§ 1. დამატებითი დამოკიდებული წინადადება	42
§ 2. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება	45
§ 3. განსახლერებითი დამოკიდებული წინადადება	47
§ 4. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება	58
V. მთავარი წინადადების წყერთა შინაარსის მქონე დამოკიდებულ წინადადებათა მეორე ქვეჯგუფი	
§ 1. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება .	55
§ 2. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება .	57
§ 3. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება .	62
§ 4. მიხეხის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება .	64
§ 5. მიხნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება	66

VII. ხევა ხაზის დამოკიდებული წინადადება	
§ 1. შედგენილი დამოკიდებული წინადადება .	70
§ 2. პირობითი დამოკიდებული წინადადება .	73
§ 3. დათმობითი დამოკიდებული წინადადება . .	76
§ 4. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება . .	79

VIII. უკავშირო ქვეწყობილი წინადადება	
§ 1. უკავშირო ქვეწყობილი წინადადებას ადგილი რათული წინადადების სწავლების სიტუაციაში	82
§ 2. უკავშირო ქვეწყობილი წინადადებას თიოთადი შემთხვევები	82

IX. რთული ქვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით .	
§ 1. რამდენიმე დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების სახეები	85
§ 2. რამდენიმე ერთნაირი დამოკიდებული წინადადება ერთ მთავართან .	85
§ 3. რამდენიმე არაერთნაირი დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ერთ წევართან	92
§ 4. რამდენიმე დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების სხვადასხვა წევართან	93
§ 5. სხვადასხვა ნარისის დამოკიდებული წინადადებები	94
§ 6. თანადამოკიდებული წინადადებები სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებებით	97

X. ზერთული წინადადება	
§ 1. ზერთული წინადადების რაობა და სწავლების ადგილი	99
§ 2. ზერთული წინადადების ძირითადი შემთხვევები .	99

XI. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი	
(სხვათა სიტყვა)	
§ 1. წინასწარი შენიშვნები	105
§ 2. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის რაობა .	106
§ 3. პირდაპირი ნათქვამი	108
§ 4. ხოგიერთი დამატებითი საკითხი პირდაპირ ნათქვამთან დაკავშირებით	111
§ 5. ირიბი ნათქვამი	112
§ 6. გრამატიკის კურსის განმეორებისათვის	113

XII. პუნქტუაციის მეთოდების ზოგიერთი საკითხი რთული წინადადების სწავლებაზე	
ბახთან დაკავშირებით	
§ 1. პუნქტუაციის დანიშნულება. პუნქტუაცია და ინტონაცია. პუნქტუაციის სწავლების საფუძველი	115
§ 2. რთული წინადადებაში სასვენი ნიშნების გამყოფების ხოგიერთი რთული შემთხვევა	119
§ 3. პუნქტუაციაზე მუშაობის სახეები .	122
შემოკლებანი .	124
ლიტერატურა .	125